მედია, სამართალი და ეთიკა

სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ნაშრომები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

UDC(უაკ)34+17+0507(479.22)(163)+378.4(479.22)(063)
თ-388

„მედია, სამართალი და ეთიკა“ 2015 წლის 4-5 ივნისს, თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დოიჩე ველე აკადემიის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციის მონაწილეთაგან შერჩეული შვიდი საუკეთესო მოხსენების კრებულია.

გამოცემა განკუთვნილია სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის, პრაქტიკაში მოღვაწეთათვის, ასევე, მედიასამართლისა და ჟურნალისტიკის საკითხით დაინტერესებული პირებისთვის.

სამეცნიერო რედაქტორები: **კახაბერ მჭედლიშვილი**
სერგი ჯორბენაძე

ყდის დიზაინი: **დიმიტრი გეგენავა**

ნაშრომების კრებულად გამოცემა აკადემიურად უზრუნველყო **დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტმა.**

კრებული გამოდის **დოიჩე ველე აკადემიის** ფინანსური მხარდაჭერით.

© ავტორები, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-614-4

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

PREFACE 8

ქეთევან ბუაძე
სარეკლამო დრო და მისი დაცვა საქართველოს
კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის
ევროპული კონვენციით 10

გიორგი ბალდავაძე
სად გადის ზღვარი ინფორმაციის თავისუფალ
გავრცელებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების
პატივისცემას შორის? 29

სალომე გორგოძე
რელიგიური თემატიკა და ეთიკური სტანდარტი ქართულ
ონლაინმედიაში 58

ნატა ძველიშვილი
ეთიკური პრობლემები ქართულ ონლაინმედიაში
სოციალური ქსელების გამოყენებისას 78

მარიამ თურქიშვილი
მედიის გავლენა მართლმსაჯულებაზე 99

თამარ კარელიძე
თვითრეგულირების ორგანოები რეგიონულ
მაუწყებლებში 120

თამარი მამულაშვილი
ომარი მარგველაშვილი
სიძულვილის ენა მედიაში – გამოხატვის
თავისუფლების ფარგლები 133

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოში სიტყვის თავისუფლების და განათლების მხარდაჭერა დემოკრატიის ქვაკუთხედია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესში აქტიური, განათლებული მომავალი თაობის, ჩვენი სტუდენტების ჩართულობა. ამ პერსპექტივიდან, მისასალმებელია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის „მედია, სამართალი და ეთიკა: თავისუფლება საზღვრების გარეშე?“ ნაშრომების კრებულის გამოცემა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებებზე საუბრისას, ხშირად მივსულვართ იმ აზრამდე, რომ აუცილებელია ჟურნალისტიკის და მასკომუნიკაციის დეპარტამენტის და იურიდიული ფაკულტეტის აქტიური თანამშრომლობა მედიასამართლის აქტუალურ საკითხებზე. ჩვენი საგანმანათლებლო მიზნები თანმიმდევრულად ხორციელდება „დოიჩე ველე აკადემიის“ დახმარებით. ბოლო ორი წლის მანძილზე, მომზადდა ერთლობლივი კონფერენციები, პუბლიკაციები და განახლდა სასწავლო კურსები. სამეცნიერო ნაშრომების ეს კრებულიც არის ორი ფაკულტეტის და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმატებული თანამშრომლობის დადასტურება. მომავალი ჟურნალისტებისა და იურისტებისათვის, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა დისკუსიისთვის, ჩართულობისთვის, გახსნილი ურთიერთობისთვის.

ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ კრებულში წარმოდგენილი პუბლიკაციების სამეცნიერო ხარისხი მაღალია. ინტერდისციპლინური კონფერენციის ორგანიზატორებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მიიღეს 60-ზე მეტი განაცხადი, საიდანაც

შეარჩიეს 21 საუკეთესო მომხსენებელი (ექვსი უმაღლესი სასწავლებლიდან). კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები როგორც სამართლის, ასევე ჟურნალისტიკის სკოლებიდან. სტუდენტებმა შერჩევის და რეცენზირების პროცესში გამოიარეს ურთულესი გზა და ყველა ის ეტაპი, რაც მაღალი დონის აკადემიური კონფერენციისთვის არის აუცილებელი. მათი ეს შრომა დაგვირგვინდა პუბლიკაციების შერჩევით და საუკეთესო ნაშრომების გამოქვეყნებით. მათთვის ეს იყო გამოწვევა. ეს იყო გაომწვევა ორივე ფაკულტეტის პროფესორებისთვისაც. კონფერენციაზე ბევრი კარგი მოხსენება იქნა წარმოდგენილი, რომელიც კრებულში ვერ მოხვდა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მათ ავტორებს აკადემიურ სივრცეში კვლავ ვიხილავთ.

წინამდებარე კრებული მკითხველს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე დააფიქრებს, გამოიწვევს დისკუსიაში და პასუხს გასცემს ისეთ კითხვებს, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის. ამ კრებულმა შეკრიბა ავტორები, რომლებსაც სურთ იხილონ დამოუკიდებელი და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მედია, სადაც დაცული იქნება ეთიკის ნორმები, გამოირიცხება სიძულვილის ენა და მიკერძოებულობა. ამის მისაღწევად ყველაზე კარგი მექნიზმი არის პასუხისმგებლობით აღსავსე კანონმორჩილი საზოგადოება, რომელმაც კარგად იცის თავისი უფლებები და, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია ასევე პროფესიონალი ჟურნალისტი. ჟურნალისტი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი უფლებები, როლი და დანიშნულება. თავის მხრივ, სწორედ საუნივერისტეტო სივრცეში მიღებულ მაღალხარისხიანი განათლებას შეუძლია შეასრულოს გადამ-

წყვეტი როლი თავისუფალი მედია გარემოს განვითარებაში. ამისთვის კი საჭიროა მეტი მონდომება და შრომისმოყვარეობა. ამ პროცესში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იურიდიული ფაკულტეტისა და ჟურნალისტიკის სკოლის ერთობლივი მუშაობა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი და მისასალმებელია. ვფიქრობთ, იდეები კვლავ ბევრია. ამ კრებულის გამოცემასთან ერთად კი, ჩვენი სამომავლო თანამშრომლობა ახალ, ძალიან საინტერესო ეტაპზე გადავიდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, გვინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადოთ მედიის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემიას“ მხარდაჭერისთვის.

მადლობას ვუხდით ასევე ამ კრებულის ავტორებს, რეცენზენტებს და რედაქტორებს, სწორედ მათი დაუღალავი შრომა გვაიმედებს, რომ მედიასამართლის და ჟურნალისტური ეთიკის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო დისკუსიას, კიდევ უფრო ფართო აკადემიური საზოგადოება შეუერთდება.

მარიამ გერსამია

პროფესორი, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიის საბჭოს წევრი

მორის შალიკაშვილი

ასოცირებული პროფესორი,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

თბილისი, სექტემბერი 2015

P R E F A C E

The role and responsibility of the media is subject to the underlying law. Due to the changes of media, such as the significant rise of using social media, the law is also facing new challenges, as the borders of ethical standards and legal provisions increasingly appear to blur.

With this journal we are, on the one hand, looking at the results of a long-lasting and reliable cooperation between the Ivane Javakhishivili Tbilisi State University and Deutsche Welle's international media development and training centre DW Akademie. This cooperation has been enhanced through a number of *"#MediaRule!"*-conferences held in 2014 and 2015. For Deutsche Welle and DW Akademie it is crucial to support not only established media professionals. but also to invest and engage in the qualified education of students as future decision-makers. The articles cover a large variety of topics of importance in Georgia's current media landscape: legal and ethical limitations of the human right to freedom of expression, taking into account the full range of media – from print, and TV to internet and social media - ; the role of the media as impartial mediator (including its self-regulation mechanisms); the influence of media as the "fourth power" on the judiciary; and last but not least, the challenges resulting from the European Convention on Human Rights and the ratification of the EU-Georgia Association Agreement.

We congratulate the authors, who made a new, interdisciplinary, and high-quality approach by connecting their different backgrounds and views – be it from journalistic, political, social or legal perspective. This interdisciplinary

approach is essential in order to achieve a holistic coverage of the current field of media law and media ethics.

On the other hand, this journal also wishes to encourage media professionals, professors, teachers and students to continue their engagement and cooperation and therebyhelp to establish a sustainable network of both media and legal experts. Deutsche Welle and DW Akademie are very much looking forward to continue their support of this development as well as the general Georgian-EU association process.

We would like to express our gratitude to everyone who made this publication possible. We owe our special thanks to the Faculty of Social and Political Sciences and Dean Tamara Dolbaia; to the Faculty of Law and Dean Irakli Burduli; to the Department of “Journalism and Mass Communications” and Head Mariam Gersamia; and to the Vice Dean of the Faculty of Law, Moris Shalikashvili. The latter both prepared the ground for this interdisciplinary exchange of different faculties’ students; special thanks also go to Kachaber Mtchedlishvili and Sergi Jorbenadze, who both reviewed the articles in this journal and encouraged the authors in their writing; and last but not least to the authors, whose creativity, diligence and knowledge are the basis for making this and future publications possible.

Bonn, September 2015

Michael Flesch, LL.M.
Legal Advisor, Development Cooperation
Legal Department, Deutsche Welle

ქეთევან ბუაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მაგისტრი; კიოლნის უნივერსიტეტის მაგისტრი, LL.M. გერმანულ სამართალში

სარეკლამო დრო და მისი დაცვა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით

(საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, 2010/13/EU დირექტივის გათვალისწინებით)

შესავალი

2015 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებათა პაკეტი. ცვლილებების ტექსტმა, როგორც კანონპროექტმა არაერთი განხილვა, დისკუსია, კრიტიკა გაიარა. კანონპროექტმა, რომლის განხილვა კომისიამ 2014 წლის ზაფხულში დაიწყო, 2015 წლის თებერვალში კანონის სახე მიიღო.

ცვლილებები მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც ის შეიცავს სარეკლამო დროის რეგულირებას, რომელზეც, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, მაუწყებლებს საკუთრების უფლება გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ ცვლილების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად კანონმდებელმა საქარ-

თველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება და 2010/13/EU ევრო დირექტივა დაასახელა. თუმცა, როგორც შეთანხმება ისე დირექტივა როგორც შინაარსობრივი, ისე რეგულაციის იმპლემენტაციის კუთხით განსხვავებულ მიდგომებს აწესებს.

სწორედ ამიტომ თემის მიზანია სარეკლამო დროის, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დეფინირება, მისი დაცვის მექანიზმების გამოკვეთა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის წარმოგენა. ასევე, ზემოაღნიშნული ცვლილებათა პაკეტის გაშუქება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და 2010/13/EU დირექტივის ჭრილში და მისი გავლენა საქართველოს სარეკლამო ბაზარზე (როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური ანალიზი).

1. სარეკლამო დრო და მისი დაცვა საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით

სარეკლამო დრო, არის დროის მონაკვეთი მაუწყებლის სამაუწყებლო დროის მანძილზე,[1] რომლის განმავლობაშიც საფასურის, ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეის ან/და წამოწყების შესახებ ვრცელდება ინფორმაცია, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით

[1] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტი „ჰ18“.

გათვალისწინებული ფორმით, მიზნით და დადგენილ ფარგლებში.[2] თავის მხრივ, სამაუწყებლო დრო, როგორ სიკეთე 2015 წლის 17 ივნისამდე მაუწყებელს ექმნებოდა ლიცენზიის[3] ან/და ავტორიზაციის საფუძველზე,[4] ხოლო 2015 წლის 17 ივნისიდან ციფრული მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მულტიპლექს ოპერატორთან[5] გაფორმებული ხელშეკრულების ან რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ნებართვის საფუძველზე.[6]

სარეკლამო დრო წარმოადგენს მაუწყებლის არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, რადგან ეს არის მაუწყებლების უფლება, რომელიც შეიძლება გადაეცეს როგორც სხვა პირებს, ისე გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი.[7] მაუწყებელთა არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ისევე როგორც მატერიალური, დაცულია საკუთრების უფლებით.[8]

---

[2] იგივე კანონი, მუხლი 2, პუნქტი „ნ“, ასევე, მუხლი 64 პუნქტი 11.

[3] იგივე კანონი, მუხლი 36, პუნქტი 2.

[4] იგივე მუხლი, პუნქტი 3.

[5] „კომპანია სამ ლიცენზიის მფლობელი გახდება. MUX - B ლიცენზიის ფარგლებში ეროვნული დაფარვის ქსელში ღია ეთერით ტელემაუწყებელთა გავრცელება შეეძლება, MUX – C და MUX – D ლიცენზიების ფარგლებში კი სამაუწყებლო სიგნალის გავრცელებას როგორც ღია ეთერში, ასევე კომერციული მიზნებისთვისაც (Pay TV) შეძლებს.“ <http://gncc.ge/ge/regulation/digital-broadcatsing/cifruli-mauwyeblobis-uzrunvelsayofad-gamocxadebuli-konkursze-erti-monawile-kompania-darcha-12114.page> [25.08.2015].

[6] <http://gncc.ge/ge/news/press-releases/komisiam-tbilisis-samauwyeblo-zonis-telekompaniebs-cifruli-mauwyeblobis-uzrunvelsayofad-radiosixshiruli-speqtrit-sargeblobis-nebartva-mianicha.page> [25.08.2015]

[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 147-ე და 152-ე მუხლები.

[8] მაუწყებლის საკუთრების უფლების შესახებ რამოდენიმე მიდგომა იხილეთ *ჯორბენაძე ს.,* მაუწყებლის საკუთრება („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავის ზოგადი ანალიზი), ბესარიონ

2. საკანონმდებლო ცვლილებები - მაუწყებლის საუთრების უფლების შეზღუდვა, თუ დაახლოების ვალდებულების შესრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად

2015 წლის პირველი აპრილიდან ძალაში შევიდა „მაუწყებლობის შესახებ"საქართველოს კანონის ცვლილებები. ცვლილებების კანონპროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2014 წლის ზაფხულიდან დაიწყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ხოლო შემდგომ უკვე საქართველოს პარლამენტში. ცვლილებები, რომლის საფუძვლად კანონპროექტის ინიციატორი, შემდგომ კი კანონმდებელი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა[9] და 2010/13/EU ევრო დირექტივას[10] ასახელებდა, არც მეტი არც ნაკლები პირდაპირ ეხებოდა მაუწყებლის საკურების უფლებას.

საკანონმდებლო ცვლილებებით შეიზღუდა:

1) სარეკლამო დროის მოცულობა. თუ ცვლილებამდე კანონით სარეკლამო დროის ოდენობა მაუწყებლების მთელი სამაუწყებლო დროის 20%-ით განისაზღვრებოდა, ცვლილებებით მოხდა დამატებით მისი სამაუწყებლო საათში 20%-ით შეზღუდვა;[11]

ზოიძე 60 საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 165-166.

[9] შემდგომში - „ასოცირების შეთანხმება".

[10] შემდგომში - „ევრო დირექტივა", directive 2010/13/EU of the European Parliament and of the council, 10th march, 2010.

[11] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, 64-ე მუხლი მე-2 პუნქტი; აღსანიშნავია, ასევე რომ კანონპროექტის თავდაპირველ რედაქციაში აღნიშნული მოცულობის კიდევ უფრო შემცირება იყო ჩადებული და განიხილავდნენ სამაუწყებლო საათში 15%-ის ოდენობით.

2) სასპონსორო რეკლამის დროის მოცულობა. სასპონ-სორო რეკლამის დროის ოდენობა და შინაარსი არ იყო და-რეგულირებული კანონით. ცვლილებებით 2016 წლის 15 იანვრამდე სპონსორობის მოცულობა სამაუწყებლო საათში 4 წუთით შეიზღუდა, ხოლო 2016 წლის 15 იანვრიდან სპონ-სორობისას აიკრძალა „საქონლის/მომსახურების შეძენის, მი-წოდების და მოხმარებისაკენ პირდაპირი მიწოდება ამ საქო-ნელზე ან/და მომსახურებაზე სპეციალური მითითებით".[12]

ასოცირების შეთანხმების დანართი XXXIII-ით, სახელ-წოდებით აუდიოვიზუალურ და მედია სფეროში თანამშრომ-ლობის შესახებ, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება თავის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან, კერ-ძოდ, კი დირექტივასთან თანდათანობითი დაახლოების შესა-ხებ მხარეთა შეთანხმებულ ვადებში. ვადები კი შემდეგნაირად განისაზღვრა, დირექტივის იმპლემენტაციისათვის ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამ წლიანი ვადა, ხოლო ამავე დირექტივის 23-ე მუხლის იმპლემენტაციისათვის ხუთ წლიანი ვადა იქნა დადგენილი. დირექტივა, თავის მხრივ, როგორც სარეკლამო დროის მოცულობის ლიმიტირებას, ისე სპონსორობისას საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდების და მოხმარებისაკენ პირდაპირ მიწოდებას კრძალავს ამ საქო-ნელზე ან/და მომსახურებაზე სპეციალური მითითებით.[13] შე-დეგად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მართალია ზემოაღ-ნიშნული ორი შეზღუდვა მაუწყებლების საკუთრების ჭრილ-

[12] იგივე კანონი, 67-ე მუხლი, მე-3 პუნქტი.
[13] დირექტივა, 23-ე და მე-10 მუხლები.

ში ევროპული კანონმდებლობის შესაბამისია,[14] მაგრამ პრობ-ლემას მათი იმპლემენტაციის ვადები წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა საზოგადოებამ აუდიოვი-ზუალურ პოლიტიკის საბოლოო ჩამოყალიბებამდე და შესაბამი-სად, 2010/13/EU აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივის მიღებამდე გრძელი გზა განვლო. 1984 წელს მი-ღებული იქნა დოკუმენტი მაუწყებლების საერთო ბაზრის შესა-ხებ, 1989 წელს მიღებულ იქნა დირექტივა ტელემაუწყებლობა საზღვრების გარეშე, 1997 წელს ეს დირექტივა პირველად გა-დაისინჯა, 2007 წელს შემუშავდა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივა, ხოლო 2010 წელს კი მისი კო-დიფიცირება მოხდა.[15] ამ ხანგრძლივ პროცესში ჩატარებულ იქნა არაერთი კონფერენცია, საჯარო კონსულტაცია, ფოკუს ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრა თუ კვლევა, იმისათვის რომ შესწავლილი და გამოკვლეული ყოფილიყო რეგულაციის გავ-ლენა სარეკლამო, თუ ზოგადად აუდიოვიზუალურ ბაზარსა და გარემოზე, რეგულირების განმაპირობებელი ფაქტორები, მათ შორის, მომხმარებელთა ინტერესები.[16]

---

[14] აღსანიშნავია, რომ კომისიის ინიცირებულ რედაციაში, რომელიც პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებზე იქნა გატანილი და განხილული რედაქციში იყო დებულებები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა დირექტივას;

[15] <http://ec.europa.eu/archives/information_society/avpolicy/reg/history/index_en.htm> [25.08.2015].

[16] <http://ec.europa.eu/archives/information_society/avpolicy/reg/history/consult/focus_groups/index_en.htm> [25.08.2015] – ასევე, იხილეთ კომიტეტის დოკუმენტის ელექტრონული ვერსია: <http://ec.europa.eu/comm/avpolicy/reg/tvwf/contact_comm/index_en.htm> [25.08.2015]. <http://ec.europa.eu/archives/information_society/avpolicy/docs/reg/modernisation/focus_groups/fg2_wp_en.pdf> [25.08.2015].

მთელი ეს პროცესი ნათელს ხდის, თუ რატომ მოხდა ასოცირების შეთანხმებით დირექტივის იმპლემენტაციისათვის სამწლიანი, ხოლო სარეკლამო დროის შეზღუდვისათვის ხუთწლიანი ვადის განსაზღვრა. სამწუხაროდ საქართველოში საჯარო კონსულტაცია, ფოკუს ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრა, თუ კვლევა, იმისათვის რომ შესწავლილი და გამოკვლეული ყოფილიყო რეგულაციის გავლენა სარეკლამო ბაზარზე და გარემოზე, მათ შორის, მომხმარებელთა გამოკითხვა არ ჩატარებულია, გარდა განხილვებისა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა თუ საქართველოს პარლამენტში.

2. საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კონსიტიტუციის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე კი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად საკუთრების უფლებით დაცულ ობიექტად ითვლება.[17] სასამართლოს მიერ ასეთად იქნა მიჩნეული ისეთი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორიც არის აქცია,[18] წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზო-

---

<http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/empirical_report_final - 2011-06-15.pdf> [25.08.2015].

[17] *ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 243-247.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მო-

გადოებაში,[19] მოთხოვნის უფლება,[20] მიუღებელი შემოსავალი[21] და როგორც დასაბეგრი მოგება (შემოსავალი), ისე დაბეგრილი შემოსავალი (მოგება).[22]

2005 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანავჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლი „საკუთრების უფლების ყველასთვის თანაბრად აღიარებას და უზრუნველყოფას გულისხმობს, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა სახით ვლინდება საკუთრების უფლება - ფიზიკურ ნივთებზე უშუალო საკუთრების უფლებით, თუ მოთხოვნის უფლებაზე საკუთრე-

---

ქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-9 პუნქტი.

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის №2/36–7 გადაწყვეტილება საქმეზე იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდეხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოღაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოღოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება, საქმეში „საქგაზი“ და „ანავჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის №2/1/187–188 გადაწყვეტილება საქმეზ შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ, მე-7 პუნქტი.

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის №1/1/107 გადაწყვეტილება ლელა ინწკირველი და ეკატერინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-5 პუნქტი.

ბით...“[23] ამასთან, აქვე დაასახელა მოთხოვნის უფლების გვერდით „ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც ქმნის ქონებას.[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებული პრაქტიკით დაადასტურა რომ ოცდამეერთე მუხლით დაცული საკუთრების უფლება ვრცელდება არა მხოლოდ ნივთებზე,[25] არამედ ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, რომელიც წარმოადგენს ქონებას და რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის[26] პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლით[27] დაცული ობიექტი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს[28] პრაქტიკის მიხედვით „ეკონომიკური ინტერესე-

---

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება, საქმეში „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

[24] იქვე.

[25] *ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 244.

[26] იქვე.

[27] შემდგომში - „კონვენცია“; კონვენცია, პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლი: საკუთრების დაცვა 1) ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. 2) ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

[28] შემდგომში - „ევროპული სასამართლო“.

ბის ფართო წრეს მოიცავს.“[29] ქონების ცნებას სასამართლო განმარტავს ფართოდ და მასში ექცევა ისეთი სიკეთეები, მოძრავი და უძრავი ნივთების გვერდით, როგორიც არის წილი საზოგადოებაში,[30] პატენტი,[31] საარბიტრაჟო გადაწყვეტილება,[32] ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება,[33] გარკვეული გარემოებების დადგომის კანონიერი მოლოდინი,[34] პროფესიული კლიენტურა,[35] კინოთეატრის კლიენტურა,[36] ლიცენზია, რომელსაც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები უკავშირდება,[37] საიჯარო ქირის მოთხოვნის უფლება,[38] პენსიის

---

[29] *პაპუაშვილი ს.,* საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, GTZ, თბილისი, 2009, 180.

[30] The right to property, a guide to the implementation of Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on human Rights, Monica Carss-Frisk, Human Rights Handbooks, No. 4, 6.

[31] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 4 ოქტომბრის განჩინება დასაშვებობაზე განაცხადზე № 12633/87, საქმეზე, Smith Kline and French Laboratories v. the Netherlands.

[32] The right to property, a guide to the implementation of Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on human Rights, Monica Carss-Frisk, Human Rights Handbooks, No. 4, 12.

[33] იქვე, 13.

[34] იქვე.

[35] იქვე, 14.

[36] იქვე, 15.

[37] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden, პარ 53.

[38] The right to property, a guide to the implementation of Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on human Rights, Monica Carss-Frisk, Human Rights Handbooks, No. 4, 16.

მოთხოვნის უფლება,[39] გარკვეული პროფესიით მუშაობის უფლება,[40] სასარჩელო მოთხოვნა და სხვა შეთხვევები, რომლებმაც ინდივიდის ქონებრივ ინტერესებზე შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინონ.[41]

ევროპული სასამართლო საკუთრების უფლებისა, თუ მფლობელობის დეფინიციებს ავტონომიურად განმარტავს და იმისათვის, რომ უფლება თუ ინტერესი კონვენციის პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლით დაცულ ობიექტად ჩაითვალოს, არ არის აუცილებელი ადგილობრივი ქვეყნის სამართლით მისი საკუთრების უფლების ქვეშ მოქცევა.[42] ამის ნათელი მაგალითია TreTraktörer Aktiebolag v. Sweden, სადაც სასამართლომ ლიცენზია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები აღიარა კონვენციის პირველი დამატებით ოქმის პირველი მუხლით დაცულ ობიექტად.[43]

3. საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც მაუწყებლების საკუთრების უფლების შეზღუდვა

ევროპულმა სასამართლომ საქმეში სპორონგი და ლორონთი შვედეთის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი თავის თავში სამ წესს მოიცავს: პირველია, საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება (peaceful enjoyment of property), მეო-

[39] იქვე, 17.
[40] იქვე, 6.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden, პარ 53.

რე, ქონების ჩამორთმევის (deprivation of possession) დაქვემ-
დებარება კონკრეტული წინაპირობებისათვის და მესამე, სა-
კუთრებით სარგებლობის კონტროლი (control the use of
property) კანონის საფუძველზე და ზოგადი ინტერესის შესა-
ბამისად.[44]

საქართველოს კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლის მი-
ხედვით კი საკუთრების უფლების შეზღუდვა აუცილებელი სა-
ზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია კანონით განსაზ-
ღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ
არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. ამასთან, აღსანიშნა-
ვია, რომ ,,საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარან-
ტია გულისხმობს სამართლის კონკრეტული სუბიექტების, მე-
საკუთრეების დაცვას. კონსტიტუცია მესაკუთრის უფლებას
ორი ასპექტით იცავს: პირველი გამოიხატება იმაში, რომ სა-
ხელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკუთრების უფლების დაცვა
სხვა პირების მხრიდან ჩარევისაგან და მეორე, მესაკუთრე და-
ცულია თავად სახელმწიფოსაგან, კერძოდ, სახელმწიფოს დაუ-
საბუთებელი და არასამართლიანი ჩარევისაგან.“[45]

ნებისმიერ შემთხვევაში კი, როდესაც სახეზეა დაცულ
უფლებაში ჩარევა, შემდგომი მსჯელობის საგანი ჩარევის გა-
მართლებაა. თუ ჩარევა გამართლებულია, შესაბამისად ხსენე-

---

[44] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1982 წლის 23 სექ-
ტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Sporrong and Lönnroth v. Sweden,
პარ 61.

[45] *კიკოშვილი დ.,* საკუთრება, საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი სა-
ზოგადოებრივი საჭიროებისთვის და მესაკუთრის ინტერესების დაცვა სა-
კუთრების უფლებაში ჩარევის დროს, ქართული ბიზნეს სამართლის მი-
მოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2012, 42.

ბული მუხლის დარღვევას ადგილი არ აქვს, აქ კი მტკიცებების ტვირთი სახელმწიფოზეა.[46]

აქვს თუ არა საკანონმდებლო ცვლილებებით სარეკლამო დროის შეზღუდვას გამართლება გამოვიყენებთ ევროპული სასამართლოს ტექსტს,[47] რომელიც არსობრივად ემთხვევა ჩვენი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს ტესტს:

ა) ხვდება, თუ არა სარეკლამო დრო პირველი მუხლით დაცულ სფეროში? სარეკლამო დრო როგორც მაუწყებლის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ხვდება დაცულ სფეროში;

ბ) მოხდა თუ არა მაუწყებლების საკუთრების უფლების ხელყოფა? სარეკლამო დროის შეზღუდვით, ასევე სასპონსორო დროისა და შინაარსის შეზღუდვით მაუწყებლების საკუთრების უფლების ხელყოფას ადგილი აქვს;

გ) სამი წესიდან რომლის ხელყოფას აქვს ადგილი? ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება და ასევე, შესაძლებელია საკუთრების უფლებით სარგებლობის კონტროლი;[48]

დ) აქვს თუ არა ჩარევას/ხელყოფას ლეგიტიმური მიზანი (საზოგადოების, თუ საჯარო ინტერესი)? მომხმარე-

---

[46] The right to property, a guide to the implementation of Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights, Monica Carss-Frisk, Human Rights Handbooks, No. 4, 8.

[47] *პაპუაშვილი ს.,* საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, GTZ, თბილისი, 2009, 180.

[48] აქ იხილეთ იქვე მე-13 გვ. ასევე, დამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden, პარ 53-55.

ბელთა ინტერესების დაცვა, როგორც საზოგადოების ინტერესი;

ე) არის თუ არა ჩარევა/ხელყოფა პროპორციული (ინტერესთა აწონდაწონვა)? სადავოა, რადგან საპირწონეზე დგას მაუწყებლების არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა რეალიზაციით, ისინი ფინანსურ დამოუკიდებლობას აღწევენ, რაც მათი, როგორც მაუწყებლობის დამოუკიდებლობის გარანტიაა;

ვ) შეესაბამება თუ არა ჩარევა/ხელყოფა კანონისმიერი სიცხადის (კანონიერების) პრინციპებს? ეს პრინციპი დაცულია .

ჩარევა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სფეროში იქნება გაუმართლებელი, თუ მეოთხე შეკითხვიდან მეექვსე შეკითხვის ჩათვლით ერთ-ერთ შეკითხვაზე პასუხი უარყოფითი იქნება.[49] ამ შემთხვევაში ტესტმა აჩვენა, რომ საპირწონეზე ხვდებიან მომხმარებელთა ინტერესები და მაუწყებლების საკურების უფლების შეზღუდვის საბოლოო შედეგი, მედიის დამოუკიდებლობა. აქ, გარდა ასოცი-

[49] The right to property, a guide to the implementation of Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights, Monica Carss-Frisk, Human Rights Handbooks, No. 4, 10. შედეგად, თუ ჩარევა საკუთრების უფლებაში არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, შესაბამისად არ ემსახურება საზოგადოების თუ საჯარო ინტერესს, არ არის პროპორციული, კერძოდ, დარღვეულია სამართლიანი ბალანსი ჩარევის მიზანსა და ფუნდამენტურ უფლებას შორის, ჩარევა არ წარმოადგენს აუცილებლობას და დარღვეული კანონიერების და კანონისმიერი სიცხადის პრინციპები, *პაპუაშვილი ს.,* საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, GTZ, თბილისი, 2009, 180.

რების შეთანხმების ლოგიკური ვადებისა (სამი და ხუთი წელიწადი), ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობაც გასათვალისწინებელია. შედეგად, ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული ჩარევა კანონმდებლის მიერ ნაჩქარევად მოხდა, რითიც მან მაუწყებლების საკუთრების უფლება შეზღუდა.

ჩარევის უარყოფითი შედეგები მაუწყებლების შემოსავლებზე ნათელია ქვემოთ მოცემულ ცხრილშიც, სადაც კარგად ჩანს რომ მაუწყებლების შემოსავლები ახალი რეგულაციით 34%-ით მცირდება.[50]

	ძველი რეგულაციით			ახალი რეგულაციით		
	სარეკლამო დრო საათში	1 წუთის ღირებულება	ჯამური ღირებულება 24 საათში	სარეკლამო დრო საათში	1 წუთის ღირებულება	ჯამური ღირებულება 24 საათში
1:00	0	0	0	12	0	0
2:00	0	0	0	12	0	0
3:00	0	0	0	12	0	0
4:00	0	0	0	12	0	0
5:00	0	0	0	12	0	0
6:00	0	0	0	12	0	0
7:00	0	0	0	12	0	0
8:00	0	0	0	12	0	0
9:00	17	500	8500	12	500	6000
10:00	17	500	8500	12	500	6000
11:00	17	500	8500	12	500	6000
12:00	17	500	8500	12	500	6000
13:00	18	500	9000	12	500	6000
14:00	18	500	9000	12	500	6000
15:00	18	500	9000	12	500	6000
16:00	18	500	9000	12	500	6000
17:00	18.5	500	9250	12	500	6000
18:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
19:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
20:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
21:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
22:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
23:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
0:00	18.5	1000	18500	12	1000	12000
	288		208750	288		138000

[50] ცხრილი სიმარტივისათვის გაკეთებულია სარკლამო დროის მხოლოდ წუთებით გაყიდვაზე და სარეკლამო დროის ფასები პირობითია.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებათა პაკეტი, რომელიც 2015 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა, როგორც მისი ინიციატორის, ისე კანონმდებლის მიერ ნაჩქარევად იქნა მიღებული. ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მაუწყებლების საკუთრების უფლება სარეკლამო დროზე, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ისე საბოლო ჯამში მედიის ფინანსური დამოუკიდებლობა. ვინაიდან, ასოცირების შეთანხმებით, თავის მხრივ, 2010/13/EU დირექტივის თანდათანობით იმპლემენტაცია იყო გათვალისწინებული და არა დაუყოვნებელი. სწორედ ამიტომ ევროპაში ეს პროცესი 26 წელიწადი გაგრძელდა და ცვლილებები განხორციელდა არა ფრაგმენტულად როგორც ეს საქართველოში მოხდა რეკლამის რეგულირების კუთხით, არამედ აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების მიმართ ზოგადად.

მეტიც, მომხმარებელთა ინტერესები ამ პროცესში არა მხოლოდ სიტყვიერად იქნა დასახელებული, არამედ ჩატარებულ იქნა რიგი კვლევები, თუ სამუშაოები ფოკუს ჯგუფებთან.[51] ერთ-ერთ სამუშაო დოკუმენტში საუბარია მომხმარებელთა ეკონომიკურ ქცევაზე, რომელიც შეიძლება დამახინჯდეს არასამართლიანი კომერციული პრაქტიკით.[52] მომხმარებელთა ეკონომიკური ქცევის გვერდით გამოკვლეულ იქნა მათი არსებითი პრობლემები, რომელთაც ისინი აწყდებიან

---

[51] <http://ec.europa.eu/archives/information_society/avpolicy/reg/history/consult/focus_groups/index_en.htm> [25.08.2015].

[52] European Commission, focus group 2 level of detail in the regulation of television advertising, 1-ლი გვერდი, <http://ec.europa.eu/archives/information_society/avpolicy/docs/reg/modernisation/focus_groups/fg2_wp_en.pdf> [25.08.2015].

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების მიღებისას და გაკეთებული იქნა მომხმარებელთა გამოცდილების სიღრმისეული შეფასება.[53]

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპაში სარეკლამო ბაზრის რეგულირებას თავისი მოწინააღმდეგები ჰყავდა, ვინაიდან სარეკლამო დროის მოცულობის შეზღუდვა პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენდა მაუწყებელთა თუ სარეკლამო სააგენტოთა შემოსავლებზე. შესაბამისად, მოცემული ინტერესებიც პროცესების წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ევროპული პრაქტიკა კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ რატომ მოხდა ასოცირების შეთანხმებით დირექტივის იმპლემენტაციისათვის სამწლიანი, ხოლო სარეკლამო დროის შეზღუდვისათვის ხუთწლიანი ვადის განსაზღვრა და რატომ იყო დაუშვებელი სარეკლამო ბაზრის ახალი რეგულაციების დაჩქარებული წესით მიღება.

[53]<http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/empirical_report_final_-_2011-06-15.pdf> [25.08.2015].

Ketevan Buadze – Student (PhD) at Tbilisi State University, MA private law Tbilisi State University, LLM German Law University Cologne, Attorney.

ADVERTISING TIME AND ITS PROTECTION BY THE GEORGIAN CONSTITUTION AND THE EUROPEAN CONVENTION OF HUMAN RIGHTS

(Under consideration of Georgia-EU Association Agreement, 2010/13/EU Directive)

On April 1, 2015, the amendments to the Georgian Law on Broadcasting came into force. After having passed a number of reviews, discussions and criticism, the draft of amendments initiated by the Georgian National Communication Commission in the summer of 2014 was transferred to the Georgian Parliament and in February 2015, the law was passed.

The amendments contain advertising regulations, since they limit advertising time that – as an intangible asset of the broadcasters – is protected under their property right. The legislature claims the EU-Georgian Association Agreement and the 2010/13/EU Directive as one of the main reasons for the amendments. However, the Association Agreement as well as the Directive contextually as well as from the perspective of implementation terms set out different approaches.

Respectively, the this study aims to:

- define the advertising time as intangible property;

- outline its safeguarding mechanisms (as per Article 21 of the Constitution of Georgia and the European Convention on Human Rights, Article 1 of Protocol No. 1) as well as its best practices;
- demonstrate the above-mentioned amendments in the light of the EU-Georgian Association Agreement and the 2010/13 / EU Directive;
- show its impact on the advertising market (legal and financial analysis).

გიორგი ბაღდავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პირველი კურსის მაგისტრანტი

სად გადის ზღვარი ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას შორის?

შესავალი

გამოხატვის თავისუფლება და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს წარმოადგენენ. მოცემული უფლებები დაცულია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებითა თუ ჩვეულებითი ნორმით, როგორებიცაა მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია და ა. შ. ამასთან, განსახილველი უფლებები შეგვიძლია შევადაროთ მედლის ორ მხარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სათანადო ბალანსის გარეშე მოცემულ უფლებათა შორის კონფლიქტი გარდაუვალია.

კვლევის მიზანია განიხილოს შემთხვევები, როცა გამოხატვის თავისუფლება, კერძოდ, ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების უფლება და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიან. მნიშვნელოვანია

გაეცეს ამომწურავი პასუხი შემდეგ შეკითხვებს: როგორი ურთიერთობაა კოლიზიაში მყოფ ნორმებს შორის, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური? რა შემთხვევაში შეიძლება მიენიჭოს ერთ-ერთ მათგანს უპირატესობა? სად გადის ზღვარი ამ ორ უფლებას შორის და როგორ შეიძლება მათ შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირება? ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ხედვას და მისი განვითარების ეტაპებს. ასევე განხილული იქნება ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში (ამ შემთხვევაში ა. შ. შ. და ინგლისი) დამკვიდრებული პრაქტიკა. მათი შედარების საფუძველზე კი მოიძებნება პრობლემათა გადაჭრის სავარაუდო მეთოდები.

ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია ორი თავით და შესაბამისი ქვეთავებით. პირველი თავი ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების განხილვას. გაანალიზებული იქნება ასევე მეცნიერთა ხედვები მოცემული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით. მეორე თავი ეთმობა საერთო სამართალში დამკვიდრებულ მიდგომას. შესაბამისი ქვეთავებით დეტალურად იქნება განხილული სხვადასხვა საქმეები და ასევე მეცნიერთა მოსაზრებები. დასკვნის სახით მოკლედ გაანალიზდება ორივე მათგანი და გაეცემა პასუხი კვლევის შეკითხვებს.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა – ორმაგი თამაში თუ უპირატესობის მინიჭება?

1.1 პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების ადგილი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განხილვამდე, მოცემულ ქვეთავში მოკლედ მიმოიხილება კონფლიქტში მყოფ უფლებათა თეორიული ბაზისი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას ეხება კონვენციის მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც ,,ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“[1] გამოხატვის თავისუფლება კი მოწესრიგებულია მე-10 მუხლით, რომლის თანახმადაც, ,,ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რადგან ორივე უფლება შეიძლება შეიზღუდოს კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[3] ამასთან, ჩარევა კონვენციასთან შესაბამისობაშია თუ ის აკმაყოფილებს სამსა-

---

[1] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[2] კონვენციის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის 1-ელი წინადადება.
[3] კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების მე-2 პუნქტები.

ფეხურიან ტესტს: ა) ჩარევა ხორციელდება კანონის საფუძველზე, ბ) ჩარევა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის, გ) ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც აღნიშნულია კონვენციაში.[4] მნიშვნელოვანია, რომ სამივე წინაპირობა კუმულაციურად უნდა იყოს სახეზე, რათა გამოირიცხოს კონვენციით დაცულ უფლებებში თვითნებური ჩარევა. სახელმწიფოს აკისრია არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი მოქმედებით არ ხელყოს კონვენციით დადგენილი უფლებები, არამედ პოზიტიური ვალდებულებაც, რაც გულისხმობს ყველა ზომის გატარებას, რათა არ მოხდეს ხელყოფა მესამე პირთა მხრიდან.[5]

1.2 პირველი თაობის საქმეები – გამოხატვის თავისუფლების პრიმატი?

1980-იანი წლებიდან 2000 წლამდე განხილულ საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უარყოფდა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებს შორის შესაძლო კონფლიქტს. მაგალითად, ამ მხრივ, ერთ-ერთ პირველ საქმე-

[4] Dirk Voorhoof, "Freedom of Expression Under the European Human Rights System – From Sunday Times (No 1) v. U. K. (1979) to Hachette Filipacchi Associes (Ici Paris) v. France (2009)," *Inter-American and European Human Rights Journal*, Vol. 2, (2009), 5.

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, *Von Hannover v. Germany*, (საჩივრის ნომ. 59320/00), პარა. 57; ასევე, 1994 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *Stjerna v. Finland*, (საჩივრის ნომ. 18131/91), პარა. 23.

ზე, *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეყრდნო რა კონვენციის სიტყვა-სიტყვით ანალიზს, კატეგორიულად უარყო მოცემულ ნორმებს შორის არსებული კონფლიქტი და დაადგინა, რომ არ არსებობდა საჭიროება, მე-10 მუხლი განხილულიყო პირადი ცხოვრების დაცვის ჭრილში.[7] შედეგად, რეპუტაციის უფლება არ შედიოდა პირად უფლებათა ჭრილში და ის მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ წინაპირობად რჩებოდა, სხვა ელემენტებთან ერთობლიობაში. მე-8 მუხლის ვიწრო, სიტყვასიტყვითი განმარტებისა და რეპუტაციის პირად უფლებათა კატეგორიაში (მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში) არ შეტანის გამო, გამოდიოდა, რომ კონფლიქტი იყო ერთი მხრივ გამოხატვის თავისუფლებას შორის, რომელიც დაცული იყო კონვენციით და მეორე მხრივ, რეპუტაციას შორის, რომელსაც კონვენცია არ აღიარებდა პირად უფლებად და იგი, როგორც ცალკე უფლება, შესაძლოა დაცული ყოფილიყო სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით.[8]

---

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Lingens v. Austria,* (საჩივრის ნომ. 9815/82), შემდგომში ციტირებულია, როგორც: *Lingens v. Austria*.

[7] Stijn Smet, "Freedom of Expression and the Right to Reputation: Human Rights in Conflict," *American University International Law Review*, Vol. 26, Issue 1 (2010), 193-194.

[8] Jonas Gulde, "An Assessment of the European Court of Human Rights' Balancing of the Rights to Privacy and Freedom of Expression," *Edinbourgh Student Law Review*, Vol. 2, Issue1 (2013), 32.

საქმეში *ჟურნალი „ობსერვერი“ და „გარდიანი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*[9] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს ინფორმაციისა და იდეების თავისუფალ გავრცელებასა და მიღებას, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ და ფუნდამენტურ ღირებულებას. ეს პრინციპი განსაკუთრებით ეხება პრესასა და მედიას, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებულობის სადარაჯოზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდავი უფლებაა. ამასთან, მისი შემზღუდავი ნორმები (მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი) უნდა განიმარტოს რაც შეიძლება ვიწროდ. ტერმინში „აუცილებელი“, რომელიც ნახსენებია მე-2 ნაწილში იგულისხმება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“. სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება, შიდა კანონმდებლობით დაადგინონ ასეთი ზღვარი, მაგრამ ევროპული სასამართლო უფლებამოსილია საზედამხედველო ფუნქცია შეასრულოს და განსაზღვროს რამდენად არის შესაბამისი ის კონვენციის მიზნებთან.[10]

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკით მედია აღიჭურვა ფართო უფლებამოსილებებით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მიღებული ინფორმაციის დაცვას, არამედ ისეთი ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებასაც, რომელიც შესაძლოა იყოს შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელი. მეორე მნიშვნელოვანი შეფასება მდგომარეობს იმაში, რომ გაიმიჯნა

---

[9] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Observer and Guardian v. The United Kingdom,* (saCivris nom. 13585/88).

[10] იქვე, პარა. 59.

მედიის მიერ მოყვანილი ობიექტური ფაქტები და სუბიექტური შეფასებები. ამ უკანასკნელის მტკიცებულებებით გამყარების ვალდებულებისაგან კი მოპასუხეები გათავისუფლდნენ.[11]

ქვეთავის დასაწყისში ნახსენები *ლინგენსის* საქმე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა ჩვეულებრივი პირი პოლიტიკოსისაგან და აღნიშნა, რომ ვინაიდან მათი პიროვნებისა და საქმიანობის მიმართ საკმაოდ დიდია საზოგადოებრივი ინტერესი, მხოლოდ რეპუტაციის დაცვის სურვილი ვერ გადაწონიდა გამოხატვის თავისუფლებით გარანტირებულ ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების უფლებას.[12] იგივე გაიმეორა სასამართლომ ასევე საქმეში *ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ.*[13]

ამრიგად, შეიძლება ითქვას, 1980-იანი წლებიდან 2000 წლამდე პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების ფართო განმარტების საფუძველზე ის მთელ რიგ საკითხებში, განსაკუთრებით კი რეპუტაციასთან მიმართებით, რომელსაც სასამართლო არ ცნობდა მე-8 მუხლით დაცულ პირად უფლებად, ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას, განსაკუთრებით კი მედიის მხრიდან, უპირატესობას ანიჭებდა. ეს კი აიხსნებოდა მედიის განსაკუთრებული როლით, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებულობის სადარაჯოზე ყოფნის ფუნქციას.

---

[11] Jonas Gulde, "An Assessment of the European Court of Human Rights' Balancing of the Rights to Privacy and Freedom of Expression," *Edinbourgh Student Law Review*, Vol. 2, Issue1 (2013), 33.

[12] *Lingens v. Austria*, პარა. 46.

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Oberschlick v. Austria (No 2)*, (საჩივრის ნომ. 20834/92).

1.3 2000 წლის დასაწყისი – მნიშვნელოვანი ნაბიჯები პირადი ცხოვრების დასაცავად?

ძველი მიდგომისაგან განსხვავებით, 2000 წლიდან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რადიკალურად შეცვალა საკუთარი ხედვა. ამ მხრივ პირველი გამორჩეული საქმეები იყო *ფელდეკი სლოვაკეთის წინააღმდეგ,*[14] ასევე *ლესნიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ*[15] და ა. შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი არის საქმე *რადიო საფრანგეთი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ.*[16] მოცემული საქმე ეხებოდა საფრანგეთის რადიოს მიერ ყოფილ მერობის კანდიდატზე, რომელიც მუშაობდა აგარაკზე ზედამხედველად, უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელებას, რის გამოც იგი დააჯარიმეს არაკეთილსინდისიერებისთვის. ეს საქმე იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მტკიცედ განაცხადა, რომ „რეპუტაციის დაცვის უფლება განეკუთვნება კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირად უფლებათა კატეგორიას“.[17]

---

[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Feldek v. Slovakia*, (საჩივრის ნომ. 29032/95).

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *Lesnik v. Slovakia*, (საჩივრის ნომ. 35640/97).

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *Radio France and Others v. France*, (საჩივრის ნომ. 53984/00).

[17] იქვე, პარა. 31.

მოცემული სულისკვეთების გაგრძელებას წარმოადგენს ასევე საქმე *შოვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ,*[18] რომელიც წარმოადგენდა ცილისწამების ტიპურ შემთხვევას. ეს საქმე კი იმითაა გამორჩეული, რომ ევროპულმა სასამართლომ პირველად ახსენა სიტყვა „კონფლიქტი" და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში სახეზე იყო კონფლიქტი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, რაც საჭიროებდა დაბალანსებას.[19] ამით სასამართლომ პრაქტიკულად უარყო მისი ძველი მიდგომა, როცა რეპუტაციის უფლებას არ განიხილავდა პირადი უფლების ჭრილში და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც ერთი მხრივ ნიშნავდა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უფრო მყარი გარანტიების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ კი აღიარა, რომ სრულიად შესაძლებელია კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლები ერთმანეთთან მოვიდნენ კონფლიქტში, რამაც განაპირობა, სასამართლოს დაეწყო ფიქრი ამ კონფლიქტის დაბალანსებისათვის.[20]

მიუხედავად ამისა, სასამართლოს არ დაუდგენია რაიმე სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მოახდენდა კონფლიქტის დაბალანსებას. სადავო საკითხების გადაწყვეტა კვლავ პროპორციულობის პრინციპის მიხედვით ხდებოდა, რომლის მთავარი კრიტერიუმია, შეზღუდვა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში". საკითხის ამ გზით გადაწ-

---

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Chauvy and others v. France,* (საჩივრის ნომ. 64915/01).

[19] იქვე, პარა. 70.

[20] Stijn Smet, "Freedom of Expression and the Right to Reputation: Human Rights in Conflict," *American University International Law Review,* Vol. 26, Issue 1 (2010), 193-194.

ყვეტა არ უნდა იყოს საკმარისი. თუკი ადრე პროპორციულობის პრინციპით უპირატესობა ენიჭებოდა გამოხატვის თავისუფლებას, შემდგომ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ უკვე მე-10 მუხლის განმარტება უნდა მომხდარიყო უფრო ვიწროდ, ვიდრე აქამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლების აშკარა დომინირება პირადი ცხოვრების უფლებაზე უარყოფილ იქნა.[21]

სასამართლომ შემდგომ საქმეებში განმარტა, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის ცნება ვრცელდება არა მხოლოდ რეპუტაციაზე, არამედ, სახელზე, სხვა პერსონალურ მონაცემებზე, ფოტოებზე და ასევე პიროვნულ მთლიანობაზე. მე-8 მუხლი ასევე იცავს პირის განმარტოების უფლებას და უფლებას განვითარდეს და მიიღოს გადაწყვეტილებები სხვათა ჩაურევლად.[22] ამასთან, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ განმარტოების უფლებით, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, შესაბამისად, ძალზე შეზღუდული იქნებოდა პირადი ცხოვრების ცნება შემოსაზღვრულიყო მხოლოდ „შიდა წრით“ (განმარტოების უფლებით), პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე მოიცავს გარკვეულ ფარგლებში სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.[23]

---

[21] Jonas Gulde, Jonas Gulde, “An Assessment of the European Court of Human Rights’ Balancing of the Rights to Privacy and Freedom of Expression,” *Edinbourgh Student Law Review*, Vol. 2, Issue1 (2013), 34-35.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Von Hannover v. Germany*, (საჩივრის ნომ. 59320/00), პარა. 50, შემდგომში ციტირებულია, როგორც: *Von Hannover v. Germany*.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Pfeifer v. Austria*, (საჩივრის ნომ. 12556/03), პარა. 33.

როგორც ქვეთავის დასაწყისში აღინიშნა, სასამართლო პოლიტიკოსებსა და საჯარო ფიგურებს თმენის მეტ ვალდებულებას ანიჭებს ვიდრე ჩვეულებრივ პირებს. საინტერესოა ორივე ტიპის საქმეების ერთმანეთთან შედარება.

საქმეში *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ*[24] დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა არაერთი ფარული ფოტო გადაუღო მონაკოს პრონცესას, რომელიც კერძო ვიზიტებით ხვდებოდა მსახიობ ვინსენტ ლინდენს და გამოაქვეყნა ისინი კერძო გერმანულ ჟურნალებში *Bunte, Freizeit Revue* და *Neue Post*[25] სხვადასხვა პროვოკაციული სათაურებით, მათ შორის მის პარტნიორთან მიმართებითაც. მაგალითად, ის ირონიულად მოიხსენიებდა პრინცესას, როგორც „წმინდა უმანკოებას", რომელიც ვერ გახდებოდა ვინსენტის „იდეალური ცოლი".[26] ზოგიერთ სურათზე გერმანიის სასამართლოებმა დაკმაყოფილეს კაროლინ ვონ ჰანოვერის სარჩელი, თუმცა მათი ნაწილი კვლავ საჯარო რჩებოდა. ამასთან, არც ჟურნალისტი აპირებდა გაჩერებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას (რომელიც ასევე ექცევა მე-8 მუხლით დაცული უფლების ფარგლებში) პირს აქვს იმის „ლეგიტიმური მოლოდინი", რომ მისი პირადი ცხოვრება იქნება დაცული.[27] ეს კი იმას ნიშნავს, სახელმწიფოს აქვს არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება არ ჩაერიოს პირის პირად ცხოვრებაში, არამედ მას ეკისრება ასევე პოზიტიური ვალდებულებაც, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შექმნას სათანადო

---

[24] *Von Hannover, v. Germany*, იხ. სქოლიო 22.
[25] იქვე, პარა. 10, 11 და შემდგომნი.
[26] იქვე, პარა. 11-13.
[27] იქვე, პარა. 51.

პირობები, რომ არ მოხდეს კონვენციით დაცულ უფლებაში თვითნებური ჩარევა. სასამართლომ ასევე გაიმეორა, რომ პირადი ცხოვრების უფლება აუცილებლად უნდა იქნას დაბალანსებული გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან მიმართებით, რადგან ორივე უფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებელ პრინციპებს. სასამართლომ გაიმეორა, რომ მე-10 მუხლი ვრცელდება ასევე იდეების, ფოტოების და სხვა პირადი დეტალების, მათ შორის ინტიმური სფეროს შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზეც, ამასთან დასძინა, რომ საქმეში არსებული სურათები, სადაც კაროლინი მის პარტნიორთან ერთად ჩანდა, წარმოადგენდა განმცხადებლის ინტიმური ცხოვრების ამსახველ კადრებს.[28] მსგავსი სახის ინფორმაციის გავრცელებისათვის აუცილებელია აშკარა საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი ინტერესი შესაძლოა სახეზე იყოს ისეთ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება მაგალითად, პოლიტიკური თანამდებობის პირის საქმიანობას. ამ შემთხვევაში, მედიის, როგორც საზოგადოების ინფორმირებულობის უფლების სადარაჯოზე მყოფი ინსტიტუტის მე-10 მუხლით დაცულმა უფლებამ შესაძლოა გადაწონოს პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. რაც შეეხება განმცხადებელს, ის არ წარმოადგენდა არც პოლიტიკოსს, არც საჯარო მოხელეს, არამედ გამოჩენილი იყო, როგორც კულტურულ სფეროში მოღვაწე პირი. რაც შეეხება ფოტოებს, მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მის საქმიანობასთან და შესაბამისად წარმოადგენდნენ განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევას. ასეთ შემთხვევებში, გამოხატვის თავისუფლების ინტერპრეტაცია

[28] იქვე, პარა. 57-59.

უნდა მოხდეს ვიწროდ. სასამართლომ გაიმეორა, რომ პირის პირადი ცხოვრების დაცვა ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც ვრცელდება ასევე მის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზეც. შესაბამისად პირს აქვს ლეგიტიმური მოლოდინი, იყოს დაცული. სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს შორის ბალანსის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ზოგადი საზოგადოებრივი განხილვის ინტერესის არსებობა. მოცემულ საქმეში კი ასეთი ინტერესი არ დადასტურდა, რადგან საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს იმ პირის პირადი ცხოვრების დეტალების განხილვის ინტერესი, რომელიც გვევლინება კერძო პირად და არ ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას.[29] შესაბამისად სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.

უფლებათა შორის ასეთი ბალანსის არსებობა დაადასტურა სასამართლომ შემდგომ საქმეებშიც. ამ მხრივ საინტერესოა საქმე *გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ,*[30] სადაც ჟურნალისტი (გორელიშვილი) იკვლევდა პარლამენტარის ფინანსურ მდგომარეობას მის მიერვე შევსებული დეკლარაციის საფუძველზე. ჟურნალისტური გამოძიებისას განმცხადებელმა დაადგინა, რომ პარლამენტარს ჰქონდა არაერთი აგარაკი, მათგან ყველა არ ჰქონდა მითითებული დეკლარაციაში. ჟურნალისტმა დაიწყო ფოტოების შეგროვება და მათი გაზეთში გამოქვეყნება, სადაც პარლამენტარს კორუფციაში ამხელდა. სასამართლომ გაიმეორა მედიის აქტიური

---

[29] იქვე, პარა. 60-77.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Gorelishvili v. Georgia,* (საჩივრის ნომ. 12979/04).

როლის ფუნდამენტური მნიშვნელობა, ასევე ცილისწამებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ იმ დროისთვის საქართველოს არ ჰქონდა მიღებული სათანადო კანონი, რომელიც მოაწესრიგებდა გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკოსთა თმენის საკითხებს, არსებობდა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც არ იყო ცხადი და განჭვრეტადი, შესაბამისად, შეზღუდვა ამ მუხლზე მითითებით ვერ დააკმაყოფილებდა კანონიერების კრიტერიუმის მოთხოვნას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ წარმოთქმული პროვოკაციული მოსაზრებები წარმოადგენდა პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაციის სუბიექტურ შეფასებას, ამ შემთხვევაში კი გაუმართლებელია მასზე მტკიცების ტვირთის დაკისრება. სასამართლო დააკმაყოფილა არგუმენტმა, რომ განმცხადებელი უფლებამოსილი იყო შეემოწმებინა პარლამენტარის მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაცია. ამასთან, ხაზი გაუსვა, პარლამენტარი წარმოადგენდა პოლიტიკურ ფიგურას და ასრულებდა საჯარო უფლებამოსილებას, რომელიც საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული. შესაბამისად ჟურნალისტისთვის ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების შეზღუდვა დაკვალიფიცირდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად.[31]

ამრიგად, მოცემულ ქვეთავში განხილული საქმეების ანალიზიდან აშკარაა, რომ სასამართლო მეტი გულისყურით მოეკიდა პირადი ცხოვრების მნიშვნელობას, გააფართოვა ის და რიგ საკითხებში უპირატესობა მიანიჭა ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებასთან მიმართებით. ამასთან, სასამართლომ შეიმუშავა გარკვეული დამაბალანსებელი მექანიზმი. კერძოდ, ყურადღება ექცევა ზოგადი საზოგადოებრივი ინტე-

[31] იქვე, პარა. 31-43.

რესის არსებობას, რომლისთვისაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი არის, ასრულებს თუ არა პირი საჯარო უფლებამოსილებას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პოლიტიკოსებთან მიმართებით მედიას გამოხატვის უფრო მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭოს, რათა შეასრულოს თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და იყოს საზოგადოების ინფორმირებულობის სადარაჯოზე. ასეთ შემთხვევებში, განსხვავებით ჩვეულებრივი კერძო პირებისა, გამოხატვის თავისუფლებას უფრო მეტი წონა აქვს ვიდრე პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების უფლებას.[32]

1.4 თანამედროვე ტენდენციები – რეტროგრადული აზროვნება თუ საბოლოო ზღვრის დადგენა?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებები შედარებით ახალ მიდგომას აყალიბებს. ამ მხრივ საინტერესოა საქმეები *მგნ ლიმითედ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*[33] და *ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (ნომ. 2).*[34] ორივე საქმე ეხება პრესის მხრიდან ცნობად პიროვნებათა პირად ცხოვრებაში ჩარევის საკითხებს და

[32] Dirk Voorhoof, "Freedom of Expression Under the European Human Rights System – From Sunday Times (No 1) v. U. K. (1979) to Hachette Filipacchi Associes (Ici Paris) v. France (2009)," *Inter-American and European Human Rights Journal*, Vol. 2, (2009), 23.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *MGN Limited V. The United Kingdom,* (საჩივრის ნომ. 39401/04).

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Von Hannover v. Germany (No. 2)*, (საჩივრის ნომ. 40660/08 და 60641/08).

საინტერესოა თუ რა სახის პოზიცია დაიჭირა სასამართლომ მე-8 და მე-10 მუხლების დაბალანსებასთან მიმართებით.

საქმე *მგნ ლიმითედ* ეხება ცობილი მსახიობისა და მომღერლის, ნაომი კემპბელის[35] პირად ცხოვრებაში ჩარევას პრესის მხრიდან. პრესის მიერ გამოქვეყნებული სტატიებითა და ფოტოებით, რომელებიც ეხებოდა მსახიობის ჯანმრთელობის საკითხებს, ირკვეოდა, რომ თითქოს ის იყო ნარკოტიკების მომხმარებელი. აღნიშნული ფაქტი შემდგომ არ დადასტურდა ექსპერტიზის მიერ. კემპბელმა მოიგო შიდასასამართლო ინსტანციები. ამის შემდეგ, გამომცემლობამ განცხადება შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მის მიმართ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოტივით. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროპორციულობის პრინციპის განხილვას, კერძოდ იყო თუ არა შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა განიმარტოს ვიწროდ. ეს საქმე იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა არა იმიტომ, რომ გამომცემელს შეეზღუდა კემპბელის პირადი ინფორმაციის გავრცელება (სასამართლომ ჩათვალა, რომ მსახიობის რეპუტაციის, ინტიმური სფეროსა და პირადი ცხოვრების დაცვის მოტივით პრესის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენდა ლეგიტიმურ მიზანს და ამ მხრივ დაცული იყო პროპორციულობის პრონციპი),[36]

---

[35] *კემპბელის* საქმე შემდგომ უფრო დეტალურად იქნება განხილული ინგლისის მაგალითზე.

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *MGN Limited V. The United Kingdom,* (საჩივრის ნომ. 39401/04), პარა. 154-156.

არამედ იმიტომ, რომ გამომცემლობას დაეკისრა დიდი ოდენობით ჯარიმა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა პროპორციულობის ტესტს.[37]

რაც შეეხება *ვონ ჰანოვერი (2)-ის* საქმეს,[38] შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ მსჯელობაში საკუთარ თავს „გადააჭარბა", რადიკალურად უარყო რა რამოდენიმე წლის წინ მის მიერვე გამოტანილი გადაწყვეტილება ამავე საქმეზე.[39] თუკი წინა გადაწყვეტილებაში მე-8 და მე-10 მუხლების კონფლიქტის დაბალანსების კუთხით სასამართლომ გამოყო ორი მთავარი ფაქტორი: ა) ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა; ბ) საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, თავის მეორე გადაწყვეტილებაში დიდი პალატა დაეყრდნო მხოლოდ პირველი კრიტერიუმის, ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი პირის, რომელიც საზოგადოებისათვის ცნობადია, პირადი ცხოვრების უფლებას, გადაწონის სხვათა გამოხატვის თავისუფლება.[40]

საქმეში *აქსელ შპრინგერი გერმანიის წინააღმდეგ,*[41] გამომცემლობამ გამოაქვეყნა მსახიობის სურათები, რომელიც დააკავეს კოკაინის მოხმარებისათვის. მოცემულ საქმეში სა-

---

[37] იქვე, პარა. 219-220.

[38] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Von Hannover v. Germany (No. 2)*, (საჩივრის ნომ. 40660/08 და 60641/08).

[39] აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება განხილულია წინა ქვეთავში.

[40] Elspeth Reid, "Rebalancing Privacy and Freedom of Expression," *Edinburgh Law Review*, Vol. 16, Issue 2, (2012), 257.

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Axel Springer AG v. Germany*, (საჩივრის ნომ. 39954/08).

სამართლომ აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ მე-8 მუხლი მოვიდეს მოქმედებაში, პირის რეპუტაციაზე შეტევა უნდა აკმაყოფილებდეს სერიოზოლობის გარკვეულ დონეს. მე-8 მუხლზე დაყრდნობა გამოირიცხება ისეთ შემთხვევებში, როდესაც რეპუტაციის შელახვა არის თავად ამ პირის მოქმედებათა ლოგიკური შედეგი.[42]

ამრიგად, თანამედროვე საქმეების (განსაკუთრებით, *ვონ ჰანოვერი (2))* ანალიზით ირკვევა, რომ სასამართლო ნაწილობრივ კვლავ დაუბრუნდა პირველი თაობის საქმეებს, სადაც გამოხატვის თავისუფლებას აშკარა უპირატესობა ენიჭებოდა. თუმცა სასამართლო კვლავ აღიარებს პირად ცხოვრებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონფლიქტს. ასევე გვთავაზეობს ახლებურ მიდგომას, სადაც გადამწყვეტი ფაქტორი ენიჭება ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობას. რიგ შემთხვევებში კი[43] დაწესებულია ზღვარი მე-8 მუხლის ასამოქმედებლად.

2. ანგლო-ამერიკულ სამართალში დამკვიდრებული ხედვა

2.1 პირადი სფეროს პატივისცემის უფლება ინგლისის მაგალითზე

ინგლისში საკმაოდ მწირია ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მრავალმხრივად დაიცავდა ინდივიდის პირად სფეროს ჩაურევლობისაგან. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენი-

[42] Elspeth Reid, “Rebalancing Privacy and Freedom of Expression,” *Edinburgh Law Review*, Vol. 16, Issue 2, (2012), 258.

[43] *მაგალითად, ნახსენები* Springer-*ის საქმე.*

ჭება სასამართლო პრაქტიკას. პირად სფეროსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის არსებული კონფლიქტის დასარეგულირებლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონია ადამიანის უფლებათა 1998 წლის აქტი,[44] რომელიც მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაციისთვის.[45]

პირადი სფერო თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პირადი ინფორმაციის ფლობას, არამედ ის ინდივიდს საშუალებას აძლევს განავითაროს საკუთარი პიროვნება, როგორც განცალკევებით, ასევე საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობით. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც ამატებს, რომ პირადი სფერო მოიცავს ინდივიდის უფლებას განახორციელოს „ექსპერიმენტები" საკუთარ ცხოვრებაზე, შეიცვალოს ხასიათი, გარეგნობა, თავისუფლად აირჩიოს პროფესია და დაგეგმოს საკუთარი მომავალი, ასევე გაუზიაროს საკუთარი პერსონალური თუ პირადული ინფორმაცია სხვებს. მეცნიერთა ნაწილი ახლებურ ხედვას აყალიბებს, რომლის თანახმადაც, პირადი ინფორმაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი ნაირსახეობა იმ მხრივ, რომ ინდივიდი თავად წყვეტს თუ ვის, სად და რა ვითარებაში გაანდოს ის. ამ მხრივ კი შესაძლოა უფლებათა კონფლიქტი, როგორც ასეთი საერთოდ არ იყოს სახეზე.[46]

მიუხედავად ამისა, საინტერესოა თუ როგორი პოზიცია უჭირავს სასამართლოს. საჭიროა გაეცეს შემდეგ კითხვას პასუხი, არის თუ არა სახეზე პრეზუმფცია რომელიმე უფ-

---

[44] Human Rights Act 1998.

[45] George WEI Sze Shun, "MilkyWay and Andromeda: Privacy, Confidentioality and Freedom of Expression," *Singapore Academy of Law Journal*, Vol. 18, Issue 1, (March 2006), 15.

[46] *იქვე*, 16.

ლების სასარგებლოდ? საქმეში *Campbell v MGN Ltd*[47] ინგლისის ლორდთა პალატამ[48] აღნიშნა, რომ როგორც პირადი სფეროს, ასევე გამოხატვის თავისუფლების უფლება, თანაბარი მნიშვნელობის უფლებებია და ორივე მათგანი ფუნდამენტური ღირებულებისაა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. ამასთან, არც ერთი მათგანი არ დომინირებს მეორეზე.[49]

ერთადერთი ინგლისური საქმე, რომელიც აღნიშნულთან დაკავშირებით ბადებს გარკვეულ შეკითხვებს არის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში *A v B plc,* რომელიც ეხებოდა ცნობილი ფეხბურთელის სექსუალური ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. სასამართლომ მოცემულ საქმეზე განაცხადა, რომ დაუშვებელი იყო შეზღუდულიყო ფეხბურთელის შესახებ მოცემული ინფორმაციის გავრცელება წინასწარი ზომის სახით, მანამ, სანამ ის სასამართლოში არ დაამტკიცებდა იმ ფაქტს, რომ მისი პირადი ხასიათის ინფორმაციის გავრცელების უფლება არ ჰქონდა გამომცემლობას.[50] ამ საქმეში სასამართლომ თითქოს გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართოდ განმარტა, თუმცა

---

[47] *Campbell v MGN,* გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 2004 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია.: <http://www.bailii.org/cgi-bin/markup.cgi?doc=/uk/cases/UKHL/2004/22.html&query=campbell&method=all> [19.08.2015].

[48] 2010 წლამდე ინგლისის ლორდთა პალატას ჰქონდა ასევე სასამართლო ფუნქციებიც შეთავსებული. შემდგომ ეს ფუნქციები სრულად გადავიდა ინგლისის უზენაესი სასამართლოს კომპეტენციის ქვეშ. იხ.: <https://www.princeton.edu/~achaney/tmve/wiki100k/docs/Judicial_functions_of_the_House_of_Lords.html> [19.08.2015].

[49] *Campbell,* §12.

[50] George WEI Sze Shun, *(დასახელებული ნაშრომი),* 19.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამავე საქმეში სასამართლომ კვლავ გაუსვა ხაზი ორივე უფლების თანასწორ ხასიათს.[51]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რასაც ყურადღება ექცევა არის პირადი სფეროს დაცულობის გონივრული მოლოდინის არსებობა.[52] აღნიშნულს პირადი სფეროს დასაცავად დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის არსებობას გამოხატვის თავისუფლებისათვის.[53] *Campbell-ის* საქმეში, ლორდთა პალატამ აღნიშნა, ინფორმაციის პირადული ხასიათის ერთ-ერთი ინდიკატორია ის, რომ ინდივიდს, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, აქვს მისი დაცულობის გონივრული მოლოდინი.[54] მომდევნო საქმეებში, მაგალითად, როგორიცაა *Associated Newspapers Limited v Prince of Wales,*[55] სასამართლომ იგივე გაიმეორა და დაამატა, რომ ბევრ საქმეში ინფორმაცია შესაძლოა იყოს ერთდროულად, პირადი და კონფიდენციალური ხასიათის. სასამართლომ პირადი ინფორმაციის ბუნება ახსნა შემდეგნაირად, ის უნდა შეიცავდეს ისეთი სახის ინფორმაციას, რომელსაც ის, ვისაც ეხება, თვლის პირადულად და არ სურს გაუზიაროს ფართო მასებს.[56] მიუხედავად ამისა, მეც-

---

[51] იქვე.

[52] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ის მოხსენიებულია, როგორც „ლეგიტიმური მოლოდინი", იხ. წინა ქვეთავები.

[53] George WEI Sze Shun, *(დასახელებული ნაშრომი),* 47.

[54] *Campbell,* პარა. 96.

[55] *Associated Newspapers Limited v Prince of Wales,* გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, იხ.: <http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/2006/1776.html> [19.08.2015]

[56] *Associated Newspapers Limited, პარ.* 33.

ნიერთა ნაწილი თვლის, რომ პირადი სფეროს დაცულობის გონივრული მოლოდინის კრიტერიუმი საკმაოდ აბსტრაქტულია და ბუნდოვანია.[57] განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფორმაცია გასაჯაროვდება. მაგალითად, *Campbell*-ის საქმეზე ლორდმა ნიკოლასმა გამოთქვა აზრი, რომლის თანახმადაც, მას შემდეგ, რაც მსახიობის ნარკოდამოკიდებულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრესამ დაუდასტურებელი ინფორმაცია გაავრცელა, მას უკვე მაინც ვეღარ ექნებოდა იმის გონივრული მოლოდინი, რომ მისი პირადი სფერო ამ მხრივ შემდგომში დაცული იქნებოდა, რადგან შეკითხვები საზოგადოებაში ყოელთვის დარჩებოდა.[58] საბოლოოდ მოცემულ საქმეში უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ იბფორმაციის გამჟღავნებით შეილახა მოსარჩელის პირადი სფეროს პატივისცემის უფლება.

საგულისხმოა, რომ როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *კემპბელის*[59] საქმეზე, დაადგინა, რომ დაირღვა პრესის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა არა იმიტომ, რომ რომ პრესას აეკრძალა კემპბელის ფოტოების გამოქვეყნება, არამედ იმიტომ, რომ გამომცემლობას დიდი ოდენობით ჯარიმა დაეკისრა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოოთ, რომ ევროპული სასამართლო სრულად დაეთანხმა ინგლისის სასამართლოების მსჯელობას პირადი სფეროს პატივისცემასთან მიმართებით.

---

[57] Geoffrey Gomery, “Whose Autonomy Matters - Reconciling the Competing Claims of Privacy and Freedom of Expression,” *Legal Studies*, Vol. 27, Issue 3, (September 2007): 410, 27 Legal Stud. 404 (2007).

[58] George WEI Sze Shun, *(დასახელებული ნაშრომი),* 48-49.

[59] იხ. წინა ქვეთავში განხილული *MGN Limited*-ის საქმე.

2.2 ღია მმართველობის პრინციპი და პირადი და პერსონალური ინფორმაციის დაცვის მოლოდინი ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში ინფორმაციის თავისუფლებას, განსაკუთრებით კი საჯარო სტრუქტურების გამჭვირვალობასა და საჯარო ინფორმაციაზე წვდომას, ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მისი მიზანია ხალხმა შეძლოს მათ მიერ არჩეული და დაფინანსებული ხელისუფლების კონტროლი.[60] მართალია, გამჭვირვალე მმართველობის პრინციპი ფუნდამენტური ღირებულებისაა დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის, თუმცა საჯარო ინფორმაციაზე ფართო წვდომამ შესაძლოა გამოიწვიოს ინდივიდის პირადი და პერსონალური ინფორმაციის არაპირდაპირი ხელყოფა.[61]

საქმეში *Pennsylvania State University v. State Employees' Retirement Board (Penn State),*[62]უნივერსიტეტის პერსონალი ასაჩივრებდა შემცირების კომისიის მიერ მათი სახელებისა და ხელფასების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას. პენსილვანიის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა,

---

[60] Deborah G. Johnson, Priscilla m. Regan, Kent Wayland, "Campaign Disclosure, Privacy and Transparency," *William & Mary Bill of Rights Journal*, Vol. 19, Issue 4 (May 2011), 959.

[61] Lindsay M. Schoeneberger, "Striking a Balance Between Public Interest of Transparency of Government and The privacy of Personal Identification and Sexurity Information: An Examination of Tribune-Review Publishing Co. V. Bodack," *Widener Law Journal*, Vol. 19, Issue 2 (2010), 577-578.

[62] *Pa. State Univ. v. State Wmployees' Ret. Bd.* (*Penn State),* 935 A.2d 530 (2007), აშშ, პენსილვანიის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია.: <http://caselaw.findlaw.com/pa-supreme-court/1028247.html> [19.08.2015].

რომ კანონმდებლობით დაცულია ინდივიდის პირადი სფეროს უფლება, რომლის თანახმადაც, პირადი ხასიათის ინფორმაცია უნდა იყოს ამორიცხული ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციიდან, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს პიროვნების რეპუტაციას ან პირად უსაფრთხოებას. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელფასებისა და სახელების გასაჯაროება ამ შემთხვევაში (რადგან შემცირების კომისია წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო მოსარჩელეებმა მათი საკითხის განხილვა მიანდეს კომისიას) არ წარმოადგენდა იმ დონის პირად ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაც მათ რეპუტაციას ან უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნიდა.[63]

საქმეში *Tribune-review Publishing Co. v. Bodack,*[64] პენსილვანიის უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა დამაბალანსებელი ტესტი. საქმე ეხებოდა მობილური ტელეფონების ნომრების ჩანაწერების გავრცელებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ტელეფონების წიგნი, როგორც ასეთი, არის საჯარო ინფორმაცია, შესაბამისად, მათი გასაჯაროება დასაშვებია, თუმცა უნდა აღინიშნოს, იმის საზოგადოებრივი ინტერესი, რომ კონკრეტული პირის მობილურის ნომერი იქნას გასაჯაროებული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ინდივიდის ინტერესი დაცული იყოს მისი პირადი ინფორმაცია.[65] შედეგად, დასაშ-

---

[63] Lindsay M. Schoeneberger, “Striking a Balance Between Public Interest of Transparency of Government and The privacy of Personal Identification and Sexurity Information: An Examination of Tribune-Review Publishing Co. V. Bodack,” *Widener Law Journal,* Vol. 19, Issue 2 (2010), 580-582.

[64] case of *Tribune-review Publishing Co. v. Bodack,* 961 A.2d 110, (2008), აშშ, პენსილვანიის შტატის უზენაესი სასამართლო, იხ.: <http://caselaw.findlaw.com/pa-supreme-court/1431680.html> [19.08.2015]

[65] Lindsay M. Schoeneberger, “Striking a Balance Between Public Interest of Transparency of Government and The privacy of Personal Identification

ვები გახდა ტელეფონის ნომრების წიგნის გასაჯაროება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდებოდა მისი რედაქტირება, კერძოდ სახელები და გვარები შეიცვლებოდა ინიციალებით.[66]

საქმეში *jackson v. Texas Department of Public Safety,*[67] საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტმა შეადგინა იმ პირთა სია, რომელთაც ჩამოერთვათ მართვის უფლება. მოქალაქემ მოითხოვა ამ ინფორმაციის გაცნობა. დეპარტამენტმა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ეს გამოიწვევდა სიაში ნახსენებ პირთა პირადი ინფორმაციის გამჟღავნებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე, თუმცა ამან არ უნდა ხელყოს სხვა პირთა პირადი სფეროს პატივისცემის უფლება. მოცემულ საქმეში, იმისთვის, რომ ინფორმაცია გასაჯაროებულიყო, მტკიცების ტვირთი დაეკისრა მოსარჩელეს, კერძოდ მას უნდა დაემტკიცებინა გასაჯაროების საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს უარი იყო მართებული.[68]

საქმეში *Texas Comptroller of Public Accounts v. Attorney General of Texas,*[69] ერთ-ერთმა ჟურნალმა საჯარო ანგარიშე-

---

and Sexurity Information: An Examination of Tribune-Review Publishing Co. V. Bodack," *Widener Law Journal*, Vol. 19, Issue 2 (2010), 590.

[66] იქვე, 584 და შემდგომნი.

[67] case of *jackson v. Texas Department of Public Safety,* 243 S.W.3d 754 (Tex. App. – Corpus Christi 2007), აშშ, ტეხასის სააპელაციო სასამართლო, იხ.: <http://caselaw.findlaw.com/tx-court-of-appeals/1108991.html> [19.08.2015].

[68] Teresa Wohlers, Leigh Vander, Ryan Rollans, ... etc., "Case Law Update," *Texas Tech Administrative Law Jurnal*, Vol. 10, Issue 1 (Fall 2008), 143.

[69] case of *Texas Comptroller of Public Accounts v. Attorney General of Texas,* 244 S.W.3d 629 (2008), აშშ, ტეხასის უზენაესი სასამართლო, იხ.:

ბის ზედამხედველისგან მოითხოვა ყველა სახის ინფორმაცია ყველა საჯარო მოხელეზე, მათ შორის, მათი დაბადების თარიღები. ზედამხედველმა უარი განუცხადა გამომცემლობას იმ მოტივით, რომ აღიშნული შეიცავდა კონფიდენციალურ ინფორმაციას. სასამართლომ განაცხადა, რომ საჯარო მოხელეთა დაბადების თარიღები წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას და შესაბამისად გამომცემლობას უნდა დაემტკიცებინა მათი გასაჯაროების საჯარო ინტერესის არსებობა.[70]

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსხვავებით კერძო პირებისაგან (კომპანიებისაგან), ადმინისტრაციულ ორგანოებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რათა არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც ხელყოფს სხვათა პირად ან პერსონალურ ინფორმაციას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაცვით სარგებლობენ არა მხოლოდ კერძო პირები, არამედ თავად ადმინისტრაციული ორგანოს მოხელეებიც.

დასკვნა

ამრიგად, პირადი ცხოვრება და გამოხატვის თავისუფლება თითქმის ყოველთვის მოდიან კონფლიქტში, რომლის გადაწყვეტაც მრავალგვარი შეიძლება იყოს, დაწყებული რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭებით და დასრულებული შუალედური გადაწყვეტილებით. ადამიანის უფლება-

---

<http://caselaw.findlaw.com/tx-supreme-court/1546821.html> [19.08.2015].

[70] Teresa Wohlers, Leigh Vander, Ryan Rollans, ... etc., “Case Law Update,” *Texas Tech Administrative Law Jurnal*, Vol. 10, Issue 1 (Fall 2008), 142.

თა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც უხვად იქ-
ნა მიმოხილული, არაერთგვაროვანია, კერძოდ, არ არის შე-
მუშავებული არც ერთგვაროვანი ტესტი. გადაწყვეტილებათა
ნაწილში ყურადღება ექცევა, როგორც ზოგადი საზოგადოებ-
რივი ინტერესის არსებობას, ასევე საჯარო უფლებამოსილე-
ბის განხორციელების მომენტს. უკანასკნელი პერიოდის გა-
დაწყვეტილებები კი მხოლოდ ზოგადი საზოგადოებრივი ინ-
ტერესის კრიტერიუმით კმაყოფილდებიან, რაც იწვევს გამო-
ხატვის თავისუფლების გაფეტიშებას, ამით კი სასამართლო
თითქოს რეტროგრადულად აზროვნებს და უბრუნდება პირვე-
ლი თაობის საქმეებს, იმ განსხვავებით, რომ აღიარებს უფ-
ლებათა შორის კონფლიქტის არსებობას. საინტერესოდ უყუ-
რებენ მოცემულ პრობლემას ანგლო-ამერიკული სამართლის
ქვეყნები. მეცნიერთა ნაწილი საერთოდ უარყოფს კონფლიქ-
ტის არსებობას და პირად სფეროსა და ინფორმაციის გავ-
რცელებას გამოხატვის თავისუფლების ორ მხარედ მიიჩნევენ.
თუმცა სასამართლო პრაქტიკა ცდილობს გარკვეული ტესტი
ჩამოაყალიბოს, ძირითადად კი ესაა იმის გონივრული მოლო-
დინი, რომ პირადი სფერო იქნება დაცული. ამასთან, აღსა-
ნიშნავია ამ კრიტერიუმის ბუნდოვანი ხასიათი. ბოლოს კი
შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ როგორც ადამიანის
უფლებათა ევროპული სასამართლო, ასევე ანგლო-ამერიკული
სამართალი გაცილებით მკაცრად უდგება საჯარო ხელისუფ-
ლების მიერ პირადი ინფორმაციის გავრცელების საკითხს,
რაც ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს გამჭვირვალე მმართველო-
ბის პრინციპს. ყოველივე კი შეიძლება აიხსნას სამართლის
თეორიაში კარგად დამკვიდრებული მოსაზრებით, რომ პოლი-
ტიკა დომინირებს სამართალზე, რომელიც, გარკვეულწილად,
პოლიტიკის პროდუქტია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე

დემოკრატიულ საზოგადოებაში კი ძალზე ფეხმოკიდებულია ლიბერალური მიდგომა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს შეზღუდვას ადამიანის უფლებებით. შედეგად, კერძო სექტორს, მაგალითად, პრესას, მედიას და ა. შ. ყოველთვის უფრო მეტი შანსი აქვთ თავიანთი გამოხატვის თავისუფლებით გადაფარონ ინდივიდის პირადი სფეროს დაცვის უფლება, მაშინ, როცა სახელმწიფო სტრუქტურები ყოველთვის მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნებიან ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

Giorgi Bagdavadze – Student (MA) at Tbilisi State University, Faculty of Law, Institute of International Law, (1st year)

WHERE DO YOU DRAW THE LINE BETWEEN THE FREEDOM TO IMPART INFORMATION AND THE RIGHT TO RESPECT FOR PRIVATE AND FAMILY LIFE?

Freedom of expression as well as the right to protect privacy and family life is one of the cornerstones for a modern society. Lots of universal deeds guarantee these two rights, especially the Universal Declaration of Human Rights, the International Covenant on Civil and Political Rights, as well as regional conventions like European or Inter-American Conventions on Human Rights. However, in practice there are numerous cases were these rights need to be balanced with each other.

This article tries to analyze the above-mentioned situation and in particular, if there is a horizontal or vertical relationship between the Right to Freedom of Expression and the Right to Privacy? Under which circumstances does one right prevail over the other? How do international courts, such as European Court of Human Rights, deal with issues like this? Is there a straight and systematic approach to resolve a collision of these rights?

The article also compares how these issues are discussed and solved on different domestic levels. Particularly, it focuses on UK and USA case-law. Finally, the different approaches to these issues are summarized.

სალომე გორგოძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

რელიგიური თემატიკა და ეთიკური სტანდარტი ქართულ ონლაინმედიაში

შესავალი

რელიგიური საკითხების გაშუქება იმგვარ თემათა რიგს განეკუთვნება, რომელსაც მედია აქტუალურად აშუქებს. აქედან გამომდინარე, მედია ვალდებულია აღნიშნული თემა პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვით გააშუქოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რელიგიური თემის არასწორად გაშუქებამ შესაძლოა საზოგადოებაში არსებულ რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებასა და კონფლიქტის გაღვივებას შეუწყოს ხელი. წარმოქმნას სტერეოტიპები ან უკვე არსებული განამტკიცოს.

საკვლევი თემა მნიშვნელოვანია, რადგან რელიგიის თავისუფლების უფლების გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. ამ პროცესში განსაზღვრულია მედიის განსაკუთრებული როლი, ობიექტურად ასახოს მოვლენები, იმსჯელოს რელიგიური პრობლემატიკის შესახებ და ამ თვალსაზრისით უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა. რელიგიური თავისუფლება აღიარებულია, როგორც ქვეყნის უმაღლესი კანონით – კონსტიტუციით,

ასევე საერთაშორისო აქტებით. ის მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის ადამიანები. რელიგიური პრობლემები ჩვენს ქვეყანაში პერიოდული გააქტიურებით ხასიათდება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული რელიგიური კონფლიქტის ამსახველი ცალკეული ფაქტები არაერთგზის ქცეულა მედიისა და საზოგადოების განსჯის საგნად. საქართველოს სახალხო დამცველის 2013-2014 წლის ანგარიშების[1] მიხედვით, რელიგიური თავისუფლების დაცვის მიმართულებით უმთავრეს თემას რელიგიური ნიშნით გამოვლენილი შეუწყნარებლობისა და ძალადობის ფაქტები წარმოადგენდა.

განვითარებული მოვლენების ფონზე აქტუალიზდება საკითხი, თუ როგორ აშუქებს თანამედროვე ქართული მედია რელიგიურ თემატიკას.

კვლევის მიზანია, გამოვავლინოთ ონლაინმედიაში რელიგიური თემების გაშუქების სადღეისოდ არსებული ტენდენციები. შევისწავლოთ, რამდენადაა დაცული ამ თემის გაშუქებისას პროფესიული სტანდარტი და ეთიკური ნორმები.

---

[1] სახალხო დამცველის ანგარიში 2014, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf> [05.05.2015]. ასევე სახალხო დამცველის ანგარიში 2013, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf> [05.05.2015].

კვლევის ჰიპოთეზა: თანამედროვე ქართულ ონლაინმედიაში რელიგიური საკითხების გაშუქებისას ვხვდებით პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტებს, ონლაინმედია მოვლენურად ინტერესდება აღნიშნული თემით.

1. პროფესიული სტანდარტი და ეთიკის ნორმები რელიგიური პრობლემატიკის გაშუქებისას

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რელიგიური საკითხების გაშუქების შესახებ გამოქვეყნებული არაერთი კვლევის ანგარიში გვარწმუნებს, რომ ქართული მედიის პრობლემათა შორისაა რელიგიური პრობლემატიკის არასწორად გაშუქების საკითხი. იმდენად, რამდენადაც, მნიშვნელოვანია მედიის როლი ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოებაში სწორი ღირებულებების დამკვიდრების საქმეში, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ფუნდამენტური პროფესიული სტანდარტი: ბალანსი, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა.

რა სახის ეთიკურ პრინციპებსა და პროფესიულ სტანდარტებზეა საუბარი, როცა მედია რელიგიურ საკითხებს აშუქებს? საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის[2] პრეამბულის მე-7 პუნქტი პირდაპირ ეხმიანება ადამიანის უფლებების უპირობო დაცვის იდეას, რომ ჟურნალისტის მხრიდან დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

---

[2] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია: <http://qartia.org.ge/?page_id=1371> [31.08.2015].

როგორც მსოფლიოში არსებული მედიაეთიკის კოდექსებშია განსაზღვრული ჟურნალისტური ეთიკა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან: „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა გულისხმობს ადამიანის ისეთი ღირებულებების პატივისცემას, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მშვიდობა და საერთაშორისო ურთიერთგაგება“.

აღსანიშნავია ევროპის ქვეყნებში არსებული მედიაეთიკის კოდექსები[3], სადაც ცალკე მუხლი ეთმობა რელიგიური თემების გაშუქებას:

- ჟურნალისტმა თავისი საქმიანობით ხელი არ უნდა შეუწყოს კონფლიქტების გაღვივებას რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ კლასობრივი განსხვავებების საფუძველზე – ბულგარეთი;
- ისეთი ტექსტისა და ფოტოს გამოქვეყნება, რომლის ფორმა ან შინაარსი ღრმად შეურაცხყოფს ამა თუ იმ ჯგუფის ზნეობრივ და რელიგიურ გრძნობებს, შეუთავსებელია პრესის პასუხისმგებლობასთან – გერმანია;
- რელიგიური შეხედულებები, ინსტიტუტები, ერთა წეს-ჩვეულებები, ხალხი და რასები, ისევე როგორც მოქალაქეთა პირადი და ოჯახური ცხოვრება დაცული და ხელშეუხებელია – საბერძნეთი;
- შეხედულებათა მრავალფეროვნების პატივისცემა გულისხმობს, ჟურნალისტის მიერ, რაც შეიძლება მე-

[3] ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, ბროშურა გამოცემულია ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2003, გვ. 24-25.

ტი მიუკერძოებელი პირის თვალსაზრისის წარმოდგენას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საინფორმაციო საშუალებით ოპერატიული, ბუნდოვანი ან წინააღმდეგობრივი საკითხი შუქდება – ლიტვა;

- თითოეული ადამიანის ღირსება და რეპუტაცია დაცული უნდა იყოს. კანის ფერი, ეროვნება, წარმომავლობა, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსი, სქესი და სხვა პიროვნული მახასიათებლები არ უნდა გამოქვეყნდეს, თუ ისინი არ უკავშირდება მოცემულ საკითხს ან დამამცირებელი ფორმითაა მოყვანილი – ფინეთი.

რელიგიური საკითხების გაშუქებისას, საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტების[4] მიხედვით, მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი დაუკვირდეს, როგორი ენით აღწერს სხვა რელიგიურ ჯგუფებს, ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა ჟურნალისტმა შეურაცხმყოფელად არც კი მიიჩნიოს, მაგრამ ჯგუფის წევრები, რომელთა შესახებაც მზადდება მასალა, ასე არ მიიჩნევდნენ. აუცილებელია, მასალის გამოქვეყნებამდე ყოველი სიტყვა დაკვირვებით გადამოწმდეს. ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ მასალა სხვა რელიგიის მიმდევართა სტერეოტიპების უბრალო გამეორება არ გამოვიდეს. სტერეოტიპების შექმნა ჟურნალისტის მხრიდან დაუშვებელია. ხშირ შემთხვევაში, რელიგიურ საკითხებზე მუშაობისას ჟურნალისტს წყაროდ მოჰყავს სასულიერო პირები, რომელთა არგუმენტებიც ბიბლიას, ყურანს ან სხვა

---

[4] *ტალერი დ.* მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო, მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ლონდონი, 2004, გვ 64-65.

წმინდა ტექსტს ეყრდნობა. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სასურველია ჟურნალისტი მოერიდოს მხოლოდ ამგვარი არგუმენტაციის გამოყენებას.

აუცილებელია რელიგიური საკითხები ჟურნალისტმა განიხილოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისა თუ მიმართულებების კონტექსტში, ეს ჟურ-ნალისტური ტექსტის მომზადების წინაპირობაა. ხშირად რე-ლიგიურ თემაზე მომზადებული მასალები სხვადასხვა რელი-გიური დღესასწაულის გაშუქებით შემოიფარგლება, მედიამ თანაბარი ყურადღება უნდა დაუთმოს სხვა რწმენის ხალხის ტრადიციულ დღესასწაულებს.

ამდენად, რელიგიური საკითხების გაშუქებისას ძირითა-დი პრინციპი ისაა, რომ ჟურნალისტი გათავისუფლდეს ყო-ველგვარი სტერეოტიპებისგან, წინასწარი განწყობებისგან, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანს ერთნაირად მიუდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველისთვის ადვილი ამოსაც-ნობია ავტორის დამოკიდებულება, რაც არის კიდეც უსაფუძ-ვლო სტერეოტიპების შექმნის მიზეზი.

საინტერესო მასალას გვთავაზობს ბოლო პერიოდში სა-ქართველოში ჩატარებული მედია მონიტორინგების[5] შედეგე-ბი, რომლებიც რელიგიური საკითხების გაშუქებას იკვლევ-დნენ. კვლევის ძირითადი მიგნებები[6] ცხადყოფს, რომ მედი-

---

[5] ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრე-საში, 2011: <http://ge.boell.org/sites/default/files/downloads/Media_Monitoring_Report_III.pdf > [31.08.2015].

[6] ქართულენოვან მედია საშუალებებში ეთნიკური და რელიგიური უმცირე-სობების საკითხების გაშუქების მონიტორინგი: <http://mdfgeorgia.ge /?menuid=57&lang=1> [19.03.2015]. რელიგიის კანონის გაშუქება მედიაში, 2011: <http://www.mdfgeorgia.ge/index.php?menuid=4&lang=1&id=55> [19.03.2015].

აში ხშირად გვხვდება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, სტერეოტიპებისა და წინასწარგანწყობების შექმნის მაგალითები, დარღვეულია სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპი.

თემის თავისებურებიდან გამომდინარე, აქტუალურია აღნიშნული საკითხის კვლევა შემდეგი მიმართულებით:

- აშუქებს თუ არა თანამედროვე ონლაინმედია თანმიმდევრულად და კვალიფიციურად რელიგიურ თემებს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების კონტექსტში;
- იცავს თუ არა იგი პუბლიკაციებში, რელიგიის თემებზე, პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებსა და ეთიკის ნორმებს;
- რამდენად ინფორმაციულ მასალას სთავაზობს მედია მკითხველს, უზრუნველყოფს თუ არა იგი მათ ინფორმირებულობას.

2. რელიგიური პრობლემატიკის გაშუქება – ქართული ონლაინმედიის ანალიზი

გასული წლის ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყანაში ორი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივ მუსლიმ და მართლმადიდებელ მრევლს შორის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მოხდა.

2014 წლის სექტემბერში ქობულეთში მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ, მუსლიმთა პანსიონატის გახსნა გააპროტეს-

ტეს. შეკრებილებმა შენობის შესასვლელთან დაკლეს ღორი და მისი თავი კარზე დაკიდეს. როგორც პანსიონატის მუსლიმი თანამშრომლები ამბობდნენ გახსნის შემთხვევაში ადგილობრივი ქრისტიანები მათ „სისხლის დაღვრით“ ემუქრებოდნენ. ისინი მართლმადიდებელი მრევლის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფისა და მუქარის შემთხვევებზეც საუბრობდნენ.

მეორე შემთხვევა 2014 წლის ოქტომბერში ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მოხდა. ადგილობრივმა თვითმმართველობამ შენობის დემონტაჟი დაიწყო, რომელშიც ადგილობრივი მუსლიმების განცხადებით თავდაპირველად მეჩეთი იყო განთავსებული, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში კლუბად გადააკეთეს, მისი დაშლის შემდგომ კი შენობა მიტოვებული იყო. ადგილობრივმა გამგეობამ გადაწყვიტა, რომ მასში ბიბლიოთეკა გაეხსნა, რასაც ადგილობრივი მუსლიმების პროტესტი მოჰყვა. ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობა კი მეჩეთის აღდგენის წინააღმდეგი იყო. სამართალდამცველებსა და ადგილობრივ მუსლიმებს შორის ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა, დააკავეს 14 ადამიანი.

აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, საკვლევ პერიოდად შევარჩიეთ 2014 წლის სექტემბერი-დეკემბერი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა დავკვირვებოდით ერთი მხრივ როგორ გააშუქა მედიამ უშუალოდ კონფლიქტური სიტუაცია, რა სახის მასალები გაავრცელა მომხდარის შესახებ, რამდენად იყო გამოქვეყნებულ მასალებში დაცული ეთიკისა და პროფესიული სტანდარტის ნორმები. მეორე მხრივ, მომდევნო ორი თვის (ნოემბერი, დეკემბერი) განმავლობაში რელიგიური თემატიკის შესახებ გამოქვეყნებული მასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, რამდენად აისახება კონფლიქ-

ტური სიტუაცია მასალათა რაოდენობაზე, მედია მოვლენურად ინტერესდება აღნიშნული საკითხით, როცა უშუალოდ კონფლიქტი ხდება, თუ მუდმივად იჩენს ინტერესს რელიგიური თემატიკის მიმართ.

საკვლევ მასალად შევარჩიეთ ონლაინმედიის სამი გამოცემა: „tabula.ge“, „geworld.ge“ და „netgazeti.ge“. აღნიშნული ონლაინგამოცემები აქტიურად აშუქებენ რელიგიურ საკითხებს. სამივე მათგანს ერთმანეთისგან განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს, რაც საინტერესო ანალიზის საშუალებას მოგვცემს, თუ რამდენად მრავალფეროვნად და რა აქცენტებით შუქდება რელიგიური თემატიკა ქართულ ონლაინმედიაში.

კვლევის მეთოდის კონტენტ-ანალიზის გამოყენებით წინასწარშერჩეული კრიტერიუმების მიხედვით (რაოდენობრივი და თვისებრივი კატეგორიების მიხედვით) გავაანალიზეთ მოძიებული მასალები. გამოვავლინეთ პუბლიკაციათა რაოდენობა და სიხშირე, დროისა და გამოცემათა მიხედვით. თვისებრივი კატეგორიების მიხედვით კი დავადგინეთ, რამდენად მრავალფეროვანია ჟანრულად მედია, როცა რელიგიურ თემატიკას აშუქებს. რამდენად იცავს პუბლიკაციებში წყაროთა ბალანსს. აშუქებს თუ არა აღნიშნულ თემას პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

საკვლევ პერიოდში რელიგიურ თემატიკაზე მოკვლეულია სულ 93 პუბლიკაცია. ამათგან 82 ნიუსი, 5 ბლოგი, 4 ინტერვიუ, 2 სტატია.

მოძიებული მასალები განვიხილოთ, როგორც რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით, ისე თვისებრივი კატეგორიების მიხედვით:

ჟანრი – ამ კრიტერიუმის მიხედვით მოძიებული მასალები დავახარისხეთ ჟანრობრივად: სტატია, ნიუსი, ინტერვიუ, ბლოგი. რამაც, მოგვცა შესაძლებლობა დაგვედგინა, რამდენად მრავალფეროვანია მედია ასახვის ფორმათა თვალსაზრისით, სთავაზობს თუ არა იგი მკითხველს, როგორც მოვლენურ, ახალ ამბებს, ისე ვრცელ, ანალიზურ მასალებს. მოძიებული პუბლიკაციები გამოცემების მიხედვით ჟანრობრივად შემდეგნაირად გადანაწილდა:

„tabula.ge“ – სულ 69 მასალა, ამათგან 64 ნიუსი, 4 ბლოგი, 1 ინტერვიუ.

„netgazeti.ge“ – სულ 21 მასალა, ამათგან 18 ნიუსი, 2 სტატია, 1 ბლოგი.

„geworld.ge“ – სულ 3 მასალა, ამათგან სამივე ინტერვიუ.

თვეების მიხედვით ყველაზე მეტი მასალა დაიბეჭდა ოქტომბერში – 35, სექტემბერი – 26, ნოემბერი – 17, დეკემბერი – 17. აღნიშნული მონაცემები მიანიშნებს, რომ რელიგიური საკითხები მოვლენურად შუქდება მედიაში. სექტემბერსა და ოქტომბერში, როცა ქობულეთისა და მოხეს შემთხვევები მოხდა, მედია აქტიურად აშუქებდა მომხდარს, შესაბამისად ყველაზე მეტი მასალა, სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა.

ყველაზე ხშირად მედიამ საკვლევ პერიოდში გამოქვეყნებულ მასალებში ყურადღება დაუთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- რელიგიური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ფაქტები;
- უმცირესობების უფლებების დაცვა;

- სკოლებში ბავშვების ინდოქტრინაცია;
- რელიგიური დღესასწაულები;
- რელიგიური კონფესიების დაფინანსების საკითხი;
- საპატრიარქოს სკოლა-პანსიონების საკითხი;

განხილულმა ონლაინგამოცემებმა ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ყურადღება სწორედ ქობულეთსა და მოხეში მომხდარ ფაქტებზე გაამახვილეს. მომხდარი გაშუქებული იყო, როგორც რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები, რითაც დაირღვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. აღნიშნულ თემას გამოქვეყნებულ მასალათა უმეტესობა დაეთმო „netgazeti.ge-სა“ და „tabula.ge-ზე“. მოვლენები ძირითადად გაშუქებული იყო მოკლე ნიუსების სახით, რომლებშიც აღწერილი იყო ფაქტები, ასევე ამ ფაქტების შეფასება მართლმადიდებელი თუ სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირების მიერ, პოლიტიკოსებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. მასალები პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის ნორმების დაცვით იყო მოწოდებული. ვინაიდან მასალათა უმეტესობა ნიუსები იყო, ინფორმაციაც შედარებით მწირი და ნაკლებ ანალიზური იყო. რაც შეეხება „geworld.ge-ს“, აღნიშნულმა გამოცემამ არცერთი მასალა არ დაუთმო ქობულეთსა და მოხეში განვითარებულ მოვლენებს. სამი ინტერვიუ, რომელიც გამოცემამ საკვლევ პერიოდში გამოაქვეყნა სასულიერო პირებთან ინტერვიუები იყო. მასალებში გამოვლინდა პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები, სიძულვილის ენა და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

წყაროები – ვინ იყვნენ წყაროები, როგორი იყო მათი პოზიციონირება. ამგვარმა გაანალიზებამ საშუალება მოგვცა

შეგვეფასებინა, რამდენად იცავდა ჟურნალისტი მომზადებულ მასალებში წყაროთა ბალანსს, კერძოდ, გამოხატავდნენ თუ არა მომხდარის შესახებ ჟურნალისტის მიერ შერჩეული წყაროები სხვადასხვა პოზიციას. გამოქვეყნებულ მასალებში წყაროებად ძირითადად გამოყენებული იყო:

- საპატრიარქო – მართლმადიდებელი სასულიერო პირები;
- სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები;
- რელიგიის სააგენტო;
- არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები;
- კვლევები/ანგარიშები რელიგიის თემაზე;
- სახალხო დამცველი;

სტატიებში წყაროებად შერჩეულები იყვნენ არამარტო მართლმადიდებელი, არამედ სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები. რადგან მრავალკონფესიურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, აუცილებელია ჟურნალისტებმა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში მართლმადიდებელ ქრისტიანთა გვერდით ცხოვრობენ სხვა რელიგიის წარმომადგენლები, რომლებსაც ინფორმაციის მიღებასა და წვდომაზე ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც დანარჩენ მოქალაქეებს. ამიტომ რელიგიური თემის გაშუქებისას „tabula.ge-სა“ და „netgazeti.ge-ზე“ გამოქვეყნებულ მასალებში პოზიტიურად შეგვიძლია მივიჩნიოთ წყაროთა მრავალფეროვნება, როგორც მართლმადიდებელი, ისე სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირების შეფასებები. გარდა ამისა, „tabula.ge-ზე” გამოქვეყნდა ნიუსები, როგორც მართლმადიდებლური დღესასწაულების შესახებ, ისე სხვა რელიგიის დღესასწაულების შესახებ. უფრო მეტიც, ბლოგებში (ავტორი: მალხაზ სონღულაშვილი) გვთავაზობდა მოკლე ისტორიულ მიმოხილვებს ამა თუ იმ

დღესასწაულის შესახებ. რაც უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდიდა მასალებს.

ტონი – გამოვყავით ტონის სამი სახე: პოზიტიური, ნეგატიური და ნეიტრალური. პოზიტიურად ფასდება, როდესაც მასალაში ჭარბობს ისეთი პოზიტიური ელემენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, დადებითი პოლიტიკური გამოხმაურება, კმაყოფილი ადამიანები. ნეგატიურად ფასდება, როდესაც მასალაში უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს რაიმე ფაქტის ან რესპონდენტის მიმართ, გვხვდება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, უარყოფითი პოლიტიკური გამოხმაურება, უკმაყოფილო ადამიანები. ნეიტრალურად შევაფასეთ მასალები, რომლებშიც არ ჩანს მკვეთრად გამოხატული პოზიტიური და ნეგატიური ელემენტები.

მედიატექსტები, ძირითადად, ნეიტრალურად შეფასდა, რისი განმაპირობებელი ფაქტორი ისიც იყო, რომ მოძიებულ პუბლიკაციებში ნიუსები ჭარბობდა. არ იგრძნობოდა რომელიმე მხარის ან სუბიექტის მიმართ დადებითი თუ ნეგატიური გაშუქების ტენდენცია. არ გვხვდებოდა კრიტიკული მასალები, უმთავრესად მოვლენების თანმიმდევრული შეფასება ჩანდა, ვიდრე რაიმე პრობლემის წინ წამოწევის მცდელობა. ხშირი იყო მასალები, რომლებიც რელიგიურ თემაზე კვლევებისა და ანგარიშების შესახებ აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას. თავად კვლევები, ბევრ პრობლემურ საკითხს მოიცავდა, მაგრამ მოძიებულ მასალებში არ ყოფილა ამ პრობლემების წინ წამოწევის მცდელობა, ისინი გამოქვეყნებული იყო, როგორც კვლევის შედეგების მიმოხილვის ნაწილი ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული განცხადებების ნაწილი და არა, როგორც ჟურნალისტური ტექსტი.

პროფესიული სტანდარტი/ეთიკა – პროფესიული სტან-დარტისა და ეთიკის ნორმების დარღვევა იკვეთებოდა „geworld.ge-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუებში. მათი ანალიზისას შეგვხვდა სიძულვილის ენა და შეურაც-ხმყოფელი გამონათქვემები. მაგალითად, ინტერვიუ: „მამა გიორგი (რაზმაძე): თუ გვინდა ღვთის უარყოფა და უფლის გმობა,- ევროინტეგრაცია ამას გარდაუვალს ხდის.“[7] მასა-ლაში იეღოვას მოწმეები შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციუ-ლი ტერმინებითაა მოხსენიებული. მასალა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განჩინებას ეხება, რომლის მიხედ-ვითაც საქართველოს მთავრობას იეღოვას მოწმეების მიმართ „ჩადენილი სისასტიკისათვის“ კომპენსაცია უნდა გადაუხა-დოს. აღნიშნულ მასალაში ასევე შეგვხვდა მაგალითები, რო-ცა არ მოხდა ფაქტისა და კომენტარის ერთმანეთისაგან გა-მიჯვნა, როცა ჟურნალისტი სტატიის ლიდშივე საკუთარ პო-ზიციას დაუფარავად გამოხატავს და არ ერიდება სიძულვი-ლის ენისა და შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენებას,- „მოკლედ, მოვესწარით, რომ იეღოვას სექტა, რომელიც სი-ნამდვილეში ჯორჯ სოროსის დამქაშთა საბუდარია და პირ-დაპირ ასოცირდება „მეცოცხე ნაციონალების“ ხროვასთან, ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე აჩოქებს. რა საფრთხეს წარმოადგენს ეს სექტა საქართველოსთვის, რა ინტერესებს ემსახურებიან იეღოვას მოწმეები და ჰყავთ თუ არა მათ მფარველები დღევანდელ ხელისუფლებაში?“

ასეთივე მაგალითს ვხვდებით კიდევ ერთ ინტერვიუში, სახელწოდებით: „მამა ბასილი (მკალავიშვილი): სინოდის

---

[7]<http://geworld.ge/View.php?ArtId=6243&lang=ge&Title=mama+giorgi+%28razmaZe%29%3A+Tu+gvinda+RvTis+uaryofa+da+uflis+gmoba%2C+_+evrointegracia+amas+gardauvals+gaxdis> [02.05.2015].

კრებებს მართვავდნენ სოსო თოფურიძე და გიგა ბოკერია, უგულავა კი ეპისტოლეებს ასწორებდა.“[8] ინტერვიუში, ჟურნალისტი კითხვის დასმისას არ ერიდება საკუთარი აზრის გამოხატვას, „რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, რომელიც „ლიბერალების“ მთავარი მოკავშირეა და რომელსაც დიდი ხანია, საზოგადოებამ მეხუთე კოლონის იარლიყი მიაკერა, მათი აქტიურობის შედეგად ხელისუფლებამ უკვე გადადგა რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი – მოხსნა მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისებაზე, მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი და საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიური კონფესია იურიდიული სტატუსით მართლმადიდებლობას გაუთანაბრა. ვისი მითითებით მოქმედებენ ეს ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები?“ აღნიშნული უხეში დარღვევაა პროფესიული სტანდარტისა, რაც ჟურნალისტისგან ფაქტისა და კომენტარის ერთმანეთისგან გამიჯვნას მოითხოვს.

სამივე მასალაში იგრძნობა ანტიდასავლური განწყობა. როგორც რესპონდენტების, ისე ჟურნალისტის მიერ დასავლეთი განხილულია, როგორც ქვეყნისათვის დამღუპველი პროპაგანდის მქადაგებელი.

კვლევის მიგნებები:

- რელიგიური საკითხების მოვლენური გაშუქება – განხილული მასალები საკვლევ პერიოდში ასახავდა მიმდინარე რელიგიურ მოვლენებს. მედია თანმიმდევრულად მისდევდა განვითარებულ ამბებს;

[8] <http://geworld.ge/View.php?ArtId=6312&lang=ge&Title=mama+basili+%28mkalaviSvili%29%3A+sinodis+krebebs+marTavdnen+soso+TofuriZe+da+giga+bokeria%2C+ugulava+ki+epistoleebs+asworebda> [02.05.2015].

- რელიგიური პრობლემების პოლიტიზება – განხილულ სტატიებში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ხშირად რელიგიური თემა პოლიტიკურ ჭრილშია წარმოდგენილი. მასალის თემაც, ხშირ შემთხვევაში, იმითაა მოტივირებული, რომ რომელიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა რელიგიურ სფეროში მომხდარი ამბავი შეაფასა;
- პუბლიკაციათა ზედაპირულობა – წარმოდგენილ საკვლევ პერიოდში ვხვდებით ცოტა სტატიას, სადაც პრობლემის საფუძვლიანი განხილვა გვხვდება. ჟურნალისტები არ გვთავაზობდნენ ზოგადი რელიგიური პრობლემების ანალიზს;
- მასალების ნეიტრალური ტონი – „tabula.ge-სა“ და „netgazeti.ge-ზე“ განთავსებულ მასალათა უმეტესობა ნეიტრალური ტონით შეფასდა. ნეგატიურად შეფასდა, მხოლოდ „geworld.ge-ის“ მიერ მომზადებული მასალები, რომლებშიც გვხვდებოდა პროფესიული და ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები, სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული გამონათქვამები;
- მრავალფეროვანი წყაროები – განხილულ მასალებში წყაროებად წარმოჩენილი იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მართლმადიდებელი და სხვა რელიგიური ჯგუფების სასულიერო პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები. თუმცა, ნაკლები სივრცე დაეთმოთ უბრალო ადამიანებს, კონფლიქტის უშუალო მონაწილეებს.

დასკვნა

ამდენად, პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების მიხედვით გაანალიზებულმა მასალებმა ცხადყო,

რომ ჰიპოთეზა გამართლდა: რელიგიური საკითხების გაშუქებისას ქართულ ონლაინმედიაში გვხვდება პროფესიული სტანდარტისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.

მოკვლეულ მასალებში უმეტესობა ნიუსია, სადაც წარმოჩენილია ფაქტები და სხვადასხვა წყაროს მიერ ამ ფაქტების შეფასება. წყაროები მრავალფეროვანია, მართლმადიდებელი და სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. თუმცა, მათთან შედარებით ნაკლები დრო ეთმობა უბრალო მოქალაქეებს, რომლებიც სწორედ განხილული თემების მთავარი მოქმედი პირები არიან და რომელთა პოზიციის ჩვენებაც მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ონლაინგამოცემები „tabula.ge“ და „netgazeti.ge“ პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით აშუქებს რელიგიურ თემატიკას, თუმცა უმეტესად არის მოვლენური და მომხდარ მოვლენებს თანმიმდევრულად მიჰყვება. რელიგიური საკითხების გაშუქებისას თემის ინიციატორი უმეტესწილად თავად არ არის. ონლაინგამოცემა „geworld.ge-ის“ მიერ გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული მასალები კი შეიცავდა სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. იგრძნობოდა თემების პოლიტიზება, ანტიდასავლური განწყობა. ასევე, გამოვლინდა მაგალითები, როდესაც ჟურნალისტის მიერ არ ხდებოდა ფაქტისა და კომენტარის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

რეკომენდაციები:

- პროფესიული სტანდარტების დაცვა – ისევე, როგორც ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის, ჟურნალისტისთვისაც უმნიშვნელოვანესია პროფესიული

სტანდარტების დაცვა, რაც, თავის მხრივ, პრევენ-ციაა საიმისოდ, რომ მომზადებული მასალა უხარის-ხო და მცდარი იყოს.

- ეთიკური ნორმების დაცვა – ჟურნალისტის მხრი-დან ეთიკური ნორმების გათვალისწინება აუცილებე-ლია მასალებზე მუშაობისას. პროფესიული ეთიკა წარმოადგენს იმ ოქროს შუალედს, რომლის დაცვის შემთხვევაშიც ჟურნალისტისათვის უფრო ადვილდე-ბა პროფესიული სტანდარტების შესრულება.
- ქვეყნის კანონმდებლობის დაცვა – ქვეყნის კონონ-მდებლობისადმი მორჩილება თითოეული მოქალაქის ვალია. კანონმდებლობის ნორმების ცნობა და გათვა-ლისწინება ყოველთვის დაეხმარება ჟურნალისტს მასალებში სამართლებრივი შეცდომებისგან თავის არიდებაში.
- სპეციალიზებული ჟურნალისტების არსებობა – სა-სურველია რელიგიის თემაზე მომუშავე ჟურნალის-ტებს ჰქონდეთ საბაზისო ცოდნა ამ თემისა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს შეცდომებს. მათ მიერ მომზადებული მასალები კი კვალიფიციური და სან-დო იქნება.

Salome Gorgodze – Student (MA) at Tbilisi State University, Faculty of social and political Sciences (2nd year)

RELIGIOUS ISSUES AND ETHICAL STANDARTS IN GEORGIAN ONLINE MEDIA

The study aims to show how religious issues and problems are covered by Georgian online media. Three online magazines – "Netgazeti.ge", "geworld.ge" and "tabula.ge" – are discussed. The study is based on publications about religious problems in a four-months period (from September to December 2014) and aims to reveal current trends in the coverage of religious issues in Georgian online media. It will be specifically discussed whether the media is sufficiently interested in religious problems, and how professional journalistic standards and ethical aspects are kept in this regard. A special focus is the role of journalism in delivering religious issues to the society and whether this role is clearly identified. Professional standards and ethical norms of publications, as well as the diversity of the genre, are also highlighted. The study especially considers the context of two main democratic values – fundamental Human Rights and Press Freedom.

Methodologically, the study used content-analysis for its examination of professional standards and ethical norms.

Research findings:

- Less attention to religious issues is paid by the media;
- A politicization of religious issues can be observed;
- Superficial materials are frequently used.

The study showed that Georgian online media pay insufficient attention to the coverage of religious issues, and

that violations of professional standards and ethical norms are frequently observed.

Accordingly, the recommendations are as follows:

- More attention should be paid to proper coverage of religious issues;
- Professional standards have to be observed by the journalists;
- Ethical standards have to be observed within journalistic texts;
- Constitutionally guaranteed rights, such as the respect of fundamental Human Rights, have to be observed in journalistic activity.

ნატა ძველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასკომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრი

ეთიკური პრობლემები ქართულ ონლაინმედიაში სოციალური ქსელების გამოყენებისას

შესავალი

საქართველოში თვითრეგულირების პირველი დოკუმენტი, რომელიც შეიქმნა, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი იყო. ამას იმავე წელს მოჰყვა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ჩამოყალიბება. სწორედ ამის შემდეგ იწყება ქვეყანაში თვითრეგულირების მექანიზმის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც კოდექსი, ისე ქარტია არაერთ სახელმძღვანელო პრინციპს ადგენს, ონლაინმედიაში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ახალი ეთიკური პრობლემები ჩნდება, რომელიც ჯერჯერობით მოუწესრიგებელია. მაგალითად, თვითრეგულირების ზემოთ აღნიშნული არც ერთი მექანიზმი სპეციალურ განმარტებებს არ აკეთებს უნდა გავრცელდეს თუ არა სარედაქციო პასუხისმგებლობა სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებზე, რაც უმცირესობების თემატიკის გაშუქებისას განსაკუთრებით პრობლემური ხდება ხოლმე. ასევე არ არსებობს ცალსახა რეგულაცია

არის თუ არა ეთიკის დარღვევა, როდესაც ჟურნალისტი ამა თუ იმ პირის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტს ნებართვის გარეშე ჟურნალისტურ მასალაში იყენებს. საქართველოში ერთგვარ ტენდენციად იქცა როგორც საჯარო, ისე კერძო პირების მიერ Facebook-ში გამოთქმული მოსაზრებების ახალ ამბად ქცევა. გამოცემები ეჭქვეშ არ აყენებენ ანგარიშების ნამდვილობას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თუ სიზუსტის დაცვის სტანდარტები ხშირად სწორედ ამგვარ მასალებში ირღვევა.

ასევე არ არსებობს ცალსახა პასუხი კითხვაზე, დგება თუ არა მედიასაშუალების მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ, როდესაც ჟურნალისტი საკუთარ შეფასებებს აკეთებს იმ თემაზე, რაზეც მუშაობს, ექმნება თუ არა საფრთხე ამგვარი ქცევით გამოცემის სანდოობას.

ცალსახა მიდგომა ამ საკითხებისადმი არც სხვა ქვეყნებში არსებობს. თუმცა, არაერთი შემთხვევაა, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიო მედიაში, როდესაც ჟურნალისტი სწორედ სოციალურ ქსელში გამოთქმული მოსაზრების გამო გაათავისუფლეს, ვინაიდან რედაქციამ ჩათვალა, რომ ამგვარი გამოხატვით, გამოცემის მიუკერძოებლობის სტანდარტი დაირღვა.[1]

ამ საფუძვლით დასაქმებულის სანქცირება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა თუ დამსაქმებლის რეპუტაციის დაცვა, სად გადის ზღვარი კომპანიის მფლობელების ინტერესებსა და სიტყვის თავისუფლებას შორის? - ამ საკითხებზეც ცალსახა პასუხი არ არსებობს.

---

[1] The Guardian, Octavia Nasr fired by CNN over tweet praising late ayatollah <http://www.theguardian.com/media/2010/jul/08/octavia-nasr-cnn-tweet-fired>, 2010 [14.02. 2015].

სამეცნიერო წრეებში ამგვარი საკითხები ეთიკურ ჭრილში ნაკლებად არის გამოკვლეული. აქცენტი ძირითადად სოციალურ ქსელზე, როგორც ახალ და მნიშვნელოვან წყაროზე კეთდება და კვლევების ფოკუსიც ხშრად სწორედ ეს არის.

დღეს უკვე, ამბები ჟურნალისტთან Facebook-ის და Twitter-ის საშუალებით ხვდება. ის, რაც რეპორტიორის მიერ არის ხელმოწერილი, უკვე არსებობს სოციალური მედიის სამყაროში. ჟურნალისტს ისღა დარჩენია გადაარჩიოს და განსხვავებული კუთხით გაანალიზებული ინფორმაცია შესთავაზოს აუდიტორიას.[2] თუმცა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ ჟურნალისტებისთვის წყაროების წვდომის გამარტივებასთან ერთად გადამოწმების პრობლემა გააძლიერა, ამიტომაც სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია ორმაგად უნდა გადამოწმდეს გამოქვეყნებამდე[3] ამ მოსაზრებას იზიარებს მენჩერიც,[4] როდესაც ამბობს, რომ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას განსაკუთრებული ყურადღებით გადამოწმება სჭირდება, ვინაიდან ხშირად ბლოგებზე ინფორმაცია მცდარია, Facebook-ის გვერდები შეიძლება ყალბი იყოს და Youtube-მა ჟურნალისტებს დრო დააკარგვინოს.

---

[2] *Alejandro J.* Journalism in the Age of Social Media, Reuters Institute Fellowship Paper, University of Oxford,UK. 2010, <https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/Journalism%20in%20the%20Age%20of%20Social%20Media.pdf>. [28.01. 2015].

[3] *White E. L.*, New Media in the Newsroom: A Survey of Local Journalists and Their Managers on the use of Social Media as Reporting Tools, მომზადებულია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი, ჩაპელ ჰილი, აშშ, 2012, 46.

[4] *მენჩერი მ.* ახალი ამბების გაშუქება და წერა, ლ. გველესიანის თარგმანი, ანა ჭაბაშვილის რედაქტორობით თბილისი, 2013, გამომცემლობა „დიოგენე“.

ყველაზე მნიშვნელოვანი დილემა სწორედ მაშინ შემოდის, როდესაც ჟურნალისტს სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის დახარისხება უწევს და წყვეტს, რომელს ენდოს. მეორეს მხრივ, პერსონებს უფრო ადვილად ენდობა ხალხი და ინფორმაციასაც უფრო ადვილად აწვდის სოციალური ქსელის მეშვეობით.[5]

პოლიტიკური ახალი ამბების ჟურნალისტების მიერ სოციალური მედიის გამოყენება ნორვეგიაში როგსტადმა შეისწავლა.[6] მისი დასკვნით, სხვა მედია საშუალებების ჟურნალისტებთან შედარებით სოციალურ ქსელებს უფრო მეტად ონლაინმედიის რეპორტიორები იყენებენ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოლიტიკის ახალი ამბების ჟურნალისტების დიდი ნაწილი არ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას პოლიტიკურ ამბებზე სოციალურ ქსელებში და მას უფრო მეტად პირადი ურთიერთობებისა და გართობის საშუალებად განიხილავენ.

იმ თემებზე მოსაზრებების გამოთქმას, რომელზეც ჟურნალისტი მუშაობს, ეთიკურ ჭრილში განიხილავს პოდჯერიც,[7] რომელიც ამბობს, რომ ჟურნალისტებს ურჩევნიათ სოციალურ ქსელში ცალკე ჰქონდეთ პირადი და ცალკე პროფესიული გვერდები.

---

[5] *Newman N.* Mainstream media and the Distribution of News in the Age of Social Discovery. (Tech Rep). Oxford, UK: Reuters Institute for the Study of Journalism, 2011, 48.

[6] *Rogstad I. D.* Political News Journalists in Social Media, *Journalism Practice*, Vol. 8, Iss. 6, Cardiff School of Journalism, Media & Culture, UK. 2014. 12-14.

[7] *Podger, P. J.* The Limits of Control. *American Journalism Review*. USA, Philip Merrill College of Journalism at the University of Maryland. 2009. <http://ajrarchive.org/article_printable.asp?id=4816> [15.03, 2015].

სწორედ ეთიკურ ჭრილში განიხილება საკითხი თუ ვისი პასუხისმგებლობაა ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალის ქვემოთ მომხმარებლების მიერ დატოვებული სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები. სარედაქციო ზედამხედველობიდან user-generated content-ზე (მომხმარებლის მიერ გენერირებული შინაარსი) გადასვლამ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი წამოწია წინ და ახალი გამოწვევები დადგა სიტყვის თავისუფლების კუთხით[8] ვინ არის პასუხისმგებელი სიძულვილის ენის შემცველი თუ შეურაცხმყოფელი კომენტარების დროს, რედაქცია თუ თავად კომენტარის ავტორი – ცალსახა პასუხი არ არსებობს. თუმცა ლანპერე[9] შენიშნავს, რომ სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები გამოხატვის თავისუფლების დაცვით არ სარგებლობენ და შესაბამისად მისი წაშლა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად არ მიიჩნევა.

ზემოთ აღნიშნული ეთიკური დილემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზდეს დგება თუ არა მიუკერძოებლობის სტანდარტი ეჭვქვეშ, როდესაც ჟურნალისტი სოციალურ ქსელში იმ საკითხზე აკეთებს მოსაზრებას, რაზეც მუშაობს, ამასთან, შეფასდეს, რამდენად სამართლიანია სამსახურიდან გათავისუფლება ამგვარი გამოხატვის გამო. აგრეთვე, გამოიკვლიოს ირღვევა თუ არა რაიმე ეთიკური სტანდარტი იმ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი ნებართვის გარეშე იღებს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ რომელიმე პოსტს და მას ჟურნა-

---

[8] *Möller Ch.*, New forms of journalism . The Online Media Self-Regulation Guidebook, Vienna, Austria. 2013. 8-25.

[9] *Laanpere L.* Online Hate Speech: Hate or Crime? <http://files.elsa.org/AA/Online_Hate_Speech_Essay_Competition_runner_up.pdf,> , 2013, [3. 05.2015].

ლისტურ პროდუქტში იყენებს. კვლევის კიდევ ერთი მიზანია, აჩვენოს იღებენ თუ არა ქართული ონლაინგამოცემები პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ დატოვებულ სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებზე.

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1 ჟურნალისტების მიერ სოციალურ ქსელში სამუშაო თემაზე საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებით ეთიკური სტანდარტი ირღვევა.

2 სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსის ჟურნალისტურ მასალაში გამოყენება ეთიკური სტანდარტის დარღვევა არ არის.

3 სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებზე ქართული ონლაინგამოცემები სარედაქციო პასუხისმგებლობას არ იღებენ და არ შლიან მას.

1. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ექვსი ონლაინგამოცემის რედაქტორებმა, მათ შორის: მაია მეცხვარიშვილი (netgazeti.ge), ზურა ვარდიაშვილი (liberali.ge), დავით ჩიხლაძე (tavisupleba.org), ლელა შერაზადიშვილი (droni.ge) და ინგა ბაჯელიძე (news.ge). თითოეული მათგანი საზოგადეობრივ პოლიტიკური კონტენტის, გავლენისა და რეიტინგის მიხედვით შეირჩა. რედაქტორები გამოიკითხნენ 2015 წლის 20-30 მარტის პერიოდში.

კვლევისას ასევე გამოიკითხნენ ექსპერტები - თამარ რუხაძე („ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელი დირექტორი), უჩა სეთური („ინფორმაციის თავისუფლების

განვითარების ინსტიტუტის“ მედიის მიმართულების ხელ-მძღვანელი), ნათია კუპრაშვილი („რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი), დავით კლდიაშ-ვილი („ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ საბჭოს მდივანი, იურისტი), ნათია კაპანაძე („ახალგაზრდა იურისტთა ასოცი-აციის“ გამგეობის წევრი), ანა ქეშელაშვილი („საზოგადოებ-რივ საქმეთა ინსტიტუტის“ პროფესორი), თამარ კინწურაშ-ვილი („მედიის განვითარების ფონდის“ გამგეობის თავმჯდო-მარე).

ექსპერტები წარმოადგენენ იმ ორგანიზაციებს, რომლე-ბიც მედიის მიმართულებით მუშაობენ. გარდა ამისა, კვლევა-ში მონაწილე პირები თავად იკვლევენ მათ შორის მედია ეთიკის საკითხებს, ამასთან არ წარმოადგენდნენ არც ერთ მედიასაშუალებას. ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუები 2015 წლის 1-10 მარტის პერიოდში ჩატარდა. ინტერვიუ რესპონდენტებთან პირისპირ მიმდინარეობდა და ყველა კით-ხვა ღია ტიპის იყო, შესაბამისად რეპონდენტები თავისუ-ფალნი იყვნენ პასუხების გაცემის პროცესში.

კვლევისას გამოყენებული იყო ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - კონტენტ ანალიზი. კვლევა 1-31 მარტის პერიოდში მიმდინარეობდა. დაკვირვება კვლავ ზემოთ აღნიშ-ნულ ექვს ვებგვერდზე ხორციელდებოდა. გაანალიზდა სოცი-ალური ქსელებიდან რა უფრო ხშირად ხვდება ონლაინმედი-ის მიერ მომზადებულ მასალებში ტექსტი (სტატუსები), ფო-ტო თუ ვიდეო მასალები. ამასთან არის თუ არა სოციალუ-რი ქსელიდან აღებული ინფორმაცია პირველადი და ერთა-დერთი წყარო, თუ გამოცემა მას როგორც მეორად, დამხმა-რე წყაროს ისე იყენებს.

2. შედეგები

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მონაწილე მედიასაშუალების ჟურნალისტები, სოციალურ ქსელებს არამხოლოდ თემების და რეპონდენტების მოძიებისთვის იყენებენ, არამედ აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს იმ თემებზეც კი, რასაც აშუქებენ. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არსებულ ეთიკურ რეგულაციებში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი, რედაქციებსაც არ აქვთ ერთგვაროვანი მიდგომა და სოციალურ ქსელებში მოსაზრებების დაფიქსირებაზე შეზღუდვებს სხვადასხვა ფორმით უწესებენ ჟურნალისტებს ან საერთოდ არ ზღუდავენ მათ გამოხატვას.

კვლევაში მონაწილე 5 გამოცემიდან 3 ამბობს, რომ არსებობს ზეპირი შეთანხმება რედაქციაში და მიმდინარე მოვლენებზე ჟურნალისტები არ აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, რადგან სოციალური ქსელები მიიჩნევა საჯარო სივრცედ[10], შესაბამისად, იქ გამოთქმული მოსაზრება, როგორც საჯარო შეფასება, ისე აღიქმება.

კვლევის თითქმის ყველა მონაწილე (12-დან 11) იზიარებს იმ აზრს, რომ ჟურნალისტის მიერ სოციალურ ქსელში მოსაზრების დაფიქსირება იმ თემაზე, რაზეც მუშაობს, მედიასაშუალების მიუკერძოებლობას საფრთხეს უქმნის. მთავარი ის არის, რომ ჟურნალისტები მკითხველის მიერ იმ გამოცემასთან ასოცირდებიან, სადაც მუშაობენ, შესაბამისად, როდესაც ისინი ამა თუ იმ მოვლენას აფასებენ, ან რომელიმე რესპონდენტის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ, მკითხველს უჩნდება წინასწარი განწყობა, რომ ჟურ-

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

ნალისტი მიკერძოებული იქნება იმავე თემაზე მომზადებულ ჟურნალისტურ მასალაში.

სოციალური ქსელები საჯარო სივრცეა, ამიტომ იქ დაფიქსირებული მოსაზრება იმ თემების შესახებ, რასაც ჟურნალისტი აშუქებს, ისევე აყენებს როგორც მისი, ისე მედიასაშუალების მიუკერძოებლობას ეჭქვეშ, როგორც ეს საჯარო სივრცეში გამოსვლით მოხდებოდა.[11]

სოციალურ ქსელში აქტიურობა შესაძლოა გაიგივდეს ისეთ აქტივობასთან, როგორიცაა სხვდასხვა დემონსტრაციაში მონაწილეობა, პეტიციებზე ხელმოწერა და აშ, რაც ასევე დაუშვებლად მიიჩნევა, სწორედ მიუკერძოებლობის დაცვის მოტივით.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, ჟურნალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი გამოხატვის თავისუფლება სხვა პროფესიის ადამიანებისგან განსხვავებით, გარკვეულწილად შეზღუდულია საჯარო სივრცეში, მათ შორის სოციალურ ქსელებშიც.[12]

თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ტიპის გამოცემაზე ვსაუბრობთ, როდესაც საქმე ეხება იმ მედიასაშუალებას, რომელსაც დეკლარირებული აქვს გარკვეული ძალის ან იდეოლოგიის მხარდაჭერა, მაშინ მკითხველისთვის უკვე ნაკლები პრობლემაა ამ გამოცემის ჟურნალისტის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება. ვინაიდან მან იცის რომ მთელ რედაქციას იმგვარი შეხედულება აქვს და თავად წყვეტს იყოს, თუ არა მისი მკითხველი.[13]

---

[11] *კლდიაშვილი დ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[12] *სეთური უ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015
[13] *კინწურაშვილი თ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ შრომით ხელშეკრულებაში არ იქნება გათვალისწინებული მათ შორის სოციალური მედიაში აქტიურობის ფარგლები, დამსაქმებელს საშუალება ექნება საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს ჟურნალისტი. საფუძვლად კი სოციალურ ქსელში გამოთქმული მოსაზრება დაასახელოს, რამაც მისი აზრით, გამოცემის მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენა. ამიტომაც მანიპულაციის გამოსარიცხად, მნიშვნელოვანია, რომ მედია ორგანიზაციებმა შეიმუშაონ სოციალური მედიის პოლიტიკა, სადაც განსაზღვავენ თანამშრომელთა მოქმედების ფარგლებს.

იმისათვის, რომ გვენახა, თუ როგორ იყენებენ ონლაინგამოცმები სოციალურ ქსელებს საკუთარ მასალებში. კვლევაში მონაწილე ხუთი ვებგვერდის (netgazeti.ge, liberali.ge, tavisupleba.org, droni.ge, news.ge). კონტენტ ანალიზი განხორციელდა. დაკვირვება 1-31 მარტის პერიოდში მიმდინარეობდა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საერთო ჯამში ხუთივე ვებგვერდზე ახალი ამბების რუბრიკაში გამოქვეყნდა 4772 მასალა, საიდანაც მხოლოდ 345 ნიუსში (7%) იყო გამოყენებული სოციალური ქსელი, როგორც ინფორმაციის წყარო.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ ქსელებს, როგორც ინფორმაციის წყაროს, პროცენტულად ყველაზე ხშირად იყენებდა droni.ge. კვლევის პერიოდში გამოქვეყნებული მასალების 14 პროცენტი სწორედ სოციალური ქსელიდან აღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. რაოდენობრივად ყველაზე მეტ, 253 შემთხვევაში news.ge დაეყრდნო სოცია-

ლურ ქსელს, თუმცა droni.ge-სგან განსხვავებით, საერთო ჯამში გამოქვეყნებული მასალების მხოლოდ 9%-ს შეადგენს.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას ყველაზე ნაკლებად ეყრდნობოდა liberali.ge. მან საკვლევ პერიოდში ახალი ამბების რუბრიკაში გამოქვეყნებული 693 ნიუსიდან მხოლოდ 6 მასალაში (0.86%) გამოიყენა სოციალურ ქსელი, როგორც ინფორმაციის წყარო (იხ. დიაგრამა 1).



ონლაინგამოცემები სოციალური ქსელებიდან ყველაზე ხშირად (87%) Facebook-ს იყენებენ, შემდეგ მოდის Twitter-ი (5%). მას ყველაზე ხშირად რადიო „თავისუფლება“ იყენებს საერთაშორისო ამბების მომზადებისას. ამასთან სოციალური ქსელი მისთვის უმრავლეს შემთხვევაში ინფორმაციის ერთ-ერთი და არა ერთადერთი წყაროა.

News.ge-სა (13%) და droni.ge-ს (33%) მასალებში ხშირია შემთხვევა, როდესაც არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი სოციალური ქსელიდან აიღეს ინფორმაცია (N/M),

რაც წყაროს იდენტიფიცირების, შესაბამისად, მისი სანდოობის განსაზღვრის საშუალებას ამცირებს. News.ge-ს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 13 პროცენტია, Droni.ge-ს მასალებში კი - 33 პროცენტი.

კიდევ ერთი სოციალური ქსელის, Instagram-ის გამოყენება მხოლოდ ორ შემთხვევაში დაფიქსირდა. ამ ქსელში გამოქვეყნებულ ინფორმაციას news.ge და tavisupleba.org-ი დაეყრდნენ.

დიაგრამა 2



კვლევაში მონაწილე ონლაინმედიის ყველა წარმომადგენელი სოციალური ქსელებიდან უმეტეს შემთხვევაში (80%) ტექსტურ მასლებს (სტატუსებს) იღებს. News.ge და Droni.ge ყველაზე ხშირად იყენებენ სოციალურ ქსელს, როგორც პირველად წყაროს. მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციები მხოლოდ სოციალური ქსელიდან აღებულ კომენტარს ან პოსტს ეყრდნობა და არ შეიცავს რაიმე დამატებით

ინფორმაციას ან გადამოწმებას. Netgazeti.ge ხშირად იყენებს სოციალურ ქსელში აქტუალურ თემაზე გამოქვეყნებულ კომენტარებს, რათა აჩვენოს ხალხის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

ექსპერტები რამდენიმე მედიასტანდარტს ასახელებენ, რისი დარღვევის რისკიც მატულობს იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციას სოციალური ქსელიდან იღებს:

ინფორმაციის სიზუსტე - სხვადასხვა ქსელში ინფორმაციის აღებისას მთავარი საფრთხე მის სიზუსტესთან დაკავშირებით ჩნდება, ვინაიდან შესაძლოა პროფილი არ ეკუთვნოდეს იმ ადამიანს, ვისი სახელითაც ვრცელდება, გარდა ამისა, შესაძლოა მისი პროფილით წერდეს სხვა პიროვნება, ან უკვე გამოქვეყნებული პოსტი წაიშალოს ან ჩასწორდეს,[14] სწორედ ამიტომ თანამედროვე მედიაში ჟურნალისტის ერთ-ერთი გამოწვევაა სოციალურ ქსელში გავრცელებული უამრავი ინფორმაციიდან ღირებულის შერჩევა და შემდეგ მისი გადამოწმება.

როგორც კი სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია გადადის ონლაინგამოცემის გვერდზე, ის უნდა ექვემდებარებოდეს გადამოწმების და დამუშავების ისეთივე წესს, როგორსაც ექვემდებარება ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც ეს მედიასაშუალება აქვეყნებს.[15]

ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა - კიდევ ერთი სტანდარტია, რომელიც შესაძლოა უფრო მეტად დაირღვეს იმ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი სოციალურ ქსელზე დაყრდნობით ავრცელებს მასალას. მოქალაქეებს, რომლებიც ამგვარ პლატფორმებზე წერენ, არ აქვთ ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის ვალდებულება. ძალიან ხშირად სოციალურ

---

[14] *კუპრაშვილი ნ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[15] *რუხაძე თ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.

ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის არა ფაქტი, არამედ - მოსაზრება, რომელიც მისო ავტორის რწმენით, ფაქტია. ამიტომაც სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციის დიდ რაოდენობაში რა არის ნამდვილი და რა არის სიცრუე, ბევრად უფრო რთული გასარკვევია, ვიდრე იმ კონკრეტულ მიზანმიმართულ მუშაობაში, რასაც მედია შეიძლება ეწეოდეს.[16]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა - განსაკუთრებით აქტუალური მაშინ ხდება, როდესაც მედიასაშუალებები ისეთ ფოტოს იღებენ სოციალური ქსელიდან, სადაც ამბის გმირი მარტო არ არის გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ ფეისბუქი საჯარო სივრცეა, მედიის პასუხისმგებლობაა კონტექსტის შესაბამისად ფოტოს გამოქვეყნება. ვინაიდან, როდესაც ადამიანი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ფოტოს, კომენტარის მსგავსად, არ ფიქრობს, რომ ის მედიის მიერ გამოყენებული იქნება.[17]

დისკრიმინაციის წახალისება - სოციალური ქსელიდან აღებული ინფორმაციის ჟურნალისტურად დამუშავების გარეშე გავრცელებით შესაძლოა, პირთა გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაცია მოხდეს, რადგან პირი, რომელიც კომენტარს, თუ სტატუსს წერს სოციალურ ქსელში, შესაძლოა, სწორედ ამგვარ ტერმინოლოგიას იყენებდეს (პოლიტკორექტული მსჯელობის ვალდებულება მას არ აქვს), ონლაინმედიაში მისი გადმოტანით მედია ხელს უწყობს ამგვარი ენის გავრცელებას. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანახმად კი ჟურ-

---

[16] იქვე.

[17] *კინწურაშვილი თ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.

ნალისტმა დისკრიმინაციული გამონათქვამების ტირაჟირება არ უნდა მოახდინოს.[18]

პრესსამსახურის მიერ გაფილტრული ინფორმაცია - საქართველოში სახელმწიფო უწყებებისა თუ ოფიციალური პირების გვერდს სოციალურ ქსელებში პრესსამსახური აკონტროლებს. სწორედ პიარ სპეციალისტი ხდება რესპონდენტსა და ჟურნალისტს შორის კომუნიკაციაში მედიუმი,[19] ამგვარ შემთხვევებში ჟურნალისტს არ აქვს საშუალება, დამატებითი კითხვები დაუსვას რეპოდენტს და მიიღოს ის პასუხი, რაც მას კონკრეტული მასალიდან გამომდინარე სჭირდება.[20]

„ყალბი გმირები“ - ტერმინი პირველად ამ კვლევაში იქნა გამოყენებული და გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ჟურნალისტები რესპონდენტებს არჩევენ სოციალურ ქსელში აქტიურობის მიხედვით და აზრს ეკითხებიან მათ, ვინც ხშირად აქვეყნებს სტატუსებს, რასაც ბევრი მოწონება და კომენტარი მოჰყვება.

სოციალურმა ქსელებმა რესპონდენტების შერჩევა გაადვილა. მარტივია განწყობების დანახვა, ვის რა პოზიცია უკავია. თუმცა, სოციალური ქსელის გმირები ყოველთვის არ არიან ამ თემის ექსპერტები, რაზეც მოსაზრებას გამოთქვამენ. როდესაც ბევრი ადამიანი იწონებს ვინმეს სტატუსს, ეს არ ზრდის მათ ექსპერტობას.[21]

ჟურნალისტური პროდუქტის არარსებობა - კვლევაში მონაწილე ყველა ექსპერტი მიიჩნევს, რომ სოციალურ ქსელ-

---

[18] *კლდიაშვილი დ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[19] *სეთური უ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015,
[20] *კუპრაშვილი ნ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[21] *რუხაძე თ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.

ში გამოქვეყნებული სტატუსი ცალკე აღებული, დამატებითი წყაროს და გადამოწმების გარეშე ჟურნალისტური პროდუქტი არ არის. საქართველოში ბოლო პერიოდში კომენტარმა ახალი ამბების სახე მიიღო, რაც ვერ იქნება ჟურნალისტური ნამუშევარი, რადგან რეპორტიორს მის დამუშავებაზე არ უმუშავია.[22]

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ექსპერტებსა და რედაქტორებს შორის სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებთან დაკავშირებით. თუ რედაქტორები მიიჩნევენ, რომ რედაქციამ პასუხისმგებლობა არ უნდა აიღოს ამგვარ გამოხატვაზე, ექსპერტები თვლიან, რომ რადგან სიძულვილის ენის შემცველი კომენტარებისთვის გამოცემის პლატფორმა არის გამოყენებული, ამიტომ პასუხისმგებლობაც ამავე რედაქციას ეკისრება.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე გამოცემებიდან კომენტარებს მხოლოდ რადიო „თავისუფლება“ აკონტროლებს[23] Netgazeti.ge კომენტარების დატოვების ფუნქციას ზღუდავს იმ შემთხვევაში, თუ თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე მოსალოდნელია სიძულვილის ენის შემცველი კომენტარების დატოვება[24] ვებგვერდებს სპეციფიკურ თემებზე მომზადებულ მასალებზე დატოვებულ კომენტარებს სურვილის მიუხედავად ვერ შლის Liberali.ge-ს ინტეგრირებული აქვს Facebook პლაგინი და კომენტარები ავტომატურად გადმოდის.[25]

---

[22] *ქეშელაშვილი ა.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[23] *ჩიხლაძე დ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[24] *მეცხვარიშვილი მ.,* პერსონალური კომუნიკაცია, 2015.
[25] *ვარდიაშვილი ზ.,* პერსონალური კომუნიკაცია 2015.

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის შემცველი კომენტარებისას გამოცემა უხერხულობას გრძნობს, რედაქტორები მათ მაინც არ განიხილავენ მასალის შემადგენელ ნაწილად. კვლევაში მონაწილე გამოცმებიდან Netgazeti.ge ერთადერთი გამოცემაა, რომელსაც ცალსახად არ აქვს პოზიცია ჩამოყალიბებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სწორედ პასუხისმგებლობის აღების საკითხზე დაფიქსირდა რედაქტორებისა და ექსპერტებს შორის მთავარი აზრთა სხვადასხვაობა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რადგან სიძულვილის ენის შემცველი კომენტარებისთვის გამოცემის პლატფორმა არის გამოყენებული, ამიტომ პასუხისმგებლობაც ამავე გამოცემას ეკისრება.

„თუ არ მოხდება კომენტარისა და ჟურნალისტური ტექსტის ერთიან პლატფორმად აღქმა და არ წაიშლება მსგავსი კომენტარები, მედია იქცევა ბრმა იარაღად სიძულვილის ენის შემცველი მოსაზრებების გასავრცელებლად“[26] ექსპერტთა აზრით, უფრო მაღალი სტანდარტი იქნება, თუ გამოცემა წინასწარ გააფრთხილებს მკითხველს და გააკეთებს წარწერას, რომ სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები წაიშლება.

იმ შემთხვევაში, თუ რედაქციას არ ჰყოფნის კომენტარების კონტროლის რესურსი, სჯობს გათიშოს კომენტარის დატოვების შესაძლებლობა იმ თემაზე მომზადებული მასალის ქვეშ, რასაც დიდი ალბათობით, შესაძლოა, მოჰყვეს სიძულვილის ენის შემცველი მოსაზრებების გამოხატვა.[27]

---

[26] *კლდიაშვილი დ.,* პირადი კომუნიკაცია, 2015.

[27] *კუპრაშვილი ნ.,* პირადი კომუნიკაცია, 3 მარტი, 2015.

დასკვნა

კვლევისას დადასტურდა პირველი ჰიპოთეზა - საზოგადოებრივ პოლიტიკურ თემებზე ჟურნალისტების მიერ სოციალურ ქსელში საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებით მიუკერძოებლობის სტანდარტი ირღვევა. გამოცემას ძალიან გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ ჟურნალისტი, რომელიც სოციალურ ქსელებში მუდმივად აფიქსირებს საკუთარ აზრს მიმდინარე მოვლენებზე, ის მიუკერძოებლად გააშუქებს იმავე ამბავს საკუთარ ჟურნალისტურ მასალაში. ამით კი ორგანიზაციის რეპუტაცია და სანდოობა ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს.

ქართული ონლაინგამოცემების რედაქტორები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია, ჟურნალისტმა თავი შეიკავოს სოციალურ ქსელებში საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან იმ თემაზე, რაზეც მუშაობს. თუმცა, არ არსებობს, ერთიანი სტანდარტი ამ საკითხთან დაკავშირებით.

რედაქციაში სოციალური მედიის პოლიტიკის შემუშავების გარეშე დამსაქმებელს მანიპულაციის საშუალება რჩება, ვინაიდან მან შესაძლოა, სამსახურიდან გაფრთხილების გარეშე გაათავისუფლოს ჟურნალისტი სოციალურ ქსელში გამოხატვისთვის, რამაც დამსაქმებლის აზრით, გამოცემის მიუკერძოებლობა შელახა.

სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების გამოსარიცხად, აუცილებელია არსებობდეს რედაქციის მიერ შემუშავებული პოლიტიკა სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით, რომელშიც ცხადად ჩაიწერება თუ რა ტიპის შეზღუდვები უწესდებათ ჟურნალისტებს. დაუშვებელია სამსახურიდან გათავისუფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. თუმცა, მიუკერძოებლობის სტანდარტის დაცვისგან არ თავისუფლდება ჟურნალისტი იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი შეთანხმება რედაქციაში არ არსებობს.

დადასტურდა მეორე ჰიპოთეზა, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაციის ჟურნალისტურ მასალაში გამოყენებით არ ირღვევა ეთიკური სტანდარტები, თუმცა, პრობლემა იქნება მისი გამოყენების ფორმებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ რომელიმე პირის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული კომენტარის აღებისას ჟურნალისტი დარწმუნდეს მის სიზუსტეში, გადაამოწმოს ავტორთან და ამცნოს, რომ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებას აპირებს. ამასთან, სოციალური ქსელიდან აღებული ინფორმაცია უნდა იყოს ერთერთი შემადგენელი ნაწილი ახალი ამბებისა, როგორც ეს ხდება ნებისმიერი სხვა საშუალებით მიღებული კომენტარის თუ ინფორმაციის დროს.

ნაწილობრივ დადასტურდა მესამე ჰიპოთეზა. გამართლდა ვარაუდი, რომ სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებზე ქართული ონლაინგამოცემები სარედაქციო პასუხისმგებლობას არ იღებენ და მკითხველთა მიერ დატოვებულ კომენტარებს მასალის შემადგენელ ნაწილად არ განიხილავენ.

არ დადასტურდა მესამე ჰიპოთეზის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც რედაქციები არ შლიან სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებს. აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე ონლაინგამოცემები ზღუდავენ სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებს არასისტემატიურად და იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ვებგვერდი ამის საშუალებას იძლევა. ამასთან კომენტარის დატოვებას ზღუდავენ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული მასალის გამოქვეყნებისას მოსალოდნელია სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამგვარი კომენტარების წაშლა სიძულვილის ენის ტირაჟირების ხელშეშლა უფროა, რის ვალდებულებაც ჟურნალისტს აქვს, ვიდრე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

Nata Dzvelisvili –Master at Tbilisi State University, Faculty of social and political Sciences

ETHICAL ISSUES OF USING SOCIAL NETWORKS IN GEORGIAN ONLINE MEDIA

In young democracies like Georgia, the self-regulation system of online media is still fragile. Due to the development of online media, this system has new trends and challenges.

The goal of this research is to analyze problems of Georgian online media concerning ethical standards. The research examines the following questions: Do journalists violate the self-regulation standards when they post their personal opinions about the issues they cover with in social networks? Do the editors and journalists violate the self-regulation standards using other people's personal posts (in social networks) as official comments within the news? Who is responsible if users publish hate speech comments on online articles?

For analyzing these topics, qualitative (in-depth interviews) and quantitative (content analyzes) have been used. In depth interviews have been conducted with seven media experts and five editors from online news portals covering social-political issues in Georgia (Liberali.ge, Netgazeti.ge, News.ge, Droni.ge and Tavisupleba.org).

The first hypothesis – the impartiality standard is violated by journalist's expression of his/her viewpoint in social network on socio-political subjects – has been confirmed by this study. Editors of Georgian media believe it to be better for a journalist to refrain from expressingpersonal viewpoints in social networks on subjects that he or she covers. However,

there is no common social media policy for all editions in Georgia.

This may lead to manipulations, e.g. by the employer: a journalist may be dismissed without warning due to the fact that he/she expressed certain opinions in a social network, which, according to the employer, brought harm to the impartiality of the media .

Various experts discuss this danger. In order to prevent manipulations and subjective decisions by the employer, they suggest an overriding social media policy, clearly defining the types of restrictions journalists have to respect. Dismissal from office without preliminary warning is unacceptable.

The second hypothesis of this study was confirmed as well – using personal statuses posted on social network as an information source is not necessarily a violation of ethical standards. However, the question is how reporters may use these comments. It is important to double-check information which was posted by users on social networks. Moreover, such kind of information should not be the only source, but only be part of the news (asdone in using traditional sources).

The final hypothesis – Georgian online media editors do not feel responsible for hate speech comments on their online articles and do not delete them – has only been partly confirmed. Editors randomly delete offensive and hate speech comments, but they rather think that the authors of each comment are responsible for the comment's content. Analyzing international cases as well as interviews with experts reveals that deleting hate speech comments is not a restriction of the Freedom of Expression.

მარიამ თურქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის VI სემესტრის სტუდენტი

მედიის გავლენა მართლმსაჯულებაზე

შესავალი

მედიას გააჩნია მნიშვნელოვანი ფუნქცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტო აქტიურად თანამშრომლობს მასთან. ამ მხრივ არც სასამართლო ხელისუფლებაა გამონაკლისი. მაუწყებელმა მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. მან ხელი შეუწყო სასამართლოს განვითარებას, გახადა იგი უფრო ღია და გამჭვირვალე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მაუწყებლის მუშაობა დავუკავშიროთ საპროცესო სამართალსაც.

აღსანიშნავია, რომ თავისი არსით მედია, ისევე როგორც სასამართლო, მჭიდრო კავშირშია ადამიანის ძირთიად უფლებებთან. ფაქტობრივად, ორივე საერთო მიზანს- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებთა დაცვას ემსახურება. მედია, ერთი მხრივ, წარმოადგენს ამ უფლებათა განხორციელების ბერკეტს, ხოლო მეორე მხრივ, მისი არსებობა მთლიანად არის დამოკიდებული უფლებებით სარგებლობაზე. ფაქტობრივად, ადამიანის უფლებები ის ქვაკუთხედია, რომლის მეშვეობითაც ფუნქციონირებს მთელი სამაუწყებლო სისტემა.

თავის მხრივ, სასამართლოს დანიშნულებაა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში იყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, სამართლიანობის, კანონიერების, დემოკრატიისა და სამოქალაქო მშვიდობის გარანტი. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სასამართლოსა და მედიას შორის ურთიერთთანამშრომლობა მომგებიანია მათი მიზნების მისაღწევად.

ამის მიუხედავად, შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა: მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში მედია იქცა სასამართლოზე ზეწოლის ბერკეტად[1] და გახდა საჭირო ამის საპირწონე მექანიზმების შემუშავება; ჟურნალისტები თავიანთი განცხადებებით არყევდნენ საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი და არასწორად აშუქებდნენ იურიდიულ საკითხებს, რითაც არც თუ იშვიათად, შეცდომაში შეჰყავდათ მთელი მოსახლეობა. ეს ყოველივე ხშირად იწვევდა სასამართლოს მცდელობას მოეხდინა მედიისაგან იზოლირება და ფაქტობრივად წყდებოდა მათ შორის თანამშრომლობა.

სასამართლოსა და მაუწყებელს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად შეიქმნა სპეციალური ნორმები და მრავალ სახელმწიფოში გამოიყო ჟურნალისტთა ჯგუფები,[2] რომლებიც სპეციალიზებულნი არიან იურიდიულ საკითხთა გაშუქებაზე და ფლობენ საამისოდ საჭირო ცოდნას.

საქართველოში მედიის მიერ იურიდიული საკითხების გაშუქებას არეგულირებს მაუწყებლის ქცევის კოდექსი, რო-

---

[1] Supreme Court Judge cites Nirbhaya case, says no to media trial; იხ. <http://www.ibnlive.com/news/india/supreme-court-judge-cites-nirbhaya-case-says-no-to-media-trial-1025620.html> [15.08.2015].

[2] Декларация Гильдии судебных репортеров, О принципах честной работы в жанрах судебного очерка и репортажа, а также журналистского расследования, Москва, 1997 <http://www.guild.ru/info/23/deklaratsiya> [27.07.2015].

მელსაც სავალდებულო ძალა არ აქვს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი, ასევე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ცალკეული იურიდიული საკითხების გაშუქების სტანდარტებს ვხვდებით საარჩევნო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. თუმცა პრაქტიკაში, ამ რეგულაციების დარღვევა იშვიათი მოვლენა არაა.

რაც შეეხება ჟურნალისტთა სპეციალიზებულ ჯგუფს, ასეთი საქართველოში გამოყოფილი არ არის და ამის გამო იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც მაუწყებელი იურიდიული განათლების ნაკლებობის გამო შეცდომებს უშვებს საკითხთა გაშუქებასა და სასამართლოსთან ურთიერთობაში.

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ ზემოაღნიშნულ პრობლემებს, შევეხებით მედიის როლს საზოგადოების ინფორმირებაში სასამართლოს შესახებ; მაუწყებლის სასამართლოზე, კონკრეტულად კი, მოსამართლეებსა და ნაფიც მსაჯულებზე გავლენის საკითხს; განვიხილავთ აქვს თუ არა მედიას უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულება და იმას, თუ როგორ იქცევიან ჟურნალისტები სასამართლო სხდომის დარბაზში.

1. მედიის მნიშვნელობა საზოგადოების ინფორმირებაში სასამართლოს შესახებ

მედია მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ახორციელებს მიმდინარე მოვლენების სოციალურ კონტროლს, სასამართლო კონტროლს. შესაბამისად, საინფორმაციო საშუალებები შესაძლებელია იქცეს სასამართლოს მნიშვნელოვან მო-

კავშირედ, ვინაიდან სასამართლოსა და მედიას შორის ბევრი საერთოა: მოქმედების საჯაროობა, მუშაობის გამჭვირვალობა, პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ, საზოგადოების მძაფრი ინტერესი, რომელიც გამოიხატება როგორც სასამართლოს, ისე მედიის მიმართ. რაც მთავარია, ორივეს ახასიათებთ საზოგადოების განვითარებაზე კონტროლი, უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევაზე რეაგირება.[3]

მედია, პირდაპირ თუ ირიბად, მრავალ ძირითად უფლებასთან არის დაკავშირებული, თუმცა, მოცემული თემიდან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება და სიტყვის თავისუფლება არის საინტერესო. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ თავისი საქმიანობის ფარგლებში და სასამართლოს საჯაროობის პრინციპების თანახმად, მედიასაშუალებას აქვს უფლება გააშუქოს სასამართლოში მიმდინარე მოვლენები და გააცნოს ისინი მოსახლეობას. ეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა. თავის მხრივ, სასამართლოსაც ევალება ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის და, ზოგადად, მართლმსაჯულების შესახებ, რითაც უნდა მოხდეს სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობის, სასამართლოს ავტორიტეტის და სამართლებრივი კულტურის ამაღლება. სწორედ ასეთი სიმბიოზი უწყობს ხელს როგორც მედიის, ისე სასამართლოსა და, ზოგადად, სახელმწიფოს განვითარებას.

---

[3] *Полудняков В. И.,* Прозрачность, гласность правосудия. Суд и средства массовой информации :
Проблемы юридической теории в свете юридической практики, Санкт-Петербург, 2001; იხ.
<http://www.law.edu.ru/doc/document.asp? docID=1126695> [30.08.2015].

ამის მიუხედავად, საინფორმაციო საშუალებებში დომინირებს სასამართლო ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. შედეგად, სასამართლო ხელისუფლება ვერ ახერხებს დადგეს სათანადო სიმაღლეზე და მოიპოვოს მოსახლეობის ნდობა, რაც აუცილებელია მისი სწორი და გამართული ფუნქციონირებისთვის.

2. სასამართლოს დამოუკიდებლობა

ცხადია, მედიამ სასამართლოს გამჭვირვალობაზე დადებითი გავლენა მოახდინა და მოახერხა ის, რომ დაუახლოვა სასამართლო ხელისუფლება საზოგადოებას. ნელ-ნელა იზრდება მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერებაც. სასამართლო აღარ არის მიუწვდომელი ძალა, რომლის საქმიანობაშიც ჩახედვა შეუძლებელი იყო და ამაში დიდი წვლილი მედიას მიუძღვის.

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები ასევე მოითხოვენ, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი ყოველგვარი ზეგავლენისა და ზეწოლისაგან. მისი დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის და სამართლიანი პროცესის ფუნდამენური გარანტიის წინაპირობა. სასამართლოს ეკისრება მოქალაქეების სიცოცხლის, თავისუფლებების, უფლებების, მოვალეობებისა და ქონების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება.[4] სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებ-

[4] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ.

ზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალადობის, დაშინების ან პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.[5] ეს დებულებები, ასევე, გადმოტანილია ქართულ კანონმდებლობაში.

ზემოხსენებული პრინციპებიდან, ასევე გამომდინარეობს სასამართლოს დამოუკიდებლობის ვალდებულება მედიის ზეგავლენისაგან. მაუწყებელი, რომელიც აქტიურად „ძერწავს" საზოგადოებრივ აზრს და ახდენს ინფორმირებას, ზოგჯერ, ზღუდავს სასამართლოს დამოუკიდებლობას და ბღალავს მის ავტორიტეტს თავისი ჭარბი დაინტერესებით. იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო განიცდის პრესისა და საზოგადოების ზეწოლას, მაგრამ ამან არ უნდა შეარყიოს სასამართლოს პოზიცია და ასახვა არ უნდა ჰპოვოს მის გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ზემოხსენებული ნორმები, პრინციპები და კიდევ მრავალი სხვა ნორმატიული აქტი იცავს სასამართლოს მის საქმიანობაში მედიის ზედმეტი ჩარევისაგან, ასევე, ავალდებულებს არ აღმოჩნდეს გარეშე ფაქტორთა ზეგავლენის ქვეშ.

3. მედია და მოსამართლე

საკითხავია ახდენს თუ არა მედია გავლენას მოსამართლეზე. თუ საკითხს ფართო გაგებით მივუდგებით, ცხადია, რომ როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დაინტერესე-

[5] გაეროს 1985 წლის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, მე-2 მუხლი.

ბულია მიმდინარე მოვლენებით, კითხულობს გაზეთს, უყურებს ახალ ამბებს, უსმენს რადიოს, ის ღიაა მედიის გავლენისათვის, ისევე, როგორც ნებისმიერი მოსამართლე. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსამართლე დებს ფიცს და კარგად იაზრებს თავის მოვალეობას იყოს დამოუკიდებელი და ობიექტური საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას. მისი მოვალეობა იყოს დამოუკიდებელი, ასევე ვრცელდება მედიის პოზიციისგან თავისუფლებაზე. კონკრეტული ვითარების ჟურნალისტისეული შეფასება ზოგჯერ არასწორია იმ მარტივი მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ის არ იცნობს კანონმდებლობას ისე, როგორც მოსამართლე და ხშირ შემთხვევაში შეცდომას უშვებს სამართლებრივ საკითხებზე თავის კომენტარებში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსამართლე მეტწილად არ იზღუდება მედიის გავლენით, ვინაიდან კარგად იცნობს თავის მოვალეობებს და იაზრებს პასუხისმგებლობას. მაგრამ არის კი ეს დამოუკიდებლობა აბსოლუტური?

ინგლისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე *სერ მარკ პოტერი* აცხადებს, რომ ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეს უჩნდება სურვილი იცოდეს როგორ მიიღებს მის გადაწყვეტილებას საზოგადოება და რა შეფასება მოყვება მას.[6] ის ასევე წერს, რომ ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის გავლენა მოსამართლეზე დადებით შედეგებს იღებს, ვინაიდან

[6] *Sir Mark Potter,* Do the Media Influence the Judiciary?, The Foundation for Law, Justice and Society in affiliation with The Centre for Socio-Legal Studies, University of Oxford, 2011, 3; იხ. <http://www.fljs.org/sites/www.fljs.org/files/publications/Potter_PB.pdf> [02.04.2015].

მოსამართლის საქმიანობა, სწორედ საჯარო ინტერესებს ემსახურება.

აქედან გამომდინარე, ისეთ საქმეებში, რომელთა მიმართაც არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი, სრულებით არ არის გამორიცხული მოსამართლემ გაითვალისწინოს საზოგადოებრივი და მედიის აზრი.

თუმცა, არის ფაქტები, როდესაც მედია ცდილობს მოახდინოს მოსამართლეზე გარკვეულ ზეწოლა და ამით დაბრკოლებებს უქმნის მართლმსაჯულების განხორციელებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე აცხადებს, რომ მას პრაქტიკაში ჰქონია შემთხვევა, როდესაც მხარე ცდილობდა გამოეყენებინა მედია, როგორც ზემოქმედების ბერკეტი მოსამართლეზე და გავლენა მოეხდინა სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამოცდილი მოსამართლეებიც კი განიცდიან დისკომფორტს, როდესაც აღმოჩნდებიან კამერის ობიექტივში,[7] უჭირთ საქმეზე ფოკუსირება, განიცდიან სტრესს და ვერ გრძნობენ თავს თავისუფლად გადაწყვეტილების მიღებისა თუ გამოცხადების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებას ადგილზე თათბირით იღებენ.

ამასთან, თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ სავსებით შესაძლებელია, მედიის ზემოქმედება მოსამართლეზე არ იყოს ასეთი პირდაპირი. ეჭვგარეშეა, რომ მაუწყებლის მიერ გამოყენებული საშუალებები ძალიან ეფექტურად მოქმედებს ადამიანის ქვეცნობიერზე. უფრო მეტიც, ფსი-

---

[7] *Mason P.*, Court on Camera: Electronic Broadcast Coverage of the Legal Proceedings, Southampton, England, 2015; იხ., <http://usf.usfca.edu/pj//camera-mason.htm> [25.04.2015].

ქოლოგები ამტკიცებენ, რომ მაუწყებელს შეუძლია შეცვალოს ადამიანის აზროვნების სტილი, მისი მსოფლმხედველობა და რეალობის აღქმა.[8] მედიას აქვს უნარი ჩამოაყალიბოს ხალხის მყარი პოზიცია და იდეოლოგია ცალკეული საკითხების მიმართ და ის იმდენად ღრმად ჯდება ადამიანის ცნობიერებაში, რომ შესაძლებელია, ეს უკანასკნელი ვერც კი იაზრებდეს ამას. რაც მთავარია, მაუწყებელს შეუძლია შექმნას აჟიოტაჟი საზოგადოებაში და მოახდინოს საკითხის გამწვავება. მოსამართლეც, როგორც საზოგადოების ნაწილი, შესაძლებელია მოხვდეს ამ საერთო განწყობის გავლენის ქვეშ. ამის მრავალი მაგალითი ახსოვს მსოფლიო სასამართლო პრაქტიკას, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის და არ წარმოადგენს შეუსწავლელ სტატისტიკას. ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ ყველაზე მეტად მედიის ზეგავლენას, პირდაპირ თუ ირიბად, განიცდის სამოქალაქო პროცესი, თუმცა არც სისხლის და ადმინისტრაციულ პროცესებზე გავლენაა გამონაკლისი. ყოველივე ეს, სამწუხაროდ, ზოგჯერ აისახება სასამართლო გადაწყვეტილებაზე.[9]

საბოლოოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეს, ისევე როგორც ყველა მოქალაქეს, აქვს აზრის გამოხატვის და რწმენის თავისუფლება. მაგრამ ამ უფლებების განხორციელებისას ის ყოველთვის უნდა ცდილობდეს შეინარჩუნოს

---

[8] *Luskin B.,* Brain, Behavior, and Media, The Media Psychology Effect, 2012 იხ., <https://www.psychologytoday.com/blog/the-media-psychology-effect/201203/brain-behavior-and-media> [10.05.2015].

[9] *Claire S. H. Lim,* Media Influence on Courts: Evidence from Civil Case Adjudication, Kessler and McClellan (1996); <https://lim.economics.cornell.edu/civilpaper.pdf> [10.04.2015];
<https://jillianmastroianni.wordpress.com/2012/04/22/how-social-media-affects-court-cases/> [10.04.2015].

მოსამართლის პროფესიული ღირსება, სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

4. ზეგავლენა ნაფიც მსაჯულებზე

პრობლემურია, ასევე, მედიის გავლენის საკითხი ნაფიც მსაჯულებზე. ეს უკანასკნელნი არ ფლობენ იურიდიულ განათლებას. ისინი გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ საქმესთან დაკავშირებით წინასწარ ჩამოყალიბებული აზრის გარეშე, საკუთარი სინდისის კარნახით, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებსაც მხარეები წარმოადგენენ სასამართლო სხდომაზე.[10] აქედან გამომდინარე, ნაფიცი მსაჯულები წინასწარ არ უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომლის განხილვაშიც მომავალში მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა, ჩვენს რეალობაში ეს იქცა ფორმალობად, რამდენადაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჟანრობრივი და რაოდენობრივი მრავალფეროვნების გამო მედიას აქვს საშუალება გააშუქოს საქმე წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ, სერიოზულ პრობლემებს უქმნის ნაფიც მსაჯულთა მიერ ობიექტური და მოუკერძოებელი ვერდიქტის გამოტანას. იმის მიუხედავად, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევა გულმოდგინედ და რთული პროცედურის დაცვით ხდება, იურიდიული განათლების არქონის გამო მსაჯულები მოსამართლეზე გაცილებით უფრო მეტად ექცევიან მედიის და საზოგადოებრივი

[10] ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, გ.ნაჭყებიას რედაქტორობით, თბილისი, 2013.35.

აზრის ზემოქმედების ქვეშ. ყველაფერთან ერთად, შეუძლებელია ამ გავლენისგან მსაჯულთა აბსოლუტური დაცვა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არ ხდება მათი სრული იზოლირება პოტენციური გავლენის წყაროებისგან. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი არის ხანგრძლივი და დაკავშირებულია მრავალ პროცედურასთან, რომლებიც შესაძლოა დროში გაიწელოს რამდენიმე თვითაც კი.[11] არ არის გამორიცხული, რომ ვერ მოხერხდეს საჭირო რაოდენობით მსაჯულთა შერჩევა ერთ შესარჩევ სხდომაზე და, სწორედ აქ ვაწყდებით პრობლემას. დღეს საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა იზოლირება შესაძლო ზემოქმედებისაგან. ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც უკვე ინფორმირებულნი არიან, რომ კონკრეტული საქმის განხილვაში უნდა მიიღონ მონაწილეობა, ბრუნდებიან სახლებში და მათი კონტაქტი გარეშე პირებთან არ არის შეზღუდული. მართალია, შესარჩევ სხდომაზე მოსამართლე აფრთხილებს მსაჯულს, რომ მას არ შეუძლია გაავრცელოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და თავი უნდა შეიკაოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებისაგან, რეალურად, ამის კონტროლი შეუძლებელია. თუ მსაჯულებზე არ დაწესდება 24-საათიანი მეთვალყურეობა, ვერავინ გაიგებს ადევნებს თუ არა ის თვალს საინფორმაციო საშუალებებს, საუბრობს თუ არა ის ნაცნობებთან ან სხვა პირებთან კონკრეტულ საქმეზე და ა.შ. ამასთან ცხადია, რომ ასეთი კონტროლის დაწესება ადამიანის უფლებათა ცალსახა დარღვევაა.

ასევე პრობლემურია მსაჯულთა ცალკე საცხოვრებელ შენობაში ან სხვაგან გადაყვანის საკითხი, ვინაიდან იმ პირო-

[11] იქვე, 47.

ბებში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის დაკომპლექტე-ბა შესაძლებელია გაიწელოს თვეობით, ადამიანის მოწყვეტა მისი ოჯახისა და სამუშაო გარემოსაგან იქნებოდა მისი და მისი ახლობლების კონსტიტუციური უფლებების დარღვევა. მაგრამ უკონტროლო ვითარებაში მსაჯულს შეუძლია, მაგა-ლითად, მოისმინოს საინფორმაციო საშუალებებში მტკიცებუ-ლებების შესახებ, რომლებიც სასამართლომ დაუშვებლად ცნო და, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, გადაწ-ყვეტილება მიიღოს ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით. არც ისაა გამორიცხული, მსაჯული მოექცეს საზოგადოებრივი მღელვარების ზეგავლენის ქვეშ, რის შექმნის შესაძლებლო-ბაც მედიას, ეჭვგარეშეა, გააჩნია.

ყველაფერთან ერთად, მთელ მსოფლიოში მრავლადაა მედიის მიერ საქმის ზედმეტად აქტიური გაშუქების გამო სა-სამართლო სხდომის ჩაშლის[12] ან მსაჯულთა მიერ არასწო-რი ვერდიქტის გამოტანის პრაქტიკა.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე მედიის ზეგავლენის თვალსაჩინო მაგალითია ო. ჯეი. სიმპსონის საქმე,[13] როდესაც ცნობილ ამერიკელ ფეხბურთელს ბრალი ედებოდა ყოფილი ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობაში. საქმეს აქტიუ-რად აშუქებდნენ ისეთი ცნობილი ტელეარხები, როგორიცაა CNN, BBC, CBN და მრავალი სხვა. საინტერესო ისაა, რომ ამ საქმემ მთელი ქვეყანა 2 ნაწილად გაყო: ადამიანებად, რომლებიც მიიჩნებდნენ სიმპსონს დამნაშავედ და მათ, ვინც

---

[12] იქვე, 41.

[13] BBC - OJ Simpson the Untold Story; იხ., <https://www.youtube.com/watch?v=QG5CPhGoT3M> [18.04.2015]. და CBS- news; იხ., <http://www.cbsnews.com/news/the-o-j-simpson-murder-trial-20-years-later/> [18.04.2015].

ითხოვდა მის გამართლებას. დაიწყო მასობრივი გამოსვლები და გაიმართა დემონსტრაციები. ამას მედიამ ძალიან შეუწყო ხელი, ვინაიდან, გამუდმებით აშუქებდა საქმის დეტალებს და ხშირად საკმაოდ სუბიექტურიც იყო. აღსანიშნავია, რომ სიმპსონის მხარდამჭერთა უმრავლესობა იყო აფრო-ამერიკელი, ხოლო ჟიურის უმრავლესობა, სწორედ შავკანიანი ადამიანებით იყო დაკომპლექტებული. ამასთან, მსაჯულებს კოლეგიის დაკომპლექტებამდე მედიის მეშვეობით უკვე გააჩნდათ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. არსებობდა ეჭვი, რომ რამდენიმე მათგანი იყო სიმპათიით განწყობილი ბრალდებულის მიმართ. მრავალი იურისტი შემდგომ აცხადებდა, რომ სწორედ მაუწყებლის მიერ შექმნილი აჟიოტაჟი და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ემოციებით მანიპულირება გახდა სიმპსონის „საოცარი" გამართლების საფუძველი. ცხადი გახდა, რომ გარეშე ფაქტორთა ზეგავლენისაგან მსაჯულთა დაცვა ვერ მოხერხდა.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა სახელმწიფოში შეიმუშავეს განსხვავებული მექანიზმები მედიის მიერ საქმის გაშუქებისა და სასამართლოსთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ინგლისში 1981 წლის კანონით „სასამართლოს უპატივისცემლობის შესახებ" მედია იძულებული გახდა სერიოზულად დაეწყო კონტროლი იმაზე, რომ მის მიერ გასავრცელებლ ინფორმაციას არ მოეხდინა გავლენა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.[14] ამის საპირისპიროდ, როგორც ზემოთაც ჩანს, შეერთებულ შტატებში ანალოგიური შეზღუდვები არ მოქმედებს და მედიას გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება აქვს ინფორმაციის გავრცელებისას. კანადაში კი, საქმეები განიხილება ღია სხდომაზე, იმ გამონაკლისების

[14] ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 2013, 68; 41.

გარდა, როდესაც სხდომის დახურვა არის საჭირო საზოგადოებრივი ინტერესისა და მორალიდან გამომდინარე.[15]

5. მედია სასამართლო დარბაზში

მედიასა და სასამართლოს შორის ურთიერთობის პროცესში წარმოიშობა კიდევ ერთი პრობლემა. საქართველოში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ჟურნალისტები სასამართლო სხდომის დარბაზში გადაღებისას ხმაურობენ, გადაადგილდებიან, ან იწვევენ ხმაურს დარბაზის გარეთ, იყენებენ შეუსაბამოდ მკაფიო სინათლეს და ახორციელებენ სხვა ქმედებებს, რომლებიც აფერხებენ სასამართლო განხილვის მსვლელობას. პირველ რიგში, ეს ყველაფერი იწვევს პროცესის მონაწილეთა ყურადღების გაფანტვას. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა ყურადღების გაფანტვამ, თუნდაც რამდენიმე წამით, შესაძლოა მძიმე შედეგი გამოიღოს არასწორი გადაწყვეტილების სახით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევების რაოდენობამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად იკლო.

მეორე მხრივ, სასამართლოსა და მედიას შორის კომუნიკაციის პრობლემაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მაუწყებელს ხშირად არ ეძლევა შესაფერისი განმარტებები ამა თუ იმ მოქმედებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში ჟურნალისტები საკუთარი ინტერპრეტაციით აშუქებენ მოვლენებს, რასაც მივყავართ საზოგადოების დეზორიენტაციამდე და სასამართლოს ავტორიტეტის შელახვამდე.

---

[15] კანადის სსკ, 486.

6. მედია და უდანაშაულობის პრეზუმფცია

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საიმედობასა და კორექტულობაზე. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობამ შექმნა მრავალი სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მედიასაშუალების პასუხისმგებლობას საქმიანი რეპუტაციის, ღირსების შელახვისა და ცილისწამებისთვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ მაუწყებლის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ შესაძლებელია სერიოზულად დაარღვიოს ადამიანის ზოგიერთი უფლება. ასეთებია: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ღირსება, პატივი, სამართლიანი სასამართლოს უფლება და მრავალი სხვა.

ამ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სხვა აქტებით დაცული უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამ პრინციპის თანახმად, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-40 მუხლიდან, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილებით. მანამდე სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შეიკავონ თავი ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია.[16] არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასა-

[16] *თუმანიშვილი გ.,* სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 80.

მართლომ ბრალდებული შეიძლება გაამართლოს კიდეც. ამიტომ სისხლის სამართალწარმოების რომელიმე წინა სტადიაზე დაუშვებელია ბრალდებულის მიჩნევა და მოხსენიება დამნაშავედ, ვინაიდან სახელმწიფო (კანონი) მას უდანაშაულოდ მიიჩნევს,[17] ხოლო „კონკრეტულ პირს სისხლის სამართლის სასჯელი შეიძლება დაედოს მხოლოდ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, ანუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მისი დამნაშავედ ცნობის მომენტიდან".[18]

ბოლო დროს გახშირდა განაცხადები იმის თაობაზე, რომ მაუწყებლის მოქმედებები აშკარა დარტყმას აყენებს უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამის მაგალითია ე.წ. „აბულაძის" საქმე, როდესაც კონკრეტულ პირს ბრალი ედებოდა პოლიციის თანამშრომლის მკვლელობაში. მედიამ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ჯერ კიდევ დაკავებამდე, შერაცხა ეს ადამიანი დამნაშავედ და მკვლელად.

აშკარა იყო, რომ ამ საქმეში მედიამ მოახდინა საკითხის დრამატიზება და პერსონალიზაცია მოვლენათა საფუძვლიანი გამოძიების გარეშე. ასევე ვრცელდებოდა განცხადებები, რომ ზოგი მაუწყებელი ავრცელებდა მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას და მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც განამტკიცებდა ამ ხედვას. ამასთან, აქცენტი არ კეთდებოდა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენის მოტივზე, მოხდა მისი პირადი ცხოვრებისა და წარსულის გასაჯაროება ისეთი რა-

---

[17] *კახნიაშვილი ა.,* უდანაშაულობის პრეზუმფცია და სისხლის სამართლის საქმის შესახებ ცნობების გავრცელება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", №2, 1999, 22.

[18] იქვე, 22; იხ. ციტირება: *Либус И. А.* Презумпця невиновности в Советском уголовном процессе, Ташкент, 1981, 43.

კურსით, რომელმაც მოახდინა მისი კრიმინალიზაცია საზოგადოების თვალში.

დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ბრალდებულის, მსჯავრდებულის, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.

ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსამართლეს, რომლის განხილვაშიც აღმოჩნდებოდა საბოლოოდ საქმე, როგორც საზოგადოების ნაწილს, წინასწარ შეექმნა გარკვეული წარმოდგენა დამნაშავის პიროვნებასა და საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. ეს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს. მსგავს სიტუაციებში რთულდება მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და ნეიტრალურობის მტკიცება. ამავე პრინციპებიდან გამომდინარე დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს რამე გარეშე ფაქტორმა. მოსამართლეს (ან ნაფიც მსაჯულს) არ უნდა ქონდეს ჩამოყალიბებული წინასწარი პოზიცია ბრალდებულის დამნაშავეობასთან ან უდანაშაულობასთან დაკავშირებით. მან ობიექტურად უნდა შეაფასოს საქმეში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ეს ყველაფერი გააკეთოს, როგორც ნეიტრალურმა დამკვირვებელმა.

გამოდის, რომ მედიის მიერ პირის მოხსენიებას ისეთი ფორმით თითქოს მისი ბრალეულობა უკვე დადგენილია, მივყავართ იმავე შედეგამდე რაც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას სახელმწიფო ორგანოს მიერ – სამართლიანი სა-

სამართლოს უფლების დარღვევამდე. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის ვალდებულებას დღევანდელი კანონმდებლობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს აკისრებს, მედია საშუალებებსაც გააჩნიათ ეთიკური ვალდებულება არ მოიხსენიონ ბრალდებული ისეთი ფორმით, თითქოს მისი ბრალეულობა დადგენილია სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე. ეს მოვალეობა პირდაპირ არის მითითებული ჟურნალისტური ეთიკის ნორმებში და იმის მიუხედავად რას ვუწოდებთ ამ მოვალეობას, უდანაშაულობის პრეზუმფციას თუ ნებისმიერ სხვა სახელს, ფაქტია, ის არსებობს და უნდა შესრულდეს.

დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრობლემები მედიასა და სასამართლოს ურთიერთობებში არის ორმხრივი. მედია არასწორად აშუქებს იურიდიულ საკითხებს და ზოგჯერ არაკორექტულია სასამართლოს მიმართ. ამის საპირისპიროდ, სასამართლო ზოგჯერ ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას თავი მედიისაგან და ერიდება კომენტარის გაკეთებას. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის მოგვარება ერთბაშად შეუძლებელია და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სისტემატური მუშაობა და თანამშრომლობა მედიასა და სასამართლოებს შორის.

ამ პრობლემების მოგვარების ყველაზე ეფექტურ გზად მიიჩნევა ჟურნალისტთა ჯგუფის გამოყოფა, რომელიც სპეციალიზებული იქნება იურიდიული საკითხების გაშუქებაზე. ამასთან, საჭიროა ამ ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლებაზე

აქტიური მუშაობა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს მათთვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება სამართლებრივ თემებზე, რათა მასმედიის წარმომადგენლებმა შეძლონ გაიაზრონ ფუნდამენტური იურიდიული ტერმინების მნიშვნელობა და ადეკვატურად შეაფასონ სასამართლოს მოქმედებები, თუნდაც სპიკერი მოსამართლეების განმარტებების საფუძველზე. ჟურნალისტების იურიდიული განათლების გზით შესაძლებელი გახდებოდა მთლიანად საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის გარკვეულწილად ამაღლება. იმ საზოგადოებაში კი სადაც ხალხი სამართლებრივად მეტნაკლებად გათვითცნობიერებულია, სასამართლო სისტემის განვითარებაც უფრო მარტივი და ორგანულია. მეტია სასამართლოს მიმართ ნდობაც.

მეორე მხრივ, საჭიროა სასამართლომ ჩამოაყალიბოს უფრო მკაფიო პოლიტიკა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მოსამართლის სწავლების პერიოდში უკეთესი იქნებოდა ეზრუნათ იმაზეც, რომ მას შეეძლოს დაუბრკოლებლად მუშაობა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან.

რაც შეეხება მედიის ურთიერთობას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან, აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოსთვის ახალი ინსტიტუტია და მის სრულყოფილად ჩამოყალიბებამდე და მოწესრიგებამდე საჭიროა მსაჯულთა დაცვა მედიის გავლენისაგან. თუ არ გავრცელდება არასათანადო და დაუზუსტებელი ინფორმაცია, არც ნაფიცი მსაჯული შევა შეცდომაში, ხოლო ინფორმაციის ობიექტური მიწოდებისას, რაც ამოსავალი წერტილია უნდა იყოს მასმედიის ნებისმიერი საშუალებისათვის, მსაჯული დაცული იქნება არასწორი საზოგადოებრივი აზრის ზეწოლისაგან.

აუცილებელია საინფორმაციო საშუალებებსა და სასამართლოს შორის დამყარებულ ნდობაზე, პატივისცემასა და თანამშრომლობაზე აგებული ურთიერთობა. ასეთ პირობებში სასამართლოსა და მედიის მუშაობა იქნება მაქსიმალურად ეფექტური. ამაღლდება მათი ავტორიტეტი საზოგადოების თვალში და რაც მთავარია, შესაძლებელი იქნება იმ მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევა, რომლებსაც ემსახურება ერთიც და მეორეც.

Mariam Turkishvili – Student (B.Sc) at Tbilisi State University, Faculty of Law (4th year)

MEDIA'S INFLUENCE ON JUSTICE

Media plays an important role in the defense and enforcement of Human Rights and this role is increasing each and every year. Most certainly, "the fourth power" affects the work of justice enforcement bodies. Therefore, the work of journalists clearly is connected with procedural law. In this sense, media can even play the role of a mediator between actions of the court and their perception by the society, which is only natural considering the recourses at disposal of mass media. We live in an era of informational technology, where information on almost anything is available on TV, radio, internet etc. Accordingly, the subject of this work is how media can influence judicial bodies:

- How media informs the society concerning court work;
- How media affects the court's independence;
- The relationship between judges and journalists;
- Media's influence on jurors;
- Presumption of innocence;
- The behavior of media in the courtroom.

The objective of this work is to show how important it is to provide sufficient media coverage of legal matters in order to increase legal awareness and consciousness of the society in general.

თამარ კარელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

თვითრეგულირების ორგანოები რეგიონულ მაუწყებლებში

შესავალი

მაუწყებლებში თვითრეგულირების ორგანოთა მუშაობის შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ არსებობას უფრო მეტად ფორმალური ხასიათი აქვს, ვიდრე ქმედითი. თითქმის მსგავსი შედეგი იქნა მიღებული როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული მაუწყებლების კვლევისას. ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა რეგიონულ მაუწყებლებს ეხება, რომელზე მუშაობის პროცესშიც, მაუწყებლების ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუებისას, გამოიკვეთა ის საჭიროებები, რომლებიც, ეფექტიანი და ქმედითი თვითრეგულირების ორგანოს შესაქმნელად, ტელევიზიებს სჭირდებათ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც რეგიონული მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანომ საჩივარი განიხილა და რეზონანსული გახდა, 2012 წელს, ზვიად ქორიძის მიერ, ტელეკომპანია „ობიექტივის“ წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი იყო, რომლის რეტრანსლირებასაც აჭარაში, „25-ე არხი“ აწარმოებდა.

საქმე ეხებოდა „ობიექტივის“ გადაცემის, „ღამის სტუდიის“ 19 მარტის გამოშვებას, რომლის წამყვანი იყო ირმა ინაშვილი, სტუმარი კი - სოსო მანჯავიძე. გადაცემა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას ეხებოდა. ამავე თემაზე, ბათუმის პრესკაფეში გამართულ დისკუსიაზეც ისაუბრეს. ზვიად ქორიძე საჩივარში აღნიშნავდა, რომ გადაცემის წამყვანმა და სტუმარმა კონტექსტის დარღვევით მოახდინეს მისი მოსაზრებების ციტირება და არასწორად ინტერპრეტირება, რასაც შემდგომ შეურაცხმყოფელი განცხადებები მოჰყვა. ქორიძე მოითხოვდა, რომ 25-ე არხს გაეშვა საკუთარ ეთერში განცხადება უარყოფის შესახებ. ქორიძე ასევე მიიჩნევდა, რომ „ობიექტივის“ ეთერით დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 მუხლი. თვითრეგულირების საბჭომ მიიჩნია, რომ დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი და ქორიძის საჩივარი დაკმაყოფილდა. მაია მერკვილაძე ამბობს, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში არხისადმი ნდობა რამდენადმე გაზარდა.

მაუწყებლების ხელმძღვანელთა დიდ ნაწილს არ დაუმალავს, რომ ხშირ შემთხვევაში თვითრეგულირებისადმი მიმართვა მოქალაქეთა მხრიდან ფორმალურ ხასიათს ატარებს და უმეტესად, საბჭოს მიერ საკითხის განხილვის პროცესშივე ხდება მომჩივანის დარწმუნება სარჩელის უსაფუძვლობაში.

გამოკითხვის ფარგლებში, რეგიონული მაუწყებლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ მათ სჭირდებათ დახმარება კომპეტენტური პირებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან, რათა თვითრეგულირების მექანიზმი უფრო ეფექტიანი და ქმედითი გახადონ. ისინი მზად არიან ითანამშრომლონ იმ

სახის პროექტებთან, რომლებიც მათ თვითრეგულირების მექანიზმების გაძლიერებაში დაეხმარებათ.

1. რეგულაციებისა და მიგნებების მიმოხილვა

კვლევის ობიექტები - რეგიონული მაუწყებლები: „25-ე არხი“, „მეცხრე ტალღა“, „ოდიში“, „გურია“, „რიონი“, „იმერვიზია“, „დია“, „ქვემო ქართლის ტელევიზია“, „თრიალეთი“, „ბორჯომი“, „იმპერია“, „მარნეულის ტელევიზია“, „გურჯაანი“, „თანამგზავრი“.

კვლევის მიზანი - შევისწავლოთ, მუშაობს თუ არა „მაუწყებელთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თვითრეგულირების სისტემები რეგიონულ ტელევიზიებში და უზრუნველჰყოფს თუ არა კანონი მათ ეფექტიან მუშაობას.

კანონმდებლობის მიმოხილვა - მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად,[1] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“.[2] ამავე კანონის მე-14-ე მუხლით, მაუწყებლებზე მომხმარებელთა საჩივრების ეფექტიანი განხილვის მექანიზმთა შექმნის ვალდებულება ვრცელდება. ამასთან, „მაუწყებელთა შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი, მაუწყებლებს ჯეროვან სიზუსტეს, შესწორებასა და უარყოფას ავალდებულებს. აღნიშნული გაწერილია ქცევის კოდექსშიც.

---

[1] იხ. <http://www.gncc.ge/files/7110_9041_260414> [20.08.2015].

[2] <http://www.gncc.ge/files/7060_7177_303673_Code%20of%20Conduct.pdf> [20.08.2015].

რეგულაციების მიმოხილვა - მაუწყებელთა ქცევის კოდექსი 2009 წელს იქნა მიღებული. მის მეორე თავში გაწერილია ის რეგულაციები, რომლებითაც თვითრეგულირების ორგანოები უნდა მოქმედებდეს. აღსანიშნავია, რომ კოდექსით გათვალისწინებული თვითრეგულირების მექანიზმების შექმნა, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ტელევიზიებს (ეროვნულ მაუწყებლებს), ექვსი თვის ვადაში დაევალათ. რეგიონულ მაუწყებლებს კი ვალდებულების შესრულების ერთწლიანი ვადა მიეცათ.

თვითრეგულირებისა და ანგარიშვალდებულების თავის მიხედვით, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, ეთერში გასულ მასალაზე პრეტენზიის ქონის შემთხვევაში, 10 დღის მანძილზე მაუწყებელს მოსთხოვოს მცდარი ფაქტის შესაბამისი ფორმითა და შინაარსით შესწორება ან უარყოფა. განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს მასალის ეთერში გაშვების თარიღი, პროგრამის დასახელება და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ის მუხლები, რომელთა დარღვევაშიც მაუწყებელს მომჩივანი ედავება.

მაუწყებელში შესული საჩივრების განხილვის ვალდებულება თვითრეგულირების მექანიზმს აქვს (მისი შექმნის ვალდებულება ტელევიზიებს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ავალდებულებს), რომელმაც საჩივრებზე გამჭვირვალე, დროული და დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს.

ნიშანდობლივია ფაქტი, რომ მაუწყებელთა თვითრეგულირების ორგანოსათვის მიმართვა მხოლოდ „დაინტერესებულ პირებს“ შეუძლიათ. კანონმდებლობა კი ამ დეფინიციაში მხოლოდ იმ სუბიექტს ან სუბიექტთა ჯგუფს მოიაზრებს,

რომლებსაც ეთერში გასული მასალა პირდაპირ ან ირიბად შეეხო. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითრეგულირების ორგანოში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ამავე მაუწყებელში შექმნილ სააპელაციო ორგანოში. საბოლოო გადაწყვეტილება არ საჩივრდება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა თუ სასამართლოში.

კანონმდებლობით გაწერილი პროცედურის თანახმად, შემოსული საჩივრის განხილვის ვალდებულება მაუწყებლებს 21 დღის ვადაში აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვალდებულები არიან დაასაბუთონ გადაწყვეტილება განხილვის ვადის გაზრდის თაობაზე და ყველა დაინტერესებულ პირსაც აცნობონ. თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მომჩივანს, ამავე მაუწყებლის მიერ შექმნილ სააპელაციო ორგანოში შვიდი დღის მანძილზე შეუძლია.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებსაც, თუ ვინ შეიძლება იყოს თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოს წევრი. არ შეიძლება საბჭოში შევიდეს საჯარო მოხელე ან პოლიტიკური პარტიის წევრი. თვითრეგულირების ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს მიუკერძოებელი და კომპეტენტური ადამიანებით. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, საჩივრის განხილვის დროს, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, კომისიის ამა თუ იმ წევრს აცილება მისცეს. წევრის აცილების შემთხვევაში, გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღება. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. გადაწყვეტილება 30 დღის განმავლობაში უნდა იქნეს მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოს დასაბუთების ვალდებულება აქვს.

საჩივრების განხილვის შემთხვევაში თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოების კომისიებმა უნდა უზრუნველჰყონ ყველა დაინტერესებული პირის დასწრება. საჩივრებთან დაკავშირებით, მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.

თვითრეგულირებასთან ერთად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი" ანგარიშვალდებულების ნაწილსაც მოიცავს. მაუწყებლები ვალდებულები არიან, წელიწადში ერთხელ ჩაატარონ თვითრეგულირების სისტემის აუდიტი და ეროვნულ კომისიას ყოველწლიურად წარუდგინონ ის. საანგარიშო პერიოდი 1 მაისით არის განსაზღვრული. ანგარიშში თავმოყრილია ინფორმაცია თვითრეგულირების მექანიზმში შესული საჩივრების, განცხადებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

კანონმდებლობა მაუწყებლებს ავალდებულებს, საჩივართა განხილვის პროცესი გამჭვირვალედ წარმართონ, თუმცა ის არ შეიცავს კონკრეტულ პუნქტებს, რომელიც ვალდებულებას უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მაუწყებლები წლის განმავლობაში შესულ საჩივრებს, თვითრეგულირებისა და სააპელაციო ორგანოს წევრთა ვინაობას, მიღებულ გადაწყვეტილებას და ა.შ. მხოლოდ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგენენ. კანონი მაუწყებლებს არც თვითრეგულირების შესახებ ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებას ავალდებულებს.

2. კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია - კვლევა ჩატარდა კოდექსით განსაზღვრული რეგულაციებით - არის თუ არა გამჭვირვალე გასაჩივრების პროცედურა (მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მუხლი 7). გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი:

ა. მეორადი ანალიზი - ეს მოიცავს მარეგულირებელში რეგიონული მაუწყებლების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და ვებ-გვერდების შესწავლას (არის თუ არა თვითრეგულირების ორგანოს შესახებ ინფორმაცია საიტებზე გამოქვეყნებული);

ბ. თვისობრივი მეთოდი - დეტალური ინფორმაციის მისაღებად ჩატარებულ იქნა პირისპირ ინტერვიუები მაუწყებლების ხელმძღვანელ პირებთან.

რეგიონულ მაუწყებლებში თვითრეგულირების ორგანოთა მუშაობის თაობაზე კვლევა არ ჩატარებულა. 2014 წელს, MDF—ის მკვლევარმა, ჟურნალისტმა გელა ბოჩიკაშვილმა ანალოგიურ თემაზე ნაციონალურ მაუწყებლებში არსებული მდგომარეობა შეისწავლა.[3] ეროვნულ მაუწყებლებში აღმოჩენილი მიგნებები – საჩივრების მცირე რაოდენობა, მაყურებელთა არაინფორმირებულობა და თვითრეგულირების ორგანოს ფორმალური სახე საერთოა რეგიონული მაუწყებლებისთვისაც. ეროვნულისაგან განსხვავებით, არასამთავრობო ორ-

[3] *ბოჩიკაშვილი გ.,* მაუწყებლობის თვითრეგულირება, კანონმდებლობა და პრაქტიკა, <http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//mautskeblistvitregulireba-kanini-praqtika.pdf> [20.08.2015].

განიზაციათა მიმართვა რეგიონული მაუწყებლების თვითრეგულირების საბჭოებისადმი მცირეა. აქვე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებთან დადებული ხელშეკრულებები რეგიონული ტელევიზიების უმეტესობაში, მაუწყებელთა ქცევის კოდექსსა და შინაგანაწესს მოიცავს. ეს უკანასკნელი კოდექსის დაცვასაც გულისხმობს (მსგავსი შემთხვევა ეროვნულ მაუწყებლებში არ ფიქსირდება).

რეგიონული მაუწყებლებიდან კვლევისათვის შერჩეულ იქნა ის ტელეკომპანიები, რომლებიც მეტი აქტიურობით გამოირჩევიან - აქვთ საინფორმაციო გამოშვებები და საკუთარი გადაცემები. კვლევის მონაწილე 14 ტელეკომპანიიდან, თითქმის, ყველა დირექტორმა ამომწურავად უპასუხა კითხვებს. თვითრეგულირების ორგანოში შესული საჩივრების ტენდენციის გასარკვევად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2012 და 2013 წლების შესახებ.

3. კვლევის შედეგები

საჩივრების მცირე რაოდენობა - კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, როგორც აღმოჩნდა, 2012 წლის მანძილზე, რეგიონულ მაუწყებლებში ჯამში სულ 9 საჩივარი იყო შესული (ერთი „25-ე არხში“, ხუთი „იმერვიზიაში“, სამი „იმპერიაში“). განხილული საქმეებიდან უმეტესობა ტექნიკური ხასიათის იყო. მომჩივანის სასარგებლოდ ტელეკომპანია „25-ე არხის“ თვითრეგულირების ორგანოში განხილული საქმე გადაწყდა. დანარჩენ შემთხვევებში დავის მხარის დარწმუნება სარჩელის უსაფუძვლობაში, მისი განხილვის პროცესში მოხერხდა.

2013 წელს კი მხოლოდ „იმპერიაში“ შევიდა 2 საჩივარი, რომელთაგან ერთი საბჭომ დააკმაყოფილა და მოდავე მხარეს გამოეყო საეთერო დრო განმარტებების გასაკეთებლად, მეორე შემთხვევაში კი, საჩივრის განხილვის პროცესში მოხერხდა მოდავე მხარის დარწმუნება სარჩელის უსაფუძვლობაში.

ინფორმაციის ნაკლებობა – არსებობს ინფორმაციის გავრცელების პრობლემა. მაუწყებლები არ ცდილობენ მოსახლეობას შეატყობინონ თვითრეგულირების, მისი მექანიზმებისა და უფლებების შესახებ. კვლევის შედეგად გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დაბალი მიმართვიანობა იმის ბრალიცაა, რომ მოსახლეობა მაუწყებელთა ქცევის კოდექსსაც არ იცნობს. ბათუმის 25-ე არხი ერთადერთია რეგიონულ მაუწყებელთაგან, რომელსაც საიტზე თვითრეგულირების ორგანოს შესახებ აქვს ინფორმაცია, თუმცა ისიც არასრულია და მხოლოდ განხილული საქმით შემოიფარგლება;

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი შინაგანაწესში – მაუწყებლების უმეტესობა ხელეკრულებაში ჟურნალისტს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვას ავალდებულებს, ხოლო ნაწილი ხელშეკრულებაში მხოლოდ შინაგანაწესს დებს, თავად შინაგანაწესი მოიცავს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დაცვასაც (ეს კომპონენტი გამოკითხული 14 მაუწყებლიდან სამს აქვს („ბორჯომი“, „იმერვიზია“, „მარნეული“;

რეკომენდაციები არასამთავრობო სექტორიდან - მაუწყებლებმა არ იციან, რა მექანიზმით უნდა გახადონ პოპულარული და ქმედითი თვითრეგულირების ორგანო. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ დახმარება ამ საკითხში, კომუნიკაციების კომისიამ და არასამთავრობო სექტორმა უნდა გაუწიოს.

ალტერნატიული ხერხი - რეგიონულ ტელევიზიებში არსებობს მაყურებელთან კონტაქტის ალტერნატიული ხერხი.

როგორც კვლევისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, მაყურებელთა უმეტესობა ამჯობინებს სატელეფონო ზარითა და ფეისბუქის საშუალებით იკონტაქტოს ტელევიზიასთან. ინტერაქცია საკმაოდ ინტენსიური და ეფექტიანია;

ინფორმაციის გავრცელების ინტენსივობის ნაკლებობა დამალვა - მაუწყებელთა ნაწილი არ აკეთებს თვითრეგულირების საბჭოს პოპულარიზაციას იმიტომ, რომ ნაკლები საჩივარი მაუწყებლის იმიჯისათვის უკეთესია. ამის მეორე მიზეზი ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის კანონის აღსრულების მექანიზმის არარსებობაა.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონულ მაუწყებლებში თვითრეგულირების მექანიზმის საკითხი არ არის პრიორიტეტული. კანონში გაწერილია მაუწყებლების მიერ ამ ორგანოს შექმნის ვალდებულება, თუმცა მისი ეფექტიანი მუშაობის შესახებ სამართლებრივი დოკუმენტები არაფერს ამბობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჩივრების დიდი რაოდენობა ტელეკომპანიების ინტერესებში არ შედის, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ეს მათ იმიჯზე ცუდად აისახება. ამის პარალელურად, არსებული საქმეები ცხადჰყოფს, თუ როგორი როლი ითამაშა მაუწყებლისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებაში თვითრეგულირების მექანიზმის მიერ განხილულმა საქმეებმა.

იმისათვის, რომ მოხდეს თვითრეგულირების ორგანოთა ეფექტიანი მუშაობა მაუწყებლებში, ამისათვის რეკომენდაციის სახით საჭიროა შემდეგი აქტივობები:

განიხილოს რეგიონულ მაუწყებლებში თვითრეგულირების სისტემის ალტერნატივის ქმედითობა და მოხდეს მისი ინტეგრაცია თვითრეგულირების ორგანოსთან, რაც ნიშნავს საჩივრებისა და უკმაყოფილო მაყურებლების პრეტენზიების მოქცევას კოდექსით განსაზღვრულ ჩარჩოებში;

კვლევის პერიოდში ობიექტთა შორის მხოლოდ ერთი, ბათუმის „25-ე არხი“ იყო, რომელსაც თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვებგვერდზე აქვს განთავსებული. სასურველი იქნება, თუ სხვა ტელეკომპანიებიც, აღნიშნულის შესახებ, განათავსებენ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდებზე;

მოხდეს თვითრეგულირების საბჭოთა ფორმალურიდან რეალურად მოქმედ ორგანოებად ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მედიაგარემოს განვითარებას და მაყურებელსა და მაუწყებლებს შორის მეტ ინტეგრაციას;

მოხდეს სოციალური რგოლების ან კლიპების დამზადება, რომლებიც რეგიონული მაუწყებლების ეთერში იტრიალებს და თვითრეგულირების ორგანოს შესახებ მოსახლეობას ინფორმაციას ინტენსიურად მიაწვდის (ამის მზაობა თვისობრივი კვლევის დროსაც გამოჩნდა). აქვე აუცილებელია, კლიპები იყოს მაქსიმალურად გასაგებ ენაზე დამზადებული;

კანონში ცვლილებების შემთხვევაში, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიეცეს უფლება, მოითხოვოს მაუწყებლებიდან თვითრეგულირების მექანიზმში საჩივრების განმხილველი პირების შეცვლის შესახებ განახლებადი ინფორმაცია;

არასამთავრობო სექტორმა მიმართოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რათა ამ უკანასკნელმა შეიმუშავოს სისტემა, რომლითაც შესაძლებელი იქნება თვითრეგულირების მექანიზმთა პოპულარიზაცია.

Tamar Karelidze – Student (MA) at Ilia State University, Faculty of Arts and Sciences (2nd year)

SELF-REGULATION MECHANISMS IN THE REGIONAL BROADCASTERS

Self-regulation mechanisms are one of the most important indicators of democracy and media freedom in media outlets. They constitute a voluntary system that allows broadcasters to enhance their self-development.

Different countries have different experiences with systems of self-regulation. In the Georgian reality, these mechanisms are not sufficiently effective yet. While studying national and regional self-regulation bodies, it became clear that the population does not often apply to them (which is also reflected in the low number of filed complaints: for instance, in 2013, only two complaints were filed in one TV station out of 21 regional broadcasters, while in 2012 nine complaints were filed in five TV stations). Effective operation of the mechanism requires frequent filing of complaints by a "concerned party", defined by the the Code of Conduct of Broadcasters as "any person who is affected by or mentioned in a program or in the decision of the broadcaster's self-regulation body". Although it is only this "concerned party" that may file a complaint in a self-regulation body, the non-governmental sector working on media issues is ready to step in. This study (dealing specifically with regional broadcasters, unlike the one on national broadcasters) has highlighted several differing characteristics.

TV viewers' complaints are also resolved by an alternative method – by bypassing the self-regulation mechanism and talking to the relevant journalist, editor, or

director of the TV station directly, instead of discussing it within a self-regulation mechanism. TV stations also express readiness to receive assistance for ensuring better functioning of the self-regulation system.

During this study, a part of the media outlets noted that the majority of plaintiffs submit their complaints to the NGO "Charter of Journalistic Ethics of Georgia", instead of applying to self-regulation mechanisms, because they consider the Charter to review them more fairly than the TV stations themselves. The study has also revealed that creating self-regulation mechanisms is not a priority for regional broadcasters. The Law on Broadcasting commands broadcasters to create a similar body, although the provisions of the law say nothing about how to ensure its effective functioning. To increase the influence of the self-regulation mechanisms, the study includes a number of recommendations that will help media outlets to improve themselves.

თამარი მამულაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

ომარი მარგველაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

სიძულვილის ენა მედიაში – გამოხატვის თავისუფლების ფარგლები

შესავალი

სიძულვილის ენაზე საუბარი დასავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, როცა საჭირო გახდა იმ გამოცდილებისა და არსებული რეალობის გააზრება, რაც ორმა მსოფლიო ომმა მოუტანა კაცობრიობას. ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის მრავალმა ფაქტმა საზოგადოებას დაანახა სიძულვილის ენის უკონტროლო ხასიათი, რომელიც ქმნიდა მათი უფლებების, პატივისა და ღირსების დარღვევის რისკს.[1]

ნებისმიერი ნაშრომი თუ კვლევა, რომელიც სიძულვილის ენის პრობლემაზეა შექმნილი, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებში, ყოველთვის აქტუალურია და დისკუსიის

[1] <http://bit.ly/1Lkqwd2> [20.05.2015].

მთავარ ობიექტს წარმოადგენს, თუმცა მთელი რიგი საკითხები მაინც ღია და სადავო რჩება.

სიძულვილის ენის ტირაჟირება ხდება ყველგან: სოციალურ ქსელებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, პრესასა და მედიაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ტელესივრცეში არსებულ შოუებში წარმოთქმულ დისკრიმინაციულ და დამამცირებელ გამონათქვამებს კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

ნაშრომში წარმოდგენილი და გამოკვლეული იქნება სიძულვილის ენის ტირაჟირების ფაქტები ქართულ მედიაში და მისი გავლენა საზოგადოების წარმომადგენლებზე. მოხდება საკითხის გარკვევა, თუ სად გადის ზღვარი სიძულვილის ენასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, ვინაიდან ეს უკანასკნელი დემოკრატიის ერთ–ერთი ფუნდამენტური პრინციპია, სიძულვილის ენა კი გამონაკლისია ამ პრინციპის, როგორც მისი სამართლებრივი ბარიერი.

ნაშრომში საუბარი იქნება გამოხატვის თავისუფლების არსზე და მისი შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძველზე სიძულვილის ენის ჭრილში, რათა ნათლად იქნეს დანახული ის პრობლემები, რასაც სიძულვილის ენის გამოყენება უქმნის საზოგადოებასა და ხალხის კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს.

მნიშვნელოვანია სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის საკითხის განხილვა სხვადასხვა მიდგომის მიხედვით, რათა წარმოჩნდეს ის რეალური უპირატესობები და საფრთხეები, რომელიც სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას მოსდევს. გააზრებულ იქნეს ქართული რეალობა - სხვადასხვა უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ არსებული სოციალური პოზიცია

თანამედროვე სინამდვილეში და მედია, როგორც ამ რეალობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

კითხვა თუ ვინ უნდა აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციისთვის მედიაში, ჯერ კიდევ გაურკვეველია. არის თუ არა საკითხის კრიმინალიზება გამოსავალი? ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა საჭიროებს ღრმა ანალიზს, რათა ჩამოყალიბებული იქნას ერთიანი, საღი და სამართლიანი მიდგომა.

თემის უფრო ღრმა ანალიზისთვის, გამოყენებული იქნება სტატისტიკური კვლევის მეთოდისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური საფუძვლები. კერძოდ, სტუდენტთა შერჩევა და მათთან სიღრმისეული ინტერვიუები. მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდება შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რაც პრობლემატური საკითხის განზოგადების შესაძლებლობას იძლევა. კვლევის მთავარი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რამდენად ხშირად ესმით სტუდენტებს მედია საშუალებების მხრიდან სიძულვილის ენა და ვინ უნდა აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა მისი გამოყენების პრევენციისთვის მედიაში?

1. გამოხატვის თავისუფლების არსი და შეზღუდვები

ნებისმიერი უფლების სრულფასოვნად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია მისი კონტექსტის სწორად გაგება და ნორმის მიზნიდან გამომდინარე პრაქტიკაში მისი რეალიზაცია.[2]

---

[2] *ტულუში თ., ბურჯანაძე გ., შველიძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 160.

სიტყვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური უფლებაა. იგი გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას და მის ფორმირებას ნებისმიერი საშუალებით, საკუთარი დამოკიდებულებისა და გრძნობების საჯაროდ, დაუბრკოლებლად გამოთქმას.

გამოხატვის თავისუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა უფლებათა გამოყენებასთან,[3] მას მედიასამართალში ფუნდამენტური უფლების სახე გააჩნია.[4]

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთი მოსაზრების საჯაროდ დაფიქსირებასაც, რომელიც, შესაძლოა, მიუღებელი იყოს საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. თუმცა, სახელმწიფომ უნდა დაიცვას მოქალაქეთა როგორც „სწორი", ისე „არასწორი" აზრი.[5]

იმისთვის, რათა ნათლად იქნეს განსაზღვრული სად გადის ზღვარი აზრის გამოხატვასა და სიძულვილის ენას შორის, უნდა განისაზღვროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძველი.

გამოხატვის თავისუფლების ფარგლები იზღუდება „თანაზომიერების პრინციპზე" დაყრდნობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვათა უფლებების დარღვევა. სახელმწიფომ იმ ზომით უნდა შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, რაც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, იმ შემთხვევა-

---

[3] *ოქრუაშვილი მ., კოტეტიშვილი ი.,* გამოხატვის თავისუფლება პირველი ტომი, თბილისი, 2005, წინასიტყვაობა.

[4] *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.,* მედიასამართალი, თბილისი, 2014, 81.

[5] *იზორია ლ., კორკელია., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 256.

ში, თუ შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ვერ აღწევს ის დაუშვებელია.[6]

ლეგიტიმურ მიზანში კი შესაძლებელია მოვიაზროთ სხვა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომელიც მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად შესაძლოა შეიზღუდოს. შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს უმცირესობათა პირდაპირი დისკრიმინაციითა და მათ მიმართ ზიზღის ენის გამოყენებით, შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებითა და ჩაგვრით. ასევე როდესაც უმცირესობის რომელიმე წარმომადგენელზე საუბარია, როგორც საზოგადოების არასრულფასოვან წევრზე. საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა არ უნდა გახდეს სხვისი უფლების შეზღუდვის საფუძველი. არასდროს უნდა იყოს გამართლებული აზრის გამოხატვის კონსტიტუციურ უფლებაზე აპელირება და საკუთარი დამოკიდებულების გამართლება, როდესაც იგი შეიცავს ზიზღის ენას.

2. სიძულვილის ენა და საზოგადოება

2.1 რა არის სიძულვილის ენა

სიძულვილის ენის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს.[7] საკუთარი პოზიცია სიძულვილის ენის შინაარსზე დააფიქსირა ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტმა

---

[6] იხ. *ტულუში თ., ბურჯანაძე გ., შველიძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 298.

[7] *ინტერნიუსი-საქართველო,* სიძულვილის ენა საარჩევნო პერიოდში, მედიის მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგები, 20 აგვისტო – 20 ოქტომბერი, 2012, შესავალი, <http://www.media.ge/ge/resources/research/300886/ > [01.09.2015].

საკუთარ რეკომენდაციაში, მათი განმარტებით „ტერმინი „სიძულვილის ენა“ მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, იწვევს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.“[8]

სიძულვილის ენა არის ზიზღი და არატოლერანტური დამოკიდებულება პიროვნებისადმი, რომელიც მისგან განსხვავებულია. როგორც წესი სიძულვილის ენის ობიექტებს წარმოადგენენ უმცირესობები, განსაკუთრებით კი, სხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები, არატრადიციული ორიენტაციის, სხვა რასის, კანის ფერის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ხშირად ამ ადამიანების მიმართ ადგილი აქვს დისკრიმინაციული დამოკიდებულების ფაქტებს, რაც შეურაცხყოფას აყენებს მათ პატივსა და ღირსებას, მხოლოდ იმიტომ რომ, ისინი განსხვავებულები არიან. ისინი არ არიან უმრავლესობა. თუმცა კანონი მათ არ განასხვავებს ერთმანეთისგან. უმრავლესობისა და უმცირესობების უფლებები თანაბარი ღირებულების მქონეა, რასაც ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის მე–14-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველი ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, ეს კი სიძულვილის ენის დაუშვებლობას უკავშირდება. თუმცა კონსტიტუციის თუ სხვა საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად

[8] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ, განმარტებითი მემორანდუმი.

ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ არატოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ.[9]

2.2 სიძულვილის ენის გავლენა საზოგადოებაზე

მედიას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე. მას შეუძლია ფსიქოლოგიური ზემოქმედება ადამიანზე. ის, რაც აქამდე დაუჯერებლად მიგვაჩნდა მედიის დახმარებით ეს ჩვეულებრივ მოვლენადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.[10] მედიას შეუძლია ერთსა და იმავე დროს მოსახლეობაზეც და ხელისუფლებაზეც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა.[11] მას შეუძლია საზოგადოების დეზინფორმაცია ისე, რომ ადამიანთა უმეტესობა ამას ვერც მიხვდეს. განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ინფორმაციის გადამოწმების ბერკეტები თითქმის არ არსებობს. მასმედია წარმოადგენს საშუალებას ადამიანთა მსოფლმხედველობაზე ზეგავლენის მოხდენისთვის.[12]

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მედიასაშუალებებს ხშირად ადევნებს თვალყურს, იღებს გადაჭარბებულ ინ-

---

[9] იხ. *ინტერნიუსი-საქართველო*, სიძულვილის ენა საარჩევნო პერიოდში, მედიის მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგები, 20 აგვისტო – 20 ოქტომბერი, 2012, შესავალი, <http://www.media.ge/ge/resources/research/300886/ > [01.09.2015].

[10] <http://bit.ly/1K8WZTt> [21.05.2015].

[11] იხ. *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.,* მედიასამართალი, თბილისი, 2014, 58.

[12] *შალიკაშვილი მ.,* კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, 270.

ფორმაციას დანაშაულის თუ სხვა ანტი-საზოგადოებრივი ქცევის შესახებ და კარგავს რეალობის შეფასების უნარს.[13]

ადამიანის მიერ ტელევიზორთან დიდი დროის გატარება, მას რეალობის შეგრძნებას უკარგავს და გულუბრყვილოდ სჯერა იმ ალტერნატიული რეალობის და „სწავლობს“ იმ ინფორმაციას, რომელსაც მედია სთავაზობს.[14] მიუხედავად ამისა, მედია ისევ რჩება ერთერთ მნიშვნელოვან და მოთხოვნად სუბიექტად, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდისა და საზოგადოების კავშირს.[15]

მასმედია ხშირად საზოგადოების სტერეოტიპულად აზროვნებას უწყობს ხელს. უარყოფითი დამოკიდებულებები თავს იჩენს მაშინ, როდესაც დისკუსიის თემა შეეხება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს.[16] სტერეოტიპული მიდგომებიდან წარმოიშობა ახალი სტერეოტიპები: თუ ერთმა განსხვავებულმა ავნო, მაშინ მეც შემიძლია ვავნო.[17]

3. სიძულვილის ენის ტირაჟირება მედიაში

მედიის საქმიანობა არ არის შეუზღუდავი. იგი არ უნდა გასცდეს სამართლებრივ ფარგლებს.[18] თუმცა, საქართვე-

---

[13] იხ. *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.,* მედიასამართალი, თბილისი, 2014, 160.

[14] <http://bit.ly/1SnxCmJ> [20.05.2015] .

[15] <http://bit.ly/1doIC3f> [21.05.2015].

[16] იხ. <http://bit.ly/1K8WZTt> [21.05.2015].

[17] <http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/36021/> [21.05.15].

[18] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, 2006 წლის იანვარი-2013 წლის სექტემბერის მედიის მდგომარეობის ანალიზი, 2013, 7.

ლოში მედიასივრცე სიძულვილის ენის ერთ-ერთ წამახალისებელ ფაქტორად გვევლინება. ხშირად ტელევიზიით ისმის უმცირესობების მიმართ გამოთქმული დისკრიმინაციული შეძახილები, აღნიშნულ ჯგუფებში განსაკუთრებით მოიაზრება როგორც ეთნიკური, რელიგიური ისე სექსუალური უმცირესობები. ასევე ადამიანები არ ერიდებიან ერთმანეთის მიმართ ზიზღის ენის გამოყენებას. ხშირად ტელევიზიით ვაწყდებით პოლიტიკოსების მხრიდან ერთმანეთის მისამართით გამოთქმულ მძიმე შეურაცხმყოფელ განცხადებებს და ამას მედია ყოველგვარი ხმოვანი დაფარვის საშუალებით, პირდაპირ გადმოსცემს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ბეჭდური მედიის როლი სიძულვილის ენის ტირაჟირების პროცესში. მაგალითად, საქართველოში არსებული ერთ-ერთი ყოველკვირეული გაზეთი გაჯერებულია დისკრიმინაციული და დამამცირებელი სათაურებითა და სტატიების შინაარსით, რომლის ავტორებიც ძალიან უხეში ფორმით გამოხატავენ საკუთარ პოზიციას, რაც შეურაცხმყოფელი ხდება ადრესატისთვის, რომლის შედეგად მრავალი სასამართლო პროცესი იმართება და მართლმსაჯულების გზით ეს უკანასკნელნი იძულებულნი ხდებიან, პატივისა და ღირსების უფლებაზე აპელირებით მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება.

ხშირად, სწორედ მედიასამართალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი, ჟურნალისტი წარმოადგენს სიძულვილის ენის მაპროვოცირებელ მხარეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მან კარგად იცის რესპოდენტის დამოკიდებულება მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების მიმართ და სწორედ ამიტომ კითხვის შინაარსსა და ფორმაზე დაკვირვებით არ არის ძნელი მისახვედრი მოსალოდნელი პასუხი, რომელიც ზიზღის

ენის ელემენტებით იქნება გაჯერებული. საკითხის ნათლად წარმოჩენისთვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2014 წლის 26 ნოემბერს რუსთავი 2-ის ეთერში გასული ერთ-ერთი გადაცემა, რომელშიც სტუმრად იყო მოწვეული ადამიანი, რომელმაც იაჰოვას მოწმეების მისამართით გამოიყენა სიძულვილის ენა, წამყვანმა არა მარტო არ შეაჩერა სტუმარი, არამედ თავადაც გამოიყენა დისკრიმინაციული ტერმინები: "თქვენ სიტყვას მაძლევთ, რომ აქ იეღოველები არ მომივარდებიან? მეშინია მე მაგათი", "კარგი ქენით, რომ წამოხვედით","იეღოველები დაზომბირებულები არიან?" "ძაან მეშინია, რომ არ დამაგიპნოზონ". შემდგომში რუსთავი 2-მა და თავად გადაცემის წამყვანმა საჯაროდ მოიხადეს ბოდიში.[19]

4. სიძულვილის ენის კრიმინალიზაცია

სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის საკითხის ღრმა ანალიზისთვის, საინტერესოა, გავეცნოთ როგორც ქართულ, ასევე ამერიკულ და ევროპულ მიდგომებს და დავინახოთ მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებები.

აშშ-ში გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტურ უფლებადაა აღიარებული. ევროპული სამართლისგან განსხვავებით, აშშ-ში აბსოლუტურობა შეუზღუდავი ფორმით არსებობს. მათ ისეთ მწვერვალზე აქვთ აყვანილი ადამიანების გამოხატვის თავისუფლება, რომ სიძულვილის ენა არ არის კრიმინალიზებული.[20]

---

[19] < http://bit.ly/1PD1Jre > [23.05.2015].

[20] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, სიძულვილის ენის აღმოფხვრა პოლიტიკურ დისკურსში-სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან

სიძულვილის ენა დასჯადია მხოლოდ მაშინ, როცა ამით საფრთხე ექმნება პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ევროპული სამართალი კი საკითხს განსხვავებულად აწესრიგებს. გამონათქვამები, რომლებიც ზიზღის ენის შინაარსით გამოიხატება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან უფრო მსუბუქად, ფულადი ჯარიმით. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სიძულვილის ენა დაკავშირებულია ადამიანის პირად შეგრძნებებთან და მის აღქმასა და დამოკიდებულებასთან, რომლის კანონმებლობის დონეზე რეგულაცია შეუძლებელია.[21]

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველო გაეროს კონვენციას 1999 წელს შეუერთდა და მისგან რამდენჯერმე მიიღო რეკომენდაცია სიძულვილის ენის საკანონმდებლო დონეზე რეგულაციისა და კრიმინალიზაციისთვის, აღნიშნულის მოწესრიგებისათვის ქმედითი ნაბიჯები ჯერ კიდევ არ გადადგმულა. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო რესურსებს, რომელიც გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის ზღვრის გავლებაში გვეხმარება თითქმის არ არსებობს. გარდა კონსტიტუციის 24-ე მუხლისა, რომელშიც გამოხატვის თავისუფლებასა და მისი შეზღუდვის საფუძვლებზეა საუბარი. ნორმის დისპოზიციაში ვხვდებით სიტყვა „ღირსებას“, თუმცა ეს ჩანაწერი ინტერპრეტაციისა და შინაარსის განსხვავებულად აღქმის შესაძლებლობას იძლევა. ასევე არსებობს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც მედია საშუალებებს მიუთითებს, რომ არ დაუშვან ისეთი განცხა-

---

თვითრეგულაციის მექანიზმებისკენ, <http://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf> [23.05.2015], 24.

[21] *ბუმკუდიანი რ.,* გამოხატვის თავისუფლება თუ სიძულვილის ენა, სტუდენტური კონფერენცია ლგბტ საკითხებში, 2013, 5. <http://bit.ly/1F6CMdv> [23.05.2015].

დებების გავრცელება, რომელიც შეურაცხყოფს საზოგადოების რომელიმე წევრს ან ჯგუფს. თუმცა პრევენციის თვალსაზრისით კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სერიოზულ სანქციას. მხოლოდ თვითრეგულირების საშუალებით შეუძლიათ პრობლემის აღმოფხვრა. დარღვეული უფლების აღდგენა კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების სახით შეიძლება მოითხოვოს სიძულვილის ენის ობიექტმა. თუმცა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სიძულვილის ენა იქნას აცილებული, ამისათვის უფრო ეფექტური პასუხისმგებლობის (დასჯის) მექანიზმებია საჭირო, რათა სასჯელმა ერთის მხრივ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება პირის მიერ განხორციელებული ქმედებისთვის (რომელიც არასამართლებრივად ზღუდავს ზიზღის ენის ობიექტის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს), მეორეს მხრივ იქონიოს პრევენციული ხასიათი, თუ პირს ეცოდინება, რომ მის მიერ გამოხატულ ზიზღის ენას ექნება შესაბამისი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან და მოხდება მისი დასჯა, ის უფრო მეტად დაიცავს კანონს და არ გამოიყენებს სიძულვილის ენას.

5. კვლევა

საინტერესოა ჩატარებული კვლევის შედეგების განხილვა, რომელიც საზოგადოების, განსაკუთრებით სტუდენტების განწყობის გაგებას ემსახურება მედიაში სიძულვილის ენის ტირაჟირების ფაქტებთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტმა. კითხვები შემდეგი ფორმულირებით იქნა ჩამოყალიბებული და

კვლევის შედეგები ასე გამოიყურება: 1. მოგისმენიათ თუ არა დისკრიმინაციული განცხადებები ტელევიზიით? კი-76%; არა-17%; მიჭირს პასუხის გაცემა-7%; 2. განსაკუთრებით უმცირესობის რომელი ჯგუფის მიმართ? სექსუალური უმცირესობები-51%; რელიგიური-27%; რასობრივი-9% ; ყველა ჩამოთვლილი-8%; არცერთი-5%; 3. უწყობს თუ არა ქართული ტელევიზია ხელს სიძულვილის ენის ტირაჟირებას საზოგადოებაში? კი-61%; არა-29%; მიჭირს პასუხის გაცემა-10%; 4. ვინ უნდა ებრძოლოს სიძულვილის ენის ტირაჟირებას მედიაში? სახელმწიფომ-54%; მედიამ-30%; საზოგადოებამ-10%; არასამთავრობო ორგანიზაციებმა-6%.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს მედიის როლი სიძულვილის ენის ტირაჟირების პროცესში. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ტელევიზიით მათ ესმით ზიზღის ენა, განსაკუთრებით სექსუალური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთა მიმართ. სიძულვილის ენის ტირაჟირების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სახელმწიფოს მხრიდან მეტ აქტიურობაზე მიუთითებს.

6. რეკომენდაცია

სიძულვილის ენის ტირაჟირების აღმოფხვრის მიზნით აუცილებელია, მედია საშუალებებმა განახორციელონ მათ მიერ დასაქმებული ადამიანების, ჟურნალისტებისა თუ სარედაქციო ჯგუფისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება პრობლემის არსებობის თაობაზე. ასევე დაწვრილებით გააცნონ ის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს და იცავს ადამია-

ნებს დისკრიმინაციისგან. სასურველია, მედია საშუალებებმა გაამკაცრონ მონიტორინგი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმასთან დაკავშირებით და თავად შეუწყონ ხელი ხარვეზების აღმოფხვრას ამ მიმართულებით. ასევე საჭიროა ბეჭდური მედიის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულიაციის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს მათი მხრიდან ადამიანის უფლებების დაღვევის ფაქტების არდაშვებას და მკაცრად გააკონტროლებს სიძულვილის ენის ტირაჟირებასა და ხელს შეუწყობს დისკრიმინაციული მიდგომების პრევენციას. სასურველია, მაუწყებლობის შესახებ კანონში შევიდეს დამატებითი ცვლილებები, რაც უშუალოდ მოაწესრიგებს ბეჭდური მედიის საქმიანობის დაურეგულირებელ ასპექტებს. აუცილებელია, ყველა მედიის წარმომადგენელმა კარგად გაიაზროს ჟურნალისტური ქარტიის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი ქარტიის მე-7–ე მუხლის კონტექსტი, რომელიც არ აძლევს მას საშუალებას ეთერში გააჟღეროს დისკრიმინაციული გამონათქვამები ან ხელი შეუწყოს მის ტირაჟირებას. პირდაპირი ეთერის დროს იგი უნდა გაემიჯნოს სიძულვილის ენას, ხოლო ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში არ გაუშვას იგი ეთერით.

უმთავრეს იარაღს ზიზღის ენასთან საბრძოლველად კი ადამიანთა მართლშეგნების ამაღლება წარმოადგენს, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობითა და განათლებით მიიღწევა. სახელმწიფომ და მედიამ ხელი უნდა შეუწყონ ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო კამპანიების მოწყობას სიძულვილის ენის პრევენციისთვის.

დასკვნა

როდესაც ქვეყნის მთავარი საზრუნავი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაა, მაშინ ამ საზოგადოების უმცირესობათა უფლებები ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც უმრავლესობის. საკანონმდებლო რესურსის სიმწირე სიძულვილის ენისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ზღვარის გავლებას ისევ ართულებს. შესაბამისად, საკუთარი ღირსებისა და უფლებების დაცვაც რთულდება. როდესაც უმრავლესობა ხედავს, რომ მათ მიერ უმცირესობისამდი გამოხატულ შეურაცხმყოფელ განცხადებებს შესაბამისი პასუხისმგებლობა არ მოჰყვება, ისინი არ ერიდებიან ზიზღის ენის გამოყენებას და შესაბამისად ამით ხდება ერთგვარი წახალისება დისკრიმინაციული და არატოლერანტული დამოკიდებულების. საბოლოოდ ვიღებთ სურათს, თუ როგორ შეიძლება ადამიანის კონსტიტუციური უფლების დარღვევა გამოიწვიოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლების უგულვებელყოფამ.

არის თუ არა მედია სიძულვილის ენის ტირაჟირების ხელშემწყობი? ამ კითხვას პასუხი ნაშრომში მოყვანილმა კვლევის შედეგებმა ნათლად გასცა. ასევე მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე გამოიკვეთა აშკარა საფუძველი სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის კუთხით. ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისა და განცხადებების წინააღმდეგ ბრძოლა საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებით ყველაზე ეფექტურ გზად რჩება. ევროპული გამოცდილების გათვალისწინება კი აღნიშნული მიმართულების პრიორიტეტულობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

Tamari Mamulashvili – Student (MA) at the East European University, Faculty of Law (2nd year)

Omari Margvelashvili – Student (MA) at the East European University, Faculty of Law (2nd year)

HATE SPEECH IN THE MEDIA – THE LIMITS OF THE RIGHT TO EXPRESSION

This research involves hate speech facts in Georgian media, its consequences and influence on society. The study highlights the concept and legitimate limitation of the Right to Expression and draws upon the perspective of hate speech criminalization in the Georgian legal sphere.

Freedom of Expression is the inevitable prerequisite for the existence of a democratic country. Correspondingly, one of the obligations of the state is to enable each citizen to express his/her opinion freely. Therefore, it is of course necessary to defend the constitutionally guaranteed Right to Expression.

But Freedom of Expression is at times limited by "the principle of proportionality" in order to avoid the violation of other people's rights. The state then has to limit the Freedom of Expression to achieve a legitimate goal. In practice, human rights are often violated through hate speech as a derogation of dignity and honor. In Georgian reality, media turns out to be one of the main distributors of hate speech popularization. Discriminative remarks against minorities are frequently broadcasted and not only do common people dare to use hate speech, but often even the journalists seem to take over hate speech and provocative sides.

To eradicate hate speech and foster impartial journalism, it is necessary for media and the state to realize the existence of this problem and its causes. Majority and minority constitutional rights should be equally defended by media and the state.